გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2024-2025 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავება

2. **თემატიკა:**

1. (გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება) **კერძო-საჯარო დიალოგი და პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე;**

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ხაშურის მუნიციპალიტეტი

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე მდებარეობს. მისი ფართობია 585,2 კმ2 და საქართველოს მთლიანი ფართობის 0,84 %-ს შეადგენს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით საზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 118 კილომეტრია. მანძილი დედაქალაქიდან ხაშურამდე 120 კმ, ხოლო რეგიონული ცენტრიდან 47 კმ. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ხაშური, ერთი დაბა - სურამი და 11 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ 84 სოფელი შედის. მოსახლეობა 65 ათასამდეა, მისი ძირითადი ნაწილი ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესასრულებლად და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის ანალიზს, რათა ანალიზზე დაყრდნობით დაისახოს განვითარების სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ განვითარებას და წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში.
ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფში გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ახალგაზრდობის, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებში მცხოვრები მოქალაქეები, კერძო სექტორი. დოკუმენტის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა. ნებაყოფლობითი ადგილობრივი დოკუმენტის შემუშავებისას დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობამ ხელი შეუწყო კერძო-საჯარო დიალოგის განვითარებას და ასევე უზრუნველყო დოკუმენტში საზოგადოების ყველა სეგმენტის პერსპექტივის წარმოჩენა.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ხაშურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, რომელიც შეუერთდა გლობალურ მოძრაობას გაეროს 70/1 რეზოლუციის, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დაწყებული მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესი, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 2022 წელს დაიწყო. მას შემდეგ, „დღის წესრიგი 2030“ მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის განუყოფელი და ამავდროულად, განმსაზღვრელი ნაწილია, ხოლო მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ პრიორიტეტებს, ხაშურის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი განსაზღვრავს, რომელიც 9 მიზანს, 23 ამოცანას და 30-ზე მეტ ინდიკატორს ასახავს. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ“(თან ერთვის)). მუნიციპალიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებულ, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოსთან და წარუდგენს ამს ყოველწლიურ ანგარიშს მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების შესრულების თაობაზე.
2024 წლიდან საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოსთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტში დაიწყო და 2025 წელს დასრულდა ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ასახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ხედვას და მტკიცე ვალდებულებას მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათ შორის სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული მდგრადობის, როგორც მმართველობის ფუნდამენტური საყრდენის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებ საპილოტე პროექტია და მოცემულ ეტაპზე შემუშავდა საქართველოს მხოლოდ ორ

მუნიციპალიტეტში - ხაშურსა და ფოთში. ხაშურის მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზაობას, გაუზიაროს ეს წარმატებული პრაქტიკა ყველა დაინტერესებულ მუნიციპალიტეტს.

.**პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავება ლოგიკური გაგრძელებაა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავებისა, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა აქტორების მონაწილეობით შემუშავდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2023 წელს. სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში კერძო-საჯარო დიალოგის წარმართვა ერთი მხრივ გამოწვევას წარმოადენს, თუმცა, მეორე მხრივ, სათანადო ფასილიტაციის და სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინების პირობებში, კერძო-საჯარო დიალოგის განვითარებას უდიდესი პოტენციალი აქვს, რაც მუნიციპალიტეტის განვითარებაზე მხოლოდ დადებით ასახვას ჰპოვებს. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა მიეღო გამოწვევა და ჩართულიყო საპილოტე პროექტში, რომელიც კეძო-საჯარო დიალოგის განვითარების გზით ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებას ითვალისწინებდა. ამასთან, მუნიციპალიტეტს უკვე ჰქონდა სხვადასხვა მონაცემებზე მუშაობის და მონაცემთა როგორც ანალიზის, ისე სტრუქტურიზების და სახელმძღვანელო დოკუმენტად გარდაქმნის გამოცდილება. ამიტომ, ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს ახალ, წინგადადგმულ ნაბიჯს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში როგორც მონაცემთა ანალიზისა და სტრუქტურიზების, ისე კერძო-საჯარო დიალოგის წარმართვის, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საექსპერტო კუთხით თანამშრომლობის მიმართულებით. ამასთან, დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან, კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტით განსაზღვრულ 9 მიზანთან, 23 ამოცანასთან და 30-ზე მეტ ინდიკატორთან მიმართებით. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ“(თან ერთვის)).

ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კონტექსტში ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებას წინ უძღოდა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭოს შექმნა, მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 თებერვლის N№.84-84230372 ბრძანებით (თან ერთვის), რომლის მთავარ მისიად განისაზღვრა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობა, მონიტორინგი და ანგარიშგება. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოში ჩართულია ყველა მუნიციპალური სამსახური, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვაში.

მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ახალგაზრდები და ქალები. ამ მოვლენების კვალდაკვალ, გაუმჯობესდა და გაძლიერდა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, განვითარების პროცესების ზედამხედველობის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.
შედეგად, 2025 წელს მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე კერძო-საჯარო დიალოგისა და პარტნიორობის კარგ მაგალითს და მოიცავს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების იმ მიზნებს, რომელთა შესრულებაც ჯანსაღი ქალაქის და სოფლების შექმნას მოიაზრებს. ძირითად მიზნებს შორისაა, ნაკლები სიღარიბე, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ხარისხიანი განათლება, მდგრადი მოხმარება, წარმოება და მათი რაოდენობის ზრდა, ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა, მეტი გამწვანებული სივრცის შექმნა, გლობალური თანამშრომლობა და სხვ.

1. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR) პროცესი, გაეროს მდგრადი განვითარების ფონდის (Joint SDG Fund) ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, 2024 წლის სექტემბერში დაიწყო. აღნიშნულმა პროცესმა, საწყის ეტაპზევე, ნათლად წარმოაჩინა VLR-ის, როგორც ადგილობრივი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის აქსელერატორის/ამაჩქარებლის და ამავდროულად, მმართველობის დონეებსა და სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და მრავალმხრივ ცოდნაზე დაფუძნებული ქმედითი ინსტრუმენტის მნიშვნელობა.
ხაშურის VLR-ი ითვალისწინებს UN-Habitat-ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას - „ქმედებაზე ორიენტირებული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა“, რომელიც ეფუძნება ოთხ მეთოდოლოგიურ პრინციპს: მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მონაწილეობითი, ყოვლისმომცველი და ქმედუნარიანი. შემუშავებულ დოკუმენტში მიმოხილულია მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული 12 მდგრადი განვითარების მიზანი (SDG 1 - სიღარიბის აღმოფხვრა, SDG 2 - ნულოვანი შიმშილი, SDG 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, SDG 4 - ხარისხიანი განათლება, SDG 5 - გენდერული თანასწორობა, SDG 6 - სუფთა წყალი და სანიტარია, SDG 8 - ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა, SDG 9 - მრეწველობა, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა, SDG 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები და SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები);
დოკუმენტის ყოველი თავი მოიცავს:
- მდგრადი განვითარების შერჩეულ მიზნებს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის;
- მუნიციპალიტეტზე მისადაგებული ამოცანებისა და ინდიკატორების მიმოხილვას.
- ძირითად გამოწვევებს და ამ გამოწვევების საპასუხოდ, განხორციელებულ და მიმდინარე ღონისძიებებს.
- პოლიტიკის რეკომენდაციებს შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავების ხელშემწყობი წინარე აქტივობები:			
N	**აქტივობა**	**ჩატარების ვადა**	**შენიშვნა**
1	მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის მიღება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ	დეკემბერი, 2022წ.	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ“
2	მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით	იანვარი, 2023	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება Nბ84. 842302018 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“
3	მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს შექმნა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით	თებერვალი, 2023წ.	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 თებერვლის Nბ.84-84230372 ბრძანება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს შექმნის შესახებ
ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავების პროცესის აქტივობები:			
N	**აქტივობა**	**ჩატარების ვადა**	**შენიშვნა**

1	საწყისი ფაზა/პროექტის ინიციირება	სექტემბერი, 2024წ.	დაინტერესებულ მხარეთა მოკვლევა
2	სიტუაციის ანალიზი	ოქტომბერი, 2024-თებერვალი, 2025	ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR-ის) მომზადება. გამოცდილება, მეთოდოლოგია, საჭიროებები.
3	კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან	მარტი-მაისი, 2025	ადგილობრივ დონეზე მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული გამოწვევები და გადაწყვეტის გზები, დაინტერესებული მხარეების როლი.
4	დასკვნითი ფაზა	მაისი-ივლისი, 2025	დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო ფორუმი მაისში; დასკვნითი შეხვედრა ივლისში; ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მომზადება.

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
  ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ“
  ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება N84. 842302018 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 თებერვლის №ბ.84-84230372 ბრძანება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს შექმნის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის ლინკი: https://khashuri.gov.ge/infrastruqturuli-proeqtebi1/396-xashuris-municipalitetis-nebakoflobiti-adgilobrivi-mimoxilvis-dokumenti.html

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ.მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრებისა და მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

- ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდობის, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებში მცხოვრები მოქალაქეები, კერძო სექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო გაეროს სამი სააგენტო: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). გაეროს ბავშვთა ფონდის კომპონენტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარეს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) წარმომადგენლებმა. პროცესი კოორდინირებული იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით. 16 მაისს, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში გაიმართა დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო შეხვედრა, რომელსაც მიმოხილვის შემუშავებაში ჩართული ყველა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით მოეწყო პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა - ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაცია 2 ივლისს, რომელსაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად გაეროს უმაღლესი ხელმძღვანელობაც ესწრებოდა. ნებაყოფლობითი ადგილობრივი დოკუმენტის შემუშავებისას დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობამ ხელი შეუწყო კერძო-საჯარო დიალოგის განვითარებას და ასევე უზრუნველყო დოკუმენტში საზოგადოების ყველა სეგმენტის პერსპექტივის წარმოჩენა.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

  ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსი, ასევე გაეროს სააგენტოების (UNDP. FAO UNICEF) ექსპერტთა საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება; ამავე პროექტის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე UN Hubitat მხარდაჭერით იმყოფებოდა პორტუგალიაში, სადაც ადგილზე გაეცნო და პროექტის

მონაწილე მხარეებს ადგილზე გაუზიარა ვიზიტის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო გამოცდილება ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით.

ბ)დოკუმენტზე მუშაობის ფარგლებში ტრანსპორტირების, ადმინისტრაციული და სხვ. ხარჯი გაწეული იყო მუნიციპალიტეტის მიერ; ექსპერტების ანაზღაურება განხორციელდა გაეროს სააგენტოების მიერ; უშუალოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

გ) გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, როგორიცაა საკონფერენციო დარბაზი და პროექტორი, მუნიციპალური შენობები საჯარო შეხვედრებისთვის, არასამთვრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ოფისი დაინტერესებული მხარეების კონფერენციის და დასკვნითი საპრეზენტაციო შეხვედრის ჩასატარებლად. ასევე გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის კუთვნილი ფოტო და ვიდეო ტექნიკა პროცესის გასაშუქებლად.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული ყველა მონაწილე მხარე საკითხს მიუდგა მაღალი პასუხისმგებლობით და მოტივაციით. ამასთან, მუნიციპალიტეტში უკვე იყო სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას სხვადასხვა მონაწილე მხარეების ერთობლივი მუშაობის გამოცდილება, ამიტომ, მუშაობის პროცესში განსაკუთრებული პრობლემები არ წარმოქმნილა. თუმცა, ამჯერადაც, მეტ–ნაკლებად გამოწვევას წარმოადგენდა კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა პერსპექტივებს შორის განსახილველ საკითხებთან მიმართებაში, ვინაიდან თითოეული ჩართული მხარე ცდილობდა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინა იმ პრობლემების გამოკვეთაზე, რომელთა გადაწყვეტაზე უშუალოდ თვითონ იყო პასუხისმგებელი (მაგ: სოციალური, ინფრასტრუქტრული, განათლების, სოფლის მეურნეობის საკითხები და ა.შ.) თუმცა, სწორი ფასილიტაციის შედეგად, შემუშავდა კონსენსუსზე დაფუძნებული ვერსია, რომელიც მისაღები აღმოჩნდა ყველა ჩართული მხარისთვის.

ამასთან, დოკუმენტზე მუშაობისას თითოეულ მონაწილე მხარეს გააზრებული ჰქონდა, რომ თითოეულ მდგრადი განვითარების მიზანთან მიმართებით უნდა ჩამოყალიბებულიყო რეალისტური შეფასება და მხოლოდ რეალურ ანალიზზე დაყრდნობით ემსჯელათ სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე, რაც მიღწეულ იქნა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტზე მუშაობისას გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდობის, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებში მცხოვრები მოქალაქეები, კერძო სექტორი. დოკუმენტის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა.

პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო გაეროს სამი სააგენტო: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). გაეროს ბავშვთა ფონდის კომპონენტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარეს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) წარმომადგენლებმა. პროცესი კოორდინირებული იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს რეგიონული განვითრების სამინისტროს მხარდაჭერით.

2. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

თითქმის ათთვიანი მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი.

მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტის შემუშავება, რომელიც 2024 წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდა, ლოგიკური გაგრძელებაა 2022 წელს დაწყებული პროცესისა, რომლის ფარგლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება შეერთებოდა მდგრადი განვითარების „დღის წესრიგი 2030“.

პროექტის უმნიშვნელოვანესი შედეგია მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების – კერძო, საჯარო, არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების თანამშრომლობის ინიციირება და ხელშეწყობა. დოკუმენტზე მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო სივრცე კერძო-საჯარო დიალოგისა და პარტნიორობისთვის სადაც სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანები ახერხებენ თანამშრომლობას, კონსენსუსს და იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას.

პროექტმა ხელი შეუწყო ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაზრდას ინკლუზიური და მდგრადი ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად. ამასთანავე, შეფასდა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება ადგილობრივ დონეზე.

გაუმჯობესდა ნარჩენების მართვის გეგმები სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპების გათვალისწინებით.

გაძლიერდა ახალგაზრდების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებისა და გოგოების, ჩართულობა ადგილობრივ მდგრად განვითარებაში.

პროექტის მიმდინარეობამ და შედეგებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ადგილობრივი მონაწილე მხარეების, ისე საერთაშორისო პარტნიორების - გაეროს სააგენტოების და საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორის - დიდიე ტღებიუკის მხრიდან.

3. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის მრავალმხრივი ჩართულობით წარმატებული შემუშავება განაპირობა მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების (მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და ა.შ.) ინიციატივამ და მაღალმა მოტივაციამ; უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მუნიციპალიტეტში უკვე არსებული გამოცდილება სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის მიმართულებით, რაც მოიცავდა სხვადასხვა მონაწილე მხარეთა შორის დიალოგს და საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივ მუშაობას; განმსაზღვრელი ფაქტორი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და მათ მიერ შემოთავაზებული საექსპერტო გამოცდილება; წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ასევე სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების ერთობლივი თანამშრომლობა და გაეროს სააგენტოების მიერ გაწეული კვალიფიციური ფასილიტაცია, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა პერსპეტივების დაახლოებას და კონსენსუსური გადაწყვეტილებების მიღებას. ერთობლივი საქმიანობისას პერსპექტივების დაახლოებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მკაფიოდ გამოკვეთილი საერთო მიზნები (SDGs) და მონაწილეთა მიერ მიზნის მიღწევისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის და ამ გზით გლობალურ პროცესებში ჩართულობის მკაფიო გააზრება.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ შეფასებას და ანალიზს მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად არსებული მდგომარეობის შესახებ. 2022 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ ჩარჩო დოკუმენტში ხაზგასმულია მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული SDG-ების, მნიშვნელობა და აღწერილია ის ზომები, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს მათი მიღწევის მიზნით, 2030 წლის ჩათვლით. აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებში დასახული ამოცანები და ღონისძიებები მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების ბადის გაძლიერებისკენ, სიღარიბის დაძლევისკენ, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესებისკენ, ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობისკენ, ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტისკენ და ა.შ. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში დეტალურად არის წარმოდგენილი ის ღონისძიებები და ფინანსური რესურსები, რომლებიც მუნიციპალიტეტში SDG-ების მიღწევასა და შესაბამისი ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს.
ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი ხელს შეუწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, საჯარო

სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი მთავარი მიზანი არის ხაშურის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის) ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტში გასულ წლებში დაწყებული კერძო-საჯარო დიალოგისა და პარტნიორობის ახალ საფეხურზე აყვანას, რაც დიალოგის გაგრძელებისა და სამომავლო პარტნიორობის კარგ საფუძველს ქნის.

4. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად იყო ჩართული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უშუალოდ უწევდა კოორდინაციას ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარეებს შორის განაწილებული დავალებების შეთანხმებულ შესრულებას. კერძო-საჯარო დიალოგისა და პარტნიორობის აქტიური მონაწილეები იყვნენ საკრებულოს წევრები - განსაკუთრებით მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსახლეობაში დოკუმენტის შემუშავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და სამუშაო პროცესში სხვადასხვა სექტორიდან დაინტერესებული მხარეების ჩართვაში.

5. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**
    <u>მუნიციპალიტეტი გეგმავს, სამომავლო საქმიანობაში აქტიურად იხელმძღვანელოს შემუშავებული ადგილობრივი ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტით, რაც მოიცავს ძალისხმევის მიმართვას მოქალაქეთათვის გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისების, განვითარებული ინფრასტრუქტურის, გაზრდილი მისაწვდომობის შეთავაზებაზე. ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების კომპეტენტურ ანალიზს, რაც დაეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას სწორი სტრატეგია შეიმუშავოს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული ეროვნული ამოცანების მიღწევაში წვლილის შესატანად.</u>
6. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

1. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
   - **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
     ნინო სუხიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი. (ტელ: 577951750 nsukhiashvili@gmail.com)
   -
   - **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

   - ნინო ლიპარტელიანი – ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (ტელ: 599568344; nliparteliani69@gmail.com)
   - • ლელა მაჭარაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი (ტელ: 577954955 x.safinanso@yahoo.com)

2. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**
   გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:
   ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;
   ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);
   გ) ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;
   გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

   - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ“
   - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება N№84. 842302018 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“
   - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 თებერვლის N№.84-84230372 ბრძანება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს შექმნის შესახებ;
   - ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტი/ დოკუმენტის ლინკი: https://khashuri.gov.ge/infrastruqturuli-proeqtebi1/396-xashuris-municipalitetis-nebakoflobiti-adgilobrivi-mimoxilvis-dokumenti.html

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო შეხვედრის ლინკი: https://www.facebook.com/share/p/1DRseGmboL/

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაციის ლინკი (მერია): https://www.facebook.com/share/p/1aEFuBkLnn/
- ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაციის ლინკი (UNDP): https://www.facebook.com/share/p/1AgWizCPU8/
- ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაციის ლინკი (ვიდეო): https://www.facebook.com/share/v/16UhDffmaV/

განაცხადის მიღების ვადაა 2025 წლის 15 სექტემბერი - 30 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 72

2022 წლის 05 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულების ,,მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე'' საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად, მოწონებულ იქნეს თანდართული ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი'' დანართი N1, დანართი N2.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge .

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15).

საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ლიპარტელიანი**

ბრძანება:**ბ84. 842302018**
თარიღი:**20/01/2023**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 05 დეკემბრის N72 განკარგულების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ეცნობოს მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15)

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მიზანს, ფუნქციებს, მუშაობის ორგანიზებასა და შემადგენლობას.

2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 დეკემბრის №72 განკარგულების შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობასა და შესრულების მონიტორინგს.

2. საბჭოს ფუნქციებია:

ა) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია და სტრატეგიული ხელმძღვანელობა;

ბ) მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის განახლება, შემუშავება და მერთან წარდგენა დასამტკიცებლად;

გ) მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პოლიტიკაში ინტეგრაციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

დ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;

ე) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში თემატური სამუშაო ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირებული პროექტების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების წარდგენა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი მიმოხილვის ანგარიშისა და მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა, დამტკიცება და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოსთვის წარდგენა;

ზ) მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საკითხების განხილვა, დამტკიცება და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოსთვის წარდგენა;

თ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმოხილვის ანგარიშის წარედგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოსთვის, ასევე, საბოლოო ანგარიში 2030 წელს.

ი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

მუხლი 3. საბჭოს ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის ორგანიზება

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს საბჭოს მუშაობას, ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს და საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს სათანადო ცვლილებები მასში, იწვევს საბჭოს რიგგარეშე სხდომებს.

3. საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

4. საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს წევრის (წევრების) წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

7. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს წარადგენს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრების მიერ მიწოდებული განსახილველი საკითხების საფუძველზე.

8. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს სხდომის მოწვევამდე არანაკლებ სამი დღით ადრე წერილობით წარუდგინოს საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატანი საკითხების ნუსხა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

9. საბჭოს წევრის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი მოვალეობის შემსრულებელი ან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

10. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

11. საბჭო უფლებამოსილია, სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე, მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 5. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს წინაშე პროექტის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირს.

2. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

3. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო ვერ შეთანხმდება ან ვერ გადაწყვეტს საკითხს, საბჭოს თავმჯდომარე ინიცირებულ პროექტს წარუდგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება და ფორმდება სხდომის ოქმით.

მუხლი 6. საბჭოს თემატური სამუშაო ჯგუფები

1. მდგრადი განვითარების ცალკეული სექტორული მიზნების განხორციელების კოორდინაციისა და ეფექტური მონიტორინგის მიზნით საბჭო ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს (შემდგომში – სამუშაო ჯგუფები).

2. საბჭო ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების სახელმძღვანელო წესებს.

3. სამუშაო ჯგუფების მუშაობის ორგანიზება ხდება საბჭოს, სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელის მიერ.

4. საჯარო დაწესებულებებიდან თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს საბჭო, სამუშაო ჯგუფის წევრი საჯარო დაწესებულებებთან შეთანხმების საფუძვეზე.

ბრძანება:№84. 84230372
თარიღი:06/02/2023

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 05 დეკემბრის N72 განკარგულების და ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე'' ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის N№84.842302018 ბრძანების შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თენგიზ ჩიტიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ზვიად ქურდაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ნინო ლიპარტელიანი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბჭოს წევრი (მოწვევა);

დ) ლევან გამრეკელი - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე საბჭოს წევრი (მოწვევა);

ე) ცოტნე ნოზაძე - საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ვ) ნუგზარ გოცირიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს მდივანი;

ზ) თათია ბროლიძე სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე საბჭოს წევრი (მოწვევა);

თ) მარინე დიდებულიძე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე საბჭოს წევრი (მოწვევა);

ი) დავით კიკნაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი -

საბჭოს წევრი;

კ) დავით ღვალაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ლ) სერგო ლალიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

მ) გიორგი პაპიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ნ) არჩილ შალიბაშვილი -ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური - მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი;

ო) კონსტანტინე ფრუიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური - სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

პ) გიორგი ცერცვაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური - სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ჟ) ლელა მაჭარაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი -საბჭოს წევრი;

რ) მარი მახაჭაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ს) ნინო სუხიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ტ) ივანე ლოლაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელების საქმიანობის კორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

უ) ლელა გელაშვილი - ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ფ) ნუგზარ ცხოვრებაძე ა(ა)იპ ,,წყლისა და გამწვანების კომპანია'' დირექტორი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ქ) ზურაბ ნოზაძე ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისი'' დირექტორი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ღ) დავით ჩიქოვანი ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

შ) ზვიად გოგუაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ჩ) გრიგოლ გაჩეჩილაძე - არასამთვრობო ორგანიზაცია ,,ძალდობის დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტის წევრი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ც) მაია ფოცხვერაშვილი - მოქალაქე ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საბჭოს წევრი (მოწვევა);

2. საბჭომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 05 დეკემბრის N72 განკარგულების და ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე'' ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის N№84.842302018 ბრძანებისშესაბამისად.

3. ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმს ერთეულმა - ადმინისტრაციულმა სამსახურმა;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ. N15).

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2025 ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა

UNITED NATIONS
GEORGIA

unicef
for every child

Food and Agriculture
Organization of the
United Nations

UNDP

JOINT
SDG
FUND

წინასიტყვაობა

2025 წელი მთელი მსოფლიოსთვის დიდი გზაჯვარედინი აღმოჩნდა. ერთი მიმართულება გულისხმობს უთანასწორობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონფლიქტებს, გარემოსდაცვით კრიზისებს, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ბუნებრივ კატასტროფებს და ა.შ. ხოლო მეორე მიმართულებას მივყავართ მდგრად განვითარებამდე, სიღარიბის დასასრულამდე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამდე კაცობრიობის პროგრესისათვის, გლობალურ მშვიდობამდე. რა თქმა უნდა ჩვენ ვირჩევთ მშვიდობას და მდგრად განვითარებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა 193-მა ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან ეტაპს, როდესაც 2030 წლისათვის გლობალური ტრანსფორმაციის საერთო ჩარჩოზე შეთანხმდნენ. უფრო მეტიც SDG-ს დღის წესრიგმა განსხვავებული იმპულსი მისცა მთელ მსოფლიოს, გაეროს წევრი ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა და მათ შორის საქართველომაც, უკვე დაამუშავა ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNRS).

მუნიციპალურ დონეზე ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის Voluntary Local Review (VLR) დამუშავება ჩვენთვის დიდი გამოწვევაა. დოკუმენტი მოიცავს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების იმ მიზნებს, რომელთა შესრულებაც ჯანსაღი ქალაქის და სოფლების შექმნას მოიაზრებს. ძირითად მიზნებს შორისაა, ნაკლები სიღარიბე, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ხარისხიანი განათლება, მდგრადი მოხმარება, წარმოება და მათი რაოდენობის ზრდა, ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა, მეტი გამწვანებული სივრცის შექმნა, გლობალური თანამშრომლობა და ა.შ.

თენგიზ ჩიტიაშვილი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

მსოფლიო სწრაფი ტემპით იცვლება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად იზრდება გამოწვევების მასშტაბურობა და კომპლექსურობა. ქალაქსა და სოფელს შორის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების მცდელობებს აფერხებს მიგრაციული პროცესების მატება და კლიმატური ცვლილებები, მათი ზემოქმედების შედეგები კი, სულ უფრო მკვეთრად ვლინდება. ცხადია, იმისათვის, რომ მივაღწიოთ რეალისტურ და, ამავე დროს, უფრო ამბიციურ მიზნებს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა უნდა პასუხობდეს 21-ე საუკუნის როგორც გამოწვევებს, ისე შესაძლებლობებს.

გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით, ჩვენ წარმატებით დავიწყეთ ხაშურის პირველი ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის შემუშავება, რითაც ხაზს ვუსვამთ მუნიციპალურ მზაობას შემდგომი წინსვლისთვის 2030 წლის დღის წესრიგისკენ. ეს დოკუმენტი ასახავს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხედვას და მტკიცე ვალდებულებას მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათ შორის სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული მდგრადობის, როგორც მმართველობის ფუნდამენტური საყრდენის მიმართ.

მსურს სიამაყით ავღნიშნო, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა, სოციალური და ჯანდაცვის სერვისები და გარემოსდაცვითი ინიციატივები, სრულ თანხვედრაშია მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან.

ჩვენი მუნიციპალიტეტის, მდგრადი განვითარების მიზნების ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვების გლობალურ ინიციატივაში ჩართვა, განსაკუთრებით, თბილისის და ქ.ფოთის გვერდით, არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი სტიმულიც, რომელიც ადგილობრივი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების სისტემურად და გრძელვადიანად გადაჭრის, მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საერთო ხედვიდან გამომდინარეობს.

ნინო ლიპარტელიანი
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზება, ეროვნული კონტექსტი

ადგილობრივი თვითმმართველობების როლი 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევაში მზარდ მნიშვნელობას იძენს, რაც ხაზგასმულია **ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)** ამსახველ რიგით მესამე ანგარიშში, რომელიც საქართველომ, 2024 წელს, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) ეგიდით გამართულ, მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა. ანგარიში მიმოიხილავს ქვეყანაში 2020 წლიდან დღემდე მიღწეულ პროგრესს; საუკეთესო პრაქტიკასთან და გამოწვევებთან ერთად, ანგარიში შეეხება პრიორიტეტებს და სამომავლო გეგმებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის დასაჩქარებლად, როგორც ეროვნულ ისე, ადგილობრივ დონეზე.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე პრიორიტეტებს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი განსაზღვრავს, რომელიც 17-ვე მიზნის ჭრილში, ჩვენს ქვეყანაზე მისადაგებულ 90-ზე მეტ ამოცანას ასახავს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, აკადემიური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 200-ზე მეტი ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, აქტიურად ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმას, რამაც უკვე უზრუნველყო ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებისა და პრიორიტეტების დაკავშირება მდგრადი განვითარების მიზნებთან საქართველოს მუნიციპალიტეტების 70%-ში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტები თანაზომიერად ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურს და გარემოსდაცვითს და წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების მუნიციპალურ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც, თვითმმართველობა უზრუნველყოფს ადგილობრივი პოლიტიკის წარმართვას. 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭოები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2030 წლის დღის წესრიგი

ხაშურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, რომელიც შეუერთდა გლობალურ მოძრაობას გაეროს 70/1 რეზოლუციის, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის, შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დაწყებული მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესი, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 2022 წელს დაიწყო. მას შემდეგ, „დღის წესრიგი 2030“ მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის განუყოფელი და ამავდროულად, განმსაზღვრელი ნაწილია, ხოლო მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ პრიორიტეტებს, ხაშურის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი განსაზღვრავს, რომელიც 9 მიზანს, 23 ამოცანას და 30-ზე მეტ ინდიკატორს ასახავს.

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო, რომლის მთავარ მისიად განისაზღვრა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობა, მონიტორინგი და ანგარიშგება. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოში ჩართულია ყველა მუნიციპალური სამსახური, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვაში. განსაკუთრებით სასიახრულოა ახალგაზრდების და ქალთა გაზრდილი ჩართულობა. ამ მოვლენების კვალდაკვალ, გაუმჯობესდა და გაძლიერდა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, განვითარების პროცესების ზედამხედველობის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიისა და ბიუჯეტირების პროცესის შემადგენელი ნაწილი გახდა. აქედან გამომდინარე, ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად აგროვებს მონაცემებს მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების შესრულების თაობაზე, აანალიზებს და ანგარიშის სახით, წარუდგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებულ, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს.

ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის მომზადების პროცესი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR) პროცესი, გაეროს მდგრადი განვითარების ფონდის (Joint SDG Fund) ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, 2024 წლის სექტემბერში დაიწყო. აღნიშნულმა პროცესმა, საწყის ეტაპზევე, ნათლად წარმოაჩინა VLR-ის, როგორც ადგილობრივი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის აქსელერატორის/ ამაჩქარებლის და ამავდროულად, მმართველობის დონეებსა და სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და მრავალმხრივ ცოდნაზე დაფუძნებული ქმედითი ინსტრუმენტის მნიშნელობა.

ხაშურის VLR-ი ითვალისწინებს UN-Habitat-ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას - „ქმედებაზე ორიენტირებული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა“, რომელიც ეფუძება ოთხ მეთოდოლოგიურ პრინციპს: მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მონაწილეობითი, ყოვლისმომცველი და ქმედუნარიანი.

წარმოდგენილ ანგარიშში მიმოხილულია მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული 12 მდგრადი განვითარების მიზანი **(SDG 1, SDG 2, SDG 3, SDG 4, SDG 5, SDG 6, SDG 8, SDG 9, SDG 11 და SDG 16);** დოკუმენტის ყოველი თავი მოიცავს:

- მდგრადი განვითარების შერჩეულ მიზნებს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის.
- მუნიციპალიტეტზე მისადაგებული ამოცანებისა და ინდიკატორების მიმოხილვას.
- ძირითად გამოწვევებს და ამ გამოწვევების საპასუხოდ, განხორციელებულ და მიმდინარე ღონისძიებებს.
- პოლიტიკის რეკომენდაციებს შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად.

ხაშურის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის პროცესი ოთხ მთავარ ეტაპად განხორციელდა: (1) საწყისი ფაზა, (2) სიტუაციის ანალიზი, (3) კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და (4) დასკვნითი ფაზა. SDG სადისკუსიო დოკუმენტების მომზადება

მტკიცებულებებზე დაფუძნებული	მტკიცებულებები და მონაცემთა შეგროვება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს SDG-ებისკენ მიღწეული პროგრესის შესახებ მოხსენებაში და მუნიციპალური განვითარების გამოწვევებზე კარგად მიზანმიმართული და ადეკვატური რეაგირების ფორმულირებასა და განხორციელებაში.
მონაწილეობითი	მონაწილეობითი მიდგომა იძლევა მონაცემთა ეფექტიანი და ეფექტური შეგროვებისა და დამოწმების საშუალებას, მიკერძოების აღმოფხვრის ჩათვლით. ის აუმჯობესებს VLR პროცესის მფლობელობას და აუმჯობესებს ურთიერთობას პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

შინაარსობრივი და ყოვლისმომცველი	წარმოდგენილი VLR-ის მიზანია ასახოს განვითარების გამოწვევები და წარმოაჩინოს მათი გადაჭრის გზები (ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე დაფუძნებით) და გააძლიეროს 2030 წლის დღის წესრიგის მიზნები და ღირებულებები დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფში.
ქმედითუნარიანი	VLR-ის ერთ-ერთი მიზანია მოქმედების დაჩქარება, განსაკუთრებით მუნიციპალური პოლიტიკისა და სტრატეგიების, პროექტების, პროგრამების და პარტნიორული ინიციატივების შემუშავებისა და დახვეწის მხარდაჭერა; SDG-ისკენ მიმავალი პროგრესის დაჩქარების მიზნით არსებული მცდელობების გაძლიერება, რათა აღმოიფხვრას დაბრკოლებები; და მოხდეს შეგროვებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ტრანსფორმაციული ქმედებების პოტენციალის იდენტიფიცირება.

მჭიდროდ უკავშირდებოდა სანდო და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებას და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, რომელსაც ზედამხედველობას უწევდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო და ექსპერტთა ჯგუფი.

2025 წლის 16 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტმა ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (Voluntary Local Review) დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიება, ხაშურის საკრებულოს და მერიის ერთობლივი ორგანიზებით, გაერო-ს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც იდეების გაზიარებას, გამოწვევების იდენტიფიცირებასა და ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარებაში მონაწილე სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობას გულისხმობდა, ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფორუმის მონაწილეებმა, მდგრადი განვითარების მიზნების და ამოცანების ინდიკატორების შესრულების პროგრესი შეაფასეს და 2030 წლისთვის, მათი მიღწევის გზებზე იმსჯელეს

ხაშურის SDG პროგრესის მიმოხილვა

ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლში, ზღვის დონიდან 690 მეტრზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ფართობია 585 კვადრატული კილომეტრი და საქართველოს მთლიანი ფართობის 0.84%-ს შეადგენს. მანძილი დედაქალაქიდან ხაშურამდე 120 კილომეტრია.

ხაშურის კლიმატი და მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა მას ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების უნიკალურ ზონად აქცევს. სურამისა და ქვიშხეთის სამკურნალო წყლები და ტყის რესურსები განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობას ქმნის მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში მდებარეობს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები: სურამის ციხე, წრომის ტაძარი, სურამის წმინდა გიორგის ტაძარი, კვირაცხოვლის ეკლესია, წაღვლის და წრომის ნასოფლარები და სხვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე სახის მინერალური რესურსია, მათ შორის, კირქვა, სააგურე თიხა, კვარც-მინდვრის შპატიანი ქვიშა, რკინა და სხვა. მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს მინერალური და თერმული წყლების რესურსი.[1]

მინერალური რესურსები ხაშურის მუნიციპალიტეტში

#	რესურსი	საბადოს სახელი	მუნიციპალიტეტი	ადგილმდებარეობა	რაოდენობა	ერთეული	გამოყენება
1	ტალკი	ჩორჩანის ჯგუფის ტალკი	ხაშური	ჩორჩანა	245000	ტ	ქიმიური მრეწველობა
2	კირქვა	ბრილი	ხაშური	ბრილი		ტ	კირისთვის
3	სუსპენტიტი	თეთრი მინდორი	ხაშური			მ³	ღორღი
4	გაბრო	უწლევი II	ხაშური	უწლევი		მ³	მოსაპირკეთებელი ქვა
5	კვარცმინდვრის შპატიანი ქვიშა	ქემფერი	ხაშური	ქემფერი		მ³	სამშენებლო ნედლეული
6	კირქვა	ალი	ხაშური	ალი	2114000	ტ	კირისთვის
7	სააგურე თიხა	ხცისი	ხაშური	ხცისი		მ³	სააგურე თიხა
8	დოლომიტი, საფლუსე კირქვა	აბანო	ხაშური	სოფელი წაღვლი		მ³	მასალების დასამზადებლად
9	რკინა	ძამა	ხაშური	ძამის ხეობა			მეტალურგია
10	მოლიბდენი	ღართა	ხაშური	ღართა			მეტალურგია

[1]წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

#	თერმული/ მინერალური წყალი	ადგილმდებარეობა	სასარგებლო თვისებები
1	მინერალური წყალი (რკინის წყალი)	სურამი[2]	გამოიყენება ანემიისა და სისხლნაკლებობის სამკურნალოდ
2	მინერალური წყალი	ჩუმათელეთი	სახსრების დაავადების სამკურნალოდ
3	მინერალური–თერმული წყალი	ქვიშხეთი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
4	მინერალური წყალი (ღარიბაღელე)	სურამი/ხაშური	კუჭის წყლულის და კანის დაავადებების სამკურნალოდ
5	თერმული წყალი	წრომი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
6	თერმული წყალი	მიწობი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ

ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის ბუნებრივი საფრთხეებიდან დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობები და მეწყერი, არის გვალვისა და ხანმოკლე სეტყვის შემთხვევები. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებსა და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba

[2]დაბა სურამი ხასიათდება სულფიდური მინერალური წყლებით, ქ. ხაშურის ჩრდილო-დასავლეთით 4 კმ-ზე, ზღვის დონიდან 900-1000 მეტრზე. 1948 წელს დაბა სურამი გამოცხადდა კურორტად.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 49,3 ათას ადამიანს, რომელთა 48,9% ქალაქში, ხოლო 51,1% სოფლებში ცხოვრობს. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობის რიცხოვნობის კლება, ასევე დაბერება, რაც სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობაზე აისახება.[3] შემცირება, ნაკლები იყო შიდა ქართლის რეგიონთან შედარებით (28%), ანალოგიურ პერიოდში.

მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით; 30 წლის განმავლობაში, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 6%-ით გაიზარდა და 2024 წელს, 16.2%-ს მიაღწია.

[3]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia



ბუნებრივი მატება რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით[4] (კაცი)

თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
საქართველო	10 128	5 798	4 614	1 637	-4 017	-6 799	-13 960	-6 799	-2 542
შიდა ქართლი	569	357	210	-162	-242	-472	-1 116	-713	-508
ხაშურის მუნიციპალიტეტი	97	-24	19	-114	-154	-236	-302	-186	-161

მოსახლეობის მედიანური ასაკი[5]

	ორივე სქესი	კაცი	ქალი
მედიანური ასაკი ხაშურის მუნიციპალიტეტში	39	37	42
მედიანური ასაკი შიდა ქართლის რეგიონში	39	36	41

[4]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba
[5]2014 წლის მონაცემებით; წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მუნიციპალიტეტში არის 1 ადმინისტრაციული ცენტრი, - ხაშური, 1 დაბა - სურამი და 82 სოფელი. თვითმმართველობა დაყოფილია 13 ადმინისტრაციულ ერთეულად. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 37 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.[6] ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს-მუნიციპალიტეტის საკრებულოს და აღმასრულებელი ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულო აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლებების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტში არის 1 ადმინისტრაციული ცენტრი, - ხაშური, 1 დაბა - სურამი და 82 სოფელი. თვითმმართველობა დაყოფილია 13 ადმინისტრაციულ ერთეულად. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 37 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.[6] ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს-მუნიციპალიტეტის საკრებულოს და აღმასრულებელი ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულო აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლებების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობით.

2023 წელს, ხაშურში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი, 1994 წელთან შედარებით, 51%-ით შემცირდა. ანალოგიურ პერიოდში საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 30%-ით შემცირდა.



[6]საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მკვდრადშობილთა რიცხოვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (კაცი)[7]

თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ხაშურის მუნიციპალიტეტი	13	10	6	7	10	13	3	6	4	-

გარდაცვლილთა რიცხოვნება რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (კაცი)[8]

თვითმმართველ ი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ხაშურის მუნიციპალიტეტი	710	808	728	727	701	792	897	690	631	-



[7]წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba
[8]წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე[9]

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე ხაშურის მუნიციპალიტეტში	63,7	63,6	63,6	63,6	63,5	63,5	63,2
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე შიდა ქართლის რეგიონში	75.6	75.0	74.4	74.1	73.1	72.9	71,2
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე საქართველოში	65.2	65.1	65.0	65.2	64.5	65.3	64,6

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული. მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობია 20 308 ჰექტარი, აქედან სახნავ სათესი მიწის ფართობია 11 032 ჰექტარი, ხეხილის ბაღები-3 036, ხოლო სათიბ-საძოვი 6 240 ჰექტარი. სოფლის მეურნეობა ძირითადად მოიცავს მარცვლეულის, ბოსტნეულის და უნიკალური ჯიშის ყურძნის მოყვანას. მოსახლეობა ასევე მისდევს მეცხოველეობას, მეფუტკრეობას და მეთევზეობას. ადგილობრივი

[9]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილია მცირე საწარმოები, გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის დარგში, ასევე, საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს მის საზღვრებში შემავალი კულტურულ-ისტორიული და რელიგიური ღირებულებების მქონე ძეგლების სიმრავლე განსაზღვრავს. ხაშურის მუნიციპალიტეტი ოთხივე ტურისტული სეზონისთვისაა საინტერესო. ამიტომ, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარებისათვის, ტურისტული პოტენციალი განიხილება, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული სფერო. 2021 წლის 6 აპრილს დამტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა“. ხაშურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით. მუნიციპალიტეტში მდებარეობს დაახლოებით 180-მდე ტურისტული ძეგლი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ტურიზმის განვითარება გაზრდის დასაქმების მაჩვენებელს, შემოსავლებს და დამატებით სტიმულს მისცემს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გასაღებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 15 სასტუმრო ფუნქციონირებს. საოჯახო სასტუმროების უმეტესობა დაბა სურამშია განთავსებული. ქალაქ ხაშურში მდებარეობს სასტუმრო „ივერია“, სოფელ ქვიშხეთში - სასტუმრო „მწერლები“. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში არის საოჯახო სასტუმროების სიმცირე, პარალელურად კი მზარდი მოთხოვნა, რაც ქმნის დასასვენებელი სივრცეების დეფიციტს და ზრდის არსებულის ფასს. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების ნაკლებობა შეიძლება დავასახელოთ. ერთ-ერთი კარგ პრეცედენტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის“ გამოყენებით სოფ. ცივწყაროში მოწყობილი საოჯახო ტიპის სასტუმრო.

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა და მთლიანი ფართობი ხაშურის მუნიციპალიტეტში[10] (დეკლარირებული მონაცემები)

	2018	2019	2020	2021	2022	2023
რაოდენობა	5	7	5	11	12	15
ფართობი ათასი კვ.მ.	2.2	4.7	2.7	5.3	9.7	10.9

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაახ. 3-ჯერ გაიზარდა და 40 მლნ. ლარს მიაღწია 2016-2023 წლებში. მათ შორის, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები 277 ლარიდან 793 ლარამდე გაიზარდა ანალოგიურ პერიოდში. მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების წილი 70%-დან 76%-მდე გაიზარდა 2016-2023 წლებში. ქონების გადასახადიდან შემოსავლები მთლიანი მუნიციპალიტეტის შემოსავლების დაახ. 10%-ს შეადგენდა 2023 წელს.

[10]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka



ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 453 მლნ. ლარი შეადგინა 2023 წელს. აღნიშნული 2.5-ჯერ აღემატება 2014 წელს არსებულ ბრუნვას. ასევე, გაზრდილია ბიზნეს სექტორის გამოშვება თითქმის 4-ჯერ 230 მლნ. ლარამდე, ანალოგიურ პერიოდში.



მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სფეროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადგილობრივ ეკონომიკაში. ხაშურის სარკინიგზო კვანძი და ავტომაგისტრალები დასაწყობებისა და სატრანსპორტო სერვისების გაძლიერებას ემსახურება. მუნიციპალიტეტში ინვესტიცია ხორციელდება ტურიზმის განვითარებაში. ამ მიმართულებით ეკონომიკური აქტივობის ზრდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას ქმნის.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები, უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. სურამისა და ხაშურის ეპარქია - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიაა. შეიქმნა 2013 წლის 11 ოქტომბრის წმინდა სინოდის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად. ეპარქიის საზღვრები ემთხვევა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

არასამთავრობო სექტორი. ხაშურის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო სექტორი ფართოდ წარმოდგენილი არ არის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ შორისაა:

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტი“, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- ახლად დაფუძნებული ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართვა რეგიონის განვითარებაში, მათი დასაქმების ხელშეწყობა და მათთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა;
- ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირი“, რომლის მიზანია ქალი მეწარმეების ხელშეწყობა, რეგიონში მცხოვრები ქალების აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში, მათი ჩართვა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

მედია. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მედია ორგანიზაციები მწირი სახითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა გაზეთი „ხაშურის მოამბე“, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მაუწყებლობს ონლაინმედია TV-ივერია (კერძო სექტორი).

დამეგობრებული ქალაქები. ხაშურის მუნიციპალიტეტი 7 ქვეყნის 9 ქალაქთანაა დამეგობრებული. მას პარტნიორობის შესახებ მემორანდუმი გაფორმებული აქვს შემდეგ ქალაქებთან:

- ბელორუსი: გორკი
- ისრაელი: რამლა
- ლატვია: ბაუსკა
- ლიეტუვა: რადვილიშკისი
- პოლონეთი: ტარნოვი, შრემი
- უკრაინა: ნოვოგრად-ვოლინსკი, ობუხოვი
- შვედეთის სამეფო: ჰედემორა

დაძმობილებულ ქალაქებთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები ითვალისწინებს ოფიციალური დელეგაციების, ტურისტული ჯგუფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების, სპორტსმენების და სხვა პირების გაცვლით ვიზიტებს. ასევე, გამოცდილების გაზიარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მუნიციპალური სერვისები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მოწყობა, დეცენტრალიზაცია, გარემოს დაცვა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ვაჭრობა, კულტურა, სპორტი, სოციალური დაცვა და დასვენების ორგანიზება.

SDG 1
სიღარიბის აღმოფხვრა

SDG 1 ემსახურება სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრას 2030 წლისთვის. ეს მიზანი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს სოციალური დაცვის სისტემებზე, საბაზისო სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე, ასევე, ეკონომიკური და კლიმატური შოკების წინაშე, განსაკუთრებით მოწვყლადი ჯგუფების მედეგობის განმტკიცებაზე.

2022 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ ჩარჩო დოკუმენტში ხაზგასმულია SDG 1-ის, მნიშვნელობა და აღწერილია ის ზომები, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს სიღარიბის აღმოფხვრის მიზნით, 2030 წლის ჩათვლით. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ექვსი პრიორიტეტიდან ერთ-ერთს „ჯანდაცვა და სოციალურ უზრუნველყოფა“ წარმოადგენს. ამ პრიორიტეტის ფარგლებში დასახული ამოცანები და ღონისძიებები მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების ბადის გაძლიერებისკენ, სიღარიბის დაძლევისკენ, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესებისკენ. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში დეტალურად არის წარმოდგენილი ის ღონისძიებები და ფინანსური რესურსები, რომლებიც მუნიციპალიტეტში SDG 1-ის მიღწევასა და შესაბამისი ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს.

აგრარული მეურნეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყაროა. მუნიციპალიტეტი აღიარებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მნიშვნელობას, ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებთ კი სოფლად მცხოვრები ხალხის კეთილდღეობისთვის. მუნიციპალიტეტში ხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობის პრაქტიკის მოდერნიზაციასა და ადგილობრივი ფერმერების გაძლიერებაზე. ბუნებრივი რესურსების და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი აგრარული სფერო გარდაქმნას მდგრად და კონკურენტუნარიან სექტორად და ამავდროულად, ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგებია: მიწათმოქმედება, მეხილეობა, მებაღეობა, მებაღჩეობა, მებოსტნეობა, მებოცვრეობა, მევენახეობა, მეთევზეობა, მეთესლეობა, მეკარტოფილეობა, მემცენარეობა, მონადირეობა, მეტყევეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეღორეობა, მეცხენეობა, მეცხვარეობა[11].

[11]წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

ადმინისტრაციული ერთეული	წამყვანი (დომინანტი) დარგები
ალი	მევენახეობა, მარცვლეული კულტურები, მესაქონლეობა
წაღვლი	მევენახეობა, მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა
ფლევი	მარცვლეული კულტურები, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა
გომი	მეხილეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურები, მესაქონლეობა
წრომი	მარცვლეული კულტურები, მესაქონლეობა
ხცისი	მარცვლეული კულტურები, მესაქონლეობა
ცხრამუხა	მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული, მესაქონლეობა
ქვიშხეთი	მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა
სურამი	მევენახეობა, მარცვლეულის წარმოება
ცოცხნარა	მესაქონლეობა, მარცვლეულის წარმოება
ხალები	მესაქონლეობა
ხაშური	მარცვლეულის წარმოება, მეხილეობა

მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით „სოფლის განვითარების სააგენტო“ ახორციელებს პროგრამებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტშიც, რომლებიც ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2015-2024 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები:[12]

სახელმწიფო პროექტები	მონაცემები	სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა	გაშენებულია
შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა	10 703 893 ლარი 296 სესხი	1 174 747 ლარი	-
პროგრამა „დანერგე მომავალი“	55 განაცხადი	1 420 738 ლარი	205 ჰა
პროგრამა „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტი	62 განაცხადი	456 000 ლარი	-
აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში	გაცემულია 134 პოლისი	40 436 ლარი	დაზღვეულია 186 ჰა
პირველადი წარმოების კომპონენტის ფარგლებში	12 ხელშეკრულება	13 738 ლარი	-
ახალგაზრდა მეწარმე	1 მეწარმე	37 188 ლარი	-
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა	26 ხელშეკრულება	252 456 ლარი	-
აგროწარმოების ხელშეკრულების სახელმწიფო პროგრამა	3 ფერმერი	18 386 ლარი	-
მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით თანადაფინანსების პროგრამა	97 ბენეფიციარი	-	-
მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა	აშენდა 18 ფერმა	-	-
მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა	სოფ.ცივწყარო ში მოეწყო საოჯახო ტიპის სასტუმრო	-	-
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა	სოფ. ალში	-	-
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა	სოფ. გომში და სოფ. ალში სამაცივრე მეურნეობა		
შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა	მუნიციპალიტეტში გაიხსნა 3 ახალი საწარმო: ➢ ხაშურში-კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხანა; ➢ სოფ.ქინძათში-პირუტყვის სასაკლაო; გაფართოვდა 3 საწარმო: ➢ გომის სპირტის ქარხანა; ➢ შპს ანსა; ➢ ი/მ ვასილ გიკაშვილი;		

[12]წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მუნიციპალიტეტში ქალები მამაკაცებზე მეტად არიან ჩართულები დაბალშემოსავლიან საქმიანობაში, როგორიც არის შიდასამეურნეო წარმოება. კაცებთან შედარებით ქალების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მცირემასშტაბიანია. ქალების შრომა სოფლად ხშირად ასოცირდება ოჯახურ პასუხისმგებლობასთან და აუნაზღაურებელი რჩება. დასაქმებულ ქალებს კი სოფლის მეურნეობის ყველა სექტორში უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე კაცებს. ამას ემატება ქალთა შეზღუდული წვდომა ისეთ რესურსებზე როგორიცაა: მიწა და ფინანსები. ხაშურის მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირის“ განვითარებას, რომლის მიზანია ქალი მეწარმეების ხელშეწყობა, რეგიონში მცხოვრები ქალების აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში, მათი ჩართვა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება სასოფლო-სამეურნეო მიწების გასარწყავება. არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების 14 068 ჰექტრის მხოლოდ 6% ირწყვება და ისიც გაუმართავი შიგა სარწყავი სისტემებით. 80 დასახლებული პუნქტიდან გასარწყავებულია

მხოლოდ გომის, ოსიაურის და ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეულების 6 სოფლის 850 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.[13] 1990 წლების მონაცემებით, თვითდინებით გასარწყავებული იყო 5 ადმინისტრაციული ერთეულის 3 600 ჰექტარი მიწის ფართობი. სოფ. ხცისის სატუმბი სადგურით 2 ადმინისტრაციული ერთეულის 685 ჰექტარი და „ზემო ხაშურის“-ს სატუმბი სადგურით 3 ადმინისტრაციული ერთეულის 18 დასახლების 2 650 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. სულ გასარწყავებული იყო 6 935 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. თანამდეროვე ეტაპზე „ზემო ხაშურის“ სარწყავი სისტემა მთლიანად განადგურებულია, სავალალო მდგომარეობაშია სოფ. ხცისის სარწყავი სისტემაც, რაც შეეხება შიდა სარწყავ სისტემებს, ისინიც სარეაბილიტაციოა. არსებულმა სიტუაციამ დაბალ პროდუქტიული და არარენტაბელური გახადა ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერების სამეურნეო საქმიანობა, ეს არის უმნიშვნელოვანესი ხელშემშლელი ფაქტორი, რის გამოც ისინი მონაწილეობას ვერ იღებენ სამთავრობო პროგრამებში. ამის მოგვარება გაზრდის მათ საოჯახო შემოსავლებს და ბევრი ოჯახი დაძლევს სიღარიბესთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს კომპლექსურ ზომებს სიღარიბის წინააღმდეგ, პირველ რიგში, ადგილობრივი პრიორიტეტების დოკუმენტში სოციალური დახმარების მიმართულება თანხვედრაში უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნებთან და ეროვნულ სტრატეგიასთან „ხედვა 2030“. მუნიციპალიტეტის ძალისხმევა ერთის მხრივ მიმართულია მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაზე და სოციალური პროგრამების განხორციელებაზე, მეორეს მხრივ, ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისაკენ, ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ, რაც საერთო ჯამში ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას სიღარიბის დაძლევაში.



სიღარიბის აღმოფხვრის მუნიციპალური სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, ეროვნულ დონეზე არსებული სოციალური უთანასწორობის შემცირება დამატებითი მიზნობრივი მუნიციპალური სოციალური დახმარებების პროგრამების იმპლემენტაციით ადგილობრივი



მოსახლეობისათვის. 2024 წლის განმავლობაში ადგილობრივმა თვითმმართველობამ წარმატებით განახორციელა 23 მუნიციპალური სოციალური პროგრამა. ღონისძიებების ღონისძიებების ფარგლებში პირდაპირი ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარება გაეწია მცირე შემოსავლის მქონე 1 129 ოჯახს, ასევე 2 633 ბენეფიციარს. ისეთი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად როგორიცაა საკვები პროდუქტების შეძენა, კომუნალური და მგზავრობის ხარჯების დაფარვა, ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური პროგრამები, რომლის მიზანია რეგისტრირებული ან/და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევის/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით (კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოცილურად მოწყვლადი მოსახლეობა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები. და ა.შ. ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი სხვადასხვა რისკი ქვეშ მყოფი ბავშვთა და მშობელთა ცენტრები:

#	ცენტრის დასახელება	ბენეფიც. არაოდენობა	დაფინანსება	მიზანი	მენეჯერი	მისამართი
1	ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი	4 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	ბენეფიციარები იღებენ განათლებას, ჩართული არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით	ლილი სტეფანი ანი	ქ.ხაშური, მეტრეველი ქ. #23
2	ა(ა)იპ საზოგაოება ბილიკის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი	5 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	იღებენ განათლებას, ჩართულნი არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით	ია ტალახაძე	ქ.ხაშური, პუშკინის ქ. #24
3	ა(ა)იპ საზოგადოებს ბილიკის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი (ჩარიცხვის საფუძველია პარტულისა და თრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიმართვა	4 2 დედა, 2 შვილი გათვლილია 10 ბენეფიციარზე	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	ბენეფიციარები ცხოვრობენ თავშესაფარში, უზრუნველყოფილნი არიან კვებით, კომუნალური მომსახურებით, ჰიგიენური საშუალებებით, ეტაპობრივად იღებენ სხვადასხვა მომსახურებებს.	ლიკა წიქარი შვილი	ქ.ხაშური, იმერეთის ქ.#20
4	ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი „მომავლის სახლი“	28	მუნიციპლიტეტი აფინანსებს დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს 18 წელს ზემოთ (არაუმეტეს 8 ბენეციფიარი) 50 ლარი თითოეულზე	ბევეფიციარები ჩართულები არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, ასევე სარგებლობენ საჭიროების მიხედვით გამოკვეთილი მომსახურებით, ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობებში	ნინო აბაიაძე	ქ.ხაშური, გორკის ქ#2
5	სსიპ ხაშურის #2 საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული „შშმ მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრი“	25	ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადის შესაბამისად, ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად. პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ს ს ი პ ხაშურის N2 საჯარო სკოლის სამურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად	შშმ ბავშვები იღებენ სხვადასხვა სახის მომსახურებებს, ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის, აქვთ სხვადასხვა სახის განმავითარებელი აქტივობები.	ეკა გურასპა შვილი	ქ.ხაშური, რუსთაველი ს ქ. 95
6	თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, ხაშურის ფილიალი „ადრეული განვითარების რეაბილიტაცია-აბილიტაცია“	60 (7 წლამდე ბავშვები სხვადასხვა შეზღუდვით)	ადგილობრივი ბიუჯეტი	ფიზიოთერაპია, მასაჟი, წვრილი მოტორიკა, მსხვილი მოტორიკა, მეტყველების თერაპევტი, ლოგოპედი	ლელა გელაშვილი	მაისის ქ. V საბავშვო ბაღი

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

2012 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალურ პროგრამაში ძირითადად აისახა (ჩაისვა) მედიკამენტების დაფინანსება და არის დღემდე.[14]

ბოლო 5 წლის განმავლობაში მუნიციპალური დახმარება მედიკამენტების ხელმისაწვდომობაზე	651 026.00 ლარი
ბენეფიციარების რაოდენობა	1 982
მათ შორის ქალი	60%
მათ შორის კაცი	40%

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის ინიციატივით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ადრეული განვითარების რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამა ამუშავდა, დღეის მდგომარეობით ფართი გამოყოფილია, გარემონტებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. ცენტრში მომსახურებას უწევენ 0-დან 7 წლამდე ბავშვები, რომელთაც გამოხატული აქვთ ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების შეზღუდვა, ხდება ფსიქოლოგის მომსახურება, მასაჟისტის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის. მოხდება ბავშვთა მსხვილი და წვრილი მოტორიკული უნარების შენარჩუნება განვითარება. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია

[14]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

უფასო კვება, იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ უფასო კვებით დღეში ერთხელ სამ-კომპონენტიანი საკვებით, კვირაში 7 დღის განმავლობაში- შეადგენს 185 ადამიანს.

2021-2024 წლებში მიზნობრივი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად მუნიციპალური ბიუჯეტის საშუალოდ 4,3 % იხარჯებოდა. მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტში 2023 წლიდან ფუნქციონირებს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია ამ მოწყვლადი, დაბალ კონკურენტუნარიანი ჯგუფისათვის დასაქმების ხელშეწყობის ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება ორიენტირებული. პროგრამის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. მოხდა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოება, დამუშავება და ანალიზი.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შშმ პირთათვის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება;
ბ) შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალურ დონეზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა;
გ) საშუამავლო მომსახურების მიწოდება-განვითარება;
დ) მოწყვლადი, დაბალ კონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
ე) ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევის განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთჯერ;
ვ) სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა;პროგრამის ამუშავებისთანავე გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა დაცული სამუშაო ადგილი-დამსაქმებლების მიერ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არის ადაპტირებული.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ეროვნულ დონეზე, საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030 სიღარიბის შემცირებას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ასახელებს და ხაზს უსვამს ინტეგრირებული მიდგომების გამოყენების აუცილებლობას ცხოვრების დონის ასამაღლებლად. დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 მუნიციპალიტეტებს განიხილავს სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამების განხორციელებისა და სოციალური უსაფრთხოების ბადის გაძლიერების საკვანძო აქტორებად. საქართველოს ადგილობრივი კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლებამოსილება განახორციელონ ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით.

სიღარიბის დასაძლევად ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მხარდამჭერი ღონისძიებები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განვითარების სტრატეგიასთან. აღნიშნული ძალისხმევა ერთის მხრივ, მიმართულია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელებისკენ, მეორეს მხრივ, ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ.

ამოცანის მიმოხილვა

ხაშურის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღები და სახელმწიფო დასაქმების პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა 3,157 ოჯახს შეადგენდა 2021 წელს და 3,058 ოჯახამდე შემცირდა 2025 წლისათვის.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა მცირედით შემცირდა ხაშურის მუნიციპალიტეტში. თუმცა, გაზრდილია საარსებო შემწეობის მიმღები 16 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა. 2021 წელს, 3,950 16 წლამდე ასაკის პირი იღებდა შემწეობას და 4,319-მდე გაიზარდა 2025 წლისათვის.



1.3. 2030 წლისთვის, სოციალური დახმარების პროგრამების რაოდენობის (ფულადი და არაფულადი) და მუნიციპალური ტრანსფერების ზრდა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

1.3.1.1. მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობა, რომლებზეც გაიცემა ფულადი და არაფულადი დახმარება. 1.3.1.2. მოწყვლადი ჯგუფებისთვის ბიუჯეტიდან ჯამურად გაცემული თანხა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები 1.3.1.1	10	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	10
საბაზისო მაჩვენებლები 1.3.1.2	1,093,230 ლარი	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	1,428,000 ლარი
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 და 2024 წლებში, სოციალური დახმარების პროგრამების რაოდენობა არ შეცვლილა (10) და 2030 წლის მიზნობრივი მაჩვენებლის შესაბამისია. თუმცა, მუნიციპალური ტრანსფერები, 1.1 მლნ ლარიდან 2,55 მლნ ლარამდე გაიზარდა, იმავე პერიოდში. სოციალური დახმარების პროგრამებზე საშუალო ტრანსფერი 2022 წელს 109,323 ლარს შეადგენდა და 254,720 ლარამდე გაიზარდა 2024 წლისთვის. აღნიშნული აჭარბებს 2030 წლისათვის დაგეგმილი 1,43 მლნ ლარის ტრანსფერს სოციალური დახმარების პროგრამებზე.



1.4.1.1. იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება წყალმომარაგების ქსელით მომსახურებაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში. 1.4.1.2. იმ ქუჩების პროპორციული ოდენობა სადაც ექსპლუატაციაშია გარე განათება.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები 1.4.1.1	70%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	95%
საბაზისო მაჩვენებლები 1.4.1.2	98%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	100%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2024 წელს, წყლის დრენაჟის სისტემის მქონე ქუჩების წილი იყო 75%, აღნიშნული 5%-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. ხაშურის მუნიციპალიტეტი გეგმავს წყლის დრენაჟის მქონე ქუჩების წილის ზრდას 95%-მდე 2030 წლისთვის.

2024 წელს გარე განათების მქონე ქუჩების წილი არ შეცვლილა და 2022 წელთან შედარებით და 98%-ს შეადგენდა. დაგეგმილია, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა 100%-მდე 2030 წლისათვის.



1.ა. 2030 წლისთვის გაიზრდება ბიუჯეტის ხარჯვის წილი ძირითად სერვისებზე (განათლება, სოციალური დახმარება).

1.ა. ძირითად სერვისებზე მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	სოციალური დაცვა-4.3%; განათლება-9 %	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	სოციალური დაცვა-4.3%; განათლება-12%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2024 წელს, განათლების ბიუჯეტის წილი იყო 9% და არ შეცვლილა 2022 წელთან შედარებით. თუმცა, დაგეგმილია ბიუჯეტის წილის ზრდა 12%-მდე 2030 წლისათვის. 2024 წელს, სოციალური დახმარების ბიუჯეტის წილი გაიზარდა +1%-ით 5.3%-მდე, 2022 წელთან შედარებით.



გამოწვევები. ხაშურის მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც საქართველოს ბევრ სხვა მუნიციპალიტეტში, სიღარიბე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით მკვეთრად სიღარიბე სასოფლო დასახლებებში იჩენს თავს. სიღარიბის დასაძლევად მიღებული ზომების მიუხედავად, ეკონომიკური სიდუხჭირე ადგილობრივი მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა, რაც უკავშირდება სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის სიმწირეს და შეზღუდულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ინფრასტრუქტურაზე, ასაკოვანი მოსახლეობის სიმრავლეს და დასაქმების შესაძლებლობების სეზონურობას.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ პროფილს თუ გადავხედავთ, ნათლად ჩანს დამოკიდებულება სოფლის მეურნეობაზე, მცირე მეწარმეობასა და უცხოეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებზე. ადგილობრივ დონეზე არსებული ეკონომიკური აქტივობები ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სრულად ამოყვანას სიღარიბიდან. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ქალები და ახალგაზრდები.

ინიციატივები და ქმედებები. მუნიციპალური ინიციატივების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას მიმდინარე სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება წარმოადგენს დამატებითი მიზნობრივი, მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამებით ადგილობრივი მოსახლეობისთვის. 2021 წელს, მიზნობრივი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად მუნიციპალური ბიუჯეტის საშუალოდ 4,3% იხარჯებოდა. 2024 წლის განმავლობაში, ადგილობრივმა თვითმმართველობამ წარმატებით განახორციელა 26 მუნიციპალური სოციალური პროგრამა. ღონისძიებების ფარგლებში, პირდაპირი ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარება გაეწია ისეთი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა საკვები პროდუქტების შეძენა, კომუნალური და მგზავრობის ხარჯების დაფარვა.

ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები მუნიციპალიტეტში სიღარიბის აღმოფხვრის ქვაკუთხედს წარმოადგენს. 2024 წელს ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად ბიუჯეტის დაახლოებით 56,4%-ის ინვესტირებას ახორციელებს გზების, წყლის სიტემებისა და შენობა-ნაგებობების მშენებლობაში, რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვაში. სოფლებში გზების მოასფალტების სამუშაოები აკავშირებს სოფლებს ერთმანეთთან და მუნიციპალურ ცენტრთან. მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოები კი ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის მედეგობას კლიმატის წინაშე. ეს პროგრამები ერთი მხრივ აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს, მეორეს მხრივ, ავითარებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ადგილობრივი მეწარმეების და გასაღების ბაზრების ერთმანეთთან დაკავშირების გზით.

SDG 2
შიმშილის აღმოფხვრა

SDG 2 ემსახურება შიმშილის დასრულებას, საკვები რაციონის გაუმჯობესებას და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. ის პრიორიტეტს ანიჭებს მცირე ფერმერების განვითარების ხელშეწყობას, მდგრადი სასურსათო სისტემების ჩამოყალიბებას და საკვები ნივთიერებებით მდიდარ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის უდიდესი წილი სოფლის მეურნეობაზე მოდის. ეს სექტორი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტაბილურობის ქვაკუთხედია და ამავე დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის საკვები პროდუქტების უზრუნველყოფისათვის. აგრარული მეურნეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყაროა. მუნიციპალიტეტი აღიარებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მნიშვნელობას, ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებთ კი სოფლად მცხოვრები ხალხის კეთილდღეობისთვის. მუნიციპალიტეტში ხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობის პრაქტიკის მოდერნიზაციასა და ადგილობრივი ფერმერების გაძლიერებაზე. ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ სფეროშია დასაქმებული და მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია წარმოადგენს.[15]





ხაშურის მუნიციპალიტეტის მიწის საერთო ფართობია 585 260 ჰა., საიდანაც 20 308 ჰა (3,5%) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. აქედან, სახნავ-სათესი სავარგულები - 11 032 ჰა-ს (სავარგულების 54%), ხეხილის ბაღები - 3 036 ჰა-ს(15%), სათიბ-საძოვარი - 6240 ჰა-ს (31%) შეადგენს.

[15]წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 6 362 ჰა-ს შეადგენს, ხოლო კერძო საკუთრებაშია 13 946 ჰა. მათ შორის, კერძო საკუთრებაა სახნავი ფართობების 99%-ი, მრავალწლიანი ნარგავების 99%-ი. რაც შეეხება სათიბებსა და საძოვრებს, კერძო საკუთრებაშია 12%-ი. ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესი მიწები 30 ჰექტარით შემცირდა, რაც მოდიდებული მდინარეების ნაპირების ჩარეცხვითაა გამოწვეული. ამასთან, ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციას, რაც წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას უკავშირდება (ამ მიზეზით დეგრადირებულია სახნავ-სათესი სავარგულების 1 000 ჰა, რაც მთლიანი სავარგულების 5%-ის შეადგენს). ეს სექტორი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტაბილურობის ქვაკუთხედია და ამავე დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის საკვები პროდუქტების უზრუნველყოფისათვის. აგრარული მეურნეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყაროა.

ერთწლიანი მარცვლეული კულტურების ფართობები (ჰა) და მოსავლიანობა (ტ)[16] ხაშურის მუნიციპალიტეტში.

ფართობი (ჰა)

ერთწლიანი მარცვლეული კულტურები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ხორბლის კულტურა	2255	1445	1560	1580	1960	2100	1942
ქერის კულტურა	475	290	320	350	440	500	550
შვრიის კულტურა	710	740	760	700	700	690	700
სიმინდის კულტურა	2685	3020	3040	3120	3195	3200	3300

მოსავლიანობა (ტ)

ერთწლიანი მარცვლეული კულტურები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ხორბლის კულტურა	6765	3720	4036	3792	5500	4830	4300
ქერის კულტურა	1078	576	601	595	900	1010	1100
შვრიის კულტურა	781	740	760	980	1100	1035	1050
სიმინდის კულტურა	12888	16120	13984	12833	14200	14400	16117

მარცვლეული კულტურებიდან, ყველაზე დიდი წილი სიმინდის კულტურაზე მოდის, რადგან ის განეკუთვნება შედარებით ადვილად მოსავლელ და შენახვად პროდუქტს და ხასიათდება სტაბილური სარეალიზაციო ფასით. თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება ნათესი ფართობების კლების ტენდენცია, რადგან დიდია მავნებელი ავადმყოფობებით გამოწვეული ზარალი, ამასთან, დაბალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა.

[16]წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მევენახეობა ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგად ითვლება და მას მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში მისდევენ. დღეისათვის, ვენახების საერთო ფართობი 593 ჰექტარს შეადგენს.

ბოლო წლებში, ადგილობრივ ყურძნის ჯიშებზე (პინო, ჩინური, გორული მწვანე, ძელშავი, ქვიშხურა, შავკაპიტო) მოთხოვნა და ფასიც სტაბილური გახდა.

მესაქონლეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება პირუტყვის სულადობის კლება, თუმცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მიწის რესურსი (ბუნებრივი სათიბები, საძოვრები) პირუტყვის სულადობის რამდენჯერმე გაზრდის საშუალებას იძლევა. ამასთან, საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება პირუტყვის ვაქცინაციის საჭიროების საკითხზე.

პირუტყვის სულადობა (ათასი ცალი) და პროდუქტიულობა წლების მიხედვით[17]	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
მსხვილფეხა პირუტყვი	10635	10063	9070	9228	8315	7520	7100
წველადობა(ლიტრი)	9871	9920	8688	9382	7994	5950	6200
ხორცპროდუქტები	642	638	544	553	498	430	415
ცხვარი	1237	648	655	725	2545	1710	1810
წველადობა (ლიტრი)	62	32	33	36	127	26	98
ხორცპროდუქტები	16.30	8	8	9	33	28	30
მატყლი (კგ)	3092.5	1500	1600	1800	6100	4250	4500

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია **მეფუტკრეობა**. ბოლო წლებში, დარგისადმი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა. დღეისათვის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 2360-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი. ამ საქმითაა დაკავებული 12 მოყვარული და 59 პროფესიონალი მეფუტკრე. მეფუტკრეთა თითქმის ნახევარი (29 მეფუტკრე) ხაშურისა და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებშია განლაგებული. ყოველწლიურად იწარმოება 33 ტონა მაღალხარისხიანი თაფლი, მუნიციპალიტეტში არსებობს მეფუტკრეობის მიმართულებით მოქმედი 4 კოოპერატივი. თაფლის გასაღება შიდა ბაზარზე ხორციელდება. რეგიონის მასშტაბით არ არსებობს თაფლის ხარისხის კვლევის ლაბორატორია. ბოლო პერიოდში განვითარდა და ზრდის პერსპექტივა გაუჩნდა **მეთევზეობას**. ამ ეტაპისათვის, იწარმოება 12 ტონაზე მეტი კალმახი (წელიწადში). საკალმახე მეურნეობებს ინდივიდუალური მეწარმეები ფლობენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი, ნიადაგური და კლიმატური პირობები საუკეთესოა **მეხილეობის** განვითარებისათვის. ადგილობრივი ტყეები მდიდარია გარეული ხილით (პანტა, მაჟალო, მოცვი, მაყვალი, ასკილი, ჟოლო და სხვ.) მოსახლეობის კერძო მეურნეობებში, ასევე, გვხვდება ვაშლის, უეკლო მაყვლის, ნუშის, სხვადასხვა ჯიშის ქლიავის ნარგავები. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, მოსახლეობა არ არის დაინტერესებული დარგის შემდგომი განვითარებით, რადგან

[16]წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

არ არსებობს გასაღების სტაბილური ბაზარი, ადგილზე არ მოქმედებს გადამამუშავებელი საწარმოები, ნაკლებადაა განვითარებული სამაცივრე მეურნეობა, დაბალია სარეალიზაციო ფასი. შედეგად, მოსახლეობა ხილს ძირითადად პირადი მოხმარებისათვის იყენებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში **მემცენარეობა** ფართოდ არ არის გავრცელებული. ძირითადად მოყავთ მარცვლეული, რომლის მოსავლიანობა ჰექტარზე 1,9-2.0 ტონას შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრი.

დარგის წინაშე მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა, პატარა და ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთების სიჭარბე, ასევე, კლიმატთან დაკავშირებული რისკების წინაშე მედეგობის დაბალი დონე.

SDG 2-თან მიმართებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში. მუნიციპალური მიზნები და ამოცანები კვების უსაფრთხოების, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისა და ფერმერთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, შესაბამისობაშია 2021-2027 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიასთან. უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ინიციატივების მხარდაჭერით, ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობა ერთის მხრივ, პასუხობს არსებულ გამოწვევებს ხოლო მეორეს მხრივ, ქმნის საფუძველს გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისა და სიღარიბის შესამცირებლად.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან.

ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობა, დაინტერესებულ მხარებთან ერთად, ამ მიმართულებით პროგრესის უზრუნველსაყოფად, აქცენტს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ხელშეწყობასა და ადგილობრივი ფერმერების გაძლიერებაზე აკეთებს. ბუნებრივი რესურსების და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი აგრარული სფერო გარდაქმნას მდგრად და კონკურენტუნარიან სექტორად, უზრუნველყოს კვების უსაფრთხოება და ამავდროულად, ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ყურადღება ეთმობა ფერმერული უნარების განვითარებას ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით. ეროვნულ სააგენტოებთან და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტში იმართება სასწავლო შეხვედრები ეფექტური ირიგაციის ტექნიკების, ორგანული სოფლის მეურნეობისა და კლიმატის წინაშე მედეგი სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს მეცადინეობები ემსახურება ახალგაზრდა და ქალი ფერმერების განვითარებას და ხელს უწყობს აგრარული მეწარმეობის ახალი თაობის ჩამოყალიბებას.

2022 წლის 12 დეკემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა და გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ფაკულტეტთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს ცოდნის, გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარებას, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ცნობიერების ამაღლების, ეკომეგობრული აქტივობების ხელშეწყობას და სხვ. ხაშური ყოველთვის იქნება მაღალმთიანი სოფლების მდგრადი განვითარების პროგრამის თანაპარტნიორი მუნიციპალიტეტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 37 სოფელი სარგებლობს მაღალმთიანი სოფლის სტატუსით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა მთის განვითარების მიმართ ენთუზიაზმით არის განწყობილი. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობამ პრაქტიკული შედეგები გამოიღო, კერძოდ თანამშრომლობა გაგრძელდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. წრომში ერთ-ერთ ფერმერულ მეურნეობაში, სადაც განხორციელდა თანამედროვე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით წინასწარ შერჩეული საკვები საფურაჟე კულტურების (შვრიის, ჭვავის, ტრიტიკალის და ქერის) სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა. მუნიციპალიტეტის აქტიური მხარდაჭერით მოდება ამ ტერიტორიაზე ორგანული პროდუქციის წარმოების და მიწოდების სრული ჯაჭვის დემონსტრირება-ანუ ნიადაგი, მცენარე, ცხოველი, სასურსათო საკვები და ადამიანი. ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის, კონკრეტულად სარძეო მეძროხეობის განვითარების.

ამოცანის მიმოხილვა

2.1 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტი მოახდენს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფას უფასო სასადილო პროგრამით

2.1.1.1. მოწყვლადი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მომსახურება უფასო სასადილოს პროგრამით ა) ბენეფიციართა რაოდენობა; ბ) სასადილოების რაოდენობა			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	185 ადამიანი	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	185 ადამიანი
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022-2024 წლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა მოწყვლად ჯგუფებს უფასო საკვები პროგრამით და მიზნობრივი მაჩვენებელი ითვალისწინებს აღნიშნულის შენარჩუნებას 2030 წლისათვის. ანალოგიურ პერიოდში უფასო საკვები პროგრამით ისარგებლა 185-მა ადამიანმა და მოსალოდნელია, რომ სამიზნე მაჩვენებელი არ გაიზრდება 2030 წლისთვის.

გამოწვევები. ხაშურის მოსახლეობის დაახლოებით 36.6% სოფლის ტიპის დასახლებებში ცხოვრობს. მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია სუბსიდიებზე, ხოლო პროდუქტიულობა საშუალო ეროვნულ მაჩვენებლებზე დაბალია. მუნიციპალიტეტში ძრითადად ტრადიციული კულტურები მოჰყავთ (მაგ. ხორბალი, სიმინდი და კარტოფილი) და ეწევიან მცირე ზომის მესაქონლეობას. შეზღუდული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, საირიგაციო სისტემებსა და გამართულ სოფლის გზებზე, აფერხებს დარგის განვითარებას. აღნიშნული გარემოება ერთი მხრივ, ზრდის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხარჯებს, ხოლო მეორე მხრივ, ართულებს წვდომას გასაღების ბაზრებთან.

დარგის წინაშე მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა, პატარა და ფრაგმენტირებული მიწის

ნაკვეთების სიჭარბე, ასევე, კლიმატთან დაკავშირებული რისკების წინაშე მედეგობის დაბალი დონე.

ინიციატივები და ქმედებები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება მცირე ფერმერთა ფინანსური და ტექნიკური დახმარებაა. მათი პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად ხორციელდება სასუქის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიების თანადაფინანსების პროგრამები. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ფერმერების ჩართულობას პროგრამებში, „დანერგე მომავალი“ და „აგრო-კრედიტი“. აღნიშნული პროგრამები ადგილობრივებს სთავაზობს სუბსიდიებსა და შეღავათიან სესხებს მოსავლის დივერსიფიკაციისათვის და მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკების დასანერგად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მთავარ ფოკუს ამ მიმართულებით წარმოადგენს სოფლებში აგროსამრეწველო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაში სოფლებში (წრომი, სურამი). ეს სარწყავი არხები, მოსავლის მოყვანის კრიტიკულ პერიოდში უზრუნველყოფენ სავარგულებს სარწყავი წყლით. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს სოფლებთან მისასვლელი გზების გამართვა და ფუნქციონირების ხელშეწობა, ფერმერებისათვის ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებისა და ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში მათ ეკონომიკურად აძლიერებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ყურადღება ეთმობა ფერმერული უნარების განვითარებას ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით. ეროვნულ სააგენტოებთან და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტში იმართება სასწავლო შეხვედრები ეფექტური ირიგაციის ტექნიკების, ორგანული სოფლის მეურნეობისა და კლიმატის წინაშე მედეგი სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ემსახურება ახალგაზრდა და ქალი ფერმერების მხარდაჭერას და ხელს უწყობს აგრარული მეწარმეობის ახალი თაობის ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის საკვებ პროდუქტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ხაშურში მოქმედებს მუნიციპალური სოციალური პროგრამა „უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა“. ღონისძიების ფარგლებში ყოველდღიურად მუნიციპალიტეტის 185 უკიდურესად შეჭირვებული მაცხოვრებელი იღებს ერთჯერად სამკომპონენტიან კვებას.

SDG 3
ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

SDG 3 ემსახურება ადამიანების ჯანმრთელ ცხოვრებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობას. ის მიზნად ისახავს ჯანდაცვის მომსახურებების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, დაავადებების პრევენციას, ასევე ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე წვდომის გაუმჯობესებას. ყურადღება ეთმობა პრევენციულ ღონისძიებებს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ჯანდაცვის სისტემების მდგრადობის განმტკიცებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის სერვისების მიწოდების კუთხით და ზოგადად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შენარჩუნების მხრივ, თვალსაჩინოა პროგრესი. SDG 3-ის მიმართულებით შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად, ხაშურის მუნიციპალიტეტი ჯანდაცვას ერთ-ერთ პრიორიტეტად ტოვებს. მომდევნო წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ჯანდაცვის სფეროს მომსახურე პერსონალის კვალიდფიკაციის ამაღლებას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად, პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხაშურის მუნიციპალიტეტში ხუთი სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებს:

1) შპს „ახალი კლინიკა„ - ხაშურის ჰოსპიტალი;
2) შპს „ გორმედი“ - ხაშურის ცენტრალური საავადმყოფო;
3) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო
4) სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, ხაშურის ფილიალი
5) შპს „მზია ნიკოლეიშვილის სახელობის სურამის სადაბო პოლიკლინიკა“.

ხუთივე სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და მაღალკვალიფიციური ექიმებით არის დაკომპლექტებული. ხაშურის მუნიციპალიტეტში 19 ამბულატორიაა. ქალაქ ხაშურში 20-მდე სტომატოლოგიური კლინიკა ფუნქციონირებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში ექიმთა საერთო რაოდენობა არის 155, ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა კი 128-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია შაქრიანი დიაბეტი, კარდიოლოგიური (იშემია, ინფარქტი, არითმიები) და ჰიპერტენზიული დაავადებები.

სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების პარალელურად, მუნიციპალიტეტში ხორციელდება მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება.

ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა არათანაბრად არის დაფარული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით. ხაშურის მუნიციპალიტეტის 7 ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას არ აქვს წვდომა სააფთიაქო მომსახურებაზე. მათ შორისაა, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე ფლევისა და წაღვლის ადმინისტრაციული ერთეულები. სპეციალური დანიშნულების

მედიკამენტებს (ბრონქიალური ასთმით, გულსისხლძარღვთა, პარკინსონით, ეპილეფსიით, ცერებრიალური დამბლით დაავადებულთათვის, ონკოლოგიური პაციენტებისათვის, და ა.შ.) გასცემს აფთიაქი „ავერსი ფარმა“, რომელიც ქალაქ ხაშურში მდებარეობს.

#	ადმინისტრაციული ერთეული	რომელი სააფთიაქო ქსელია განლაგებული (ავერსი,ჯი პი სი, PSP, ფარმადეპო, იპმექსი... თუ სხვა)	შენიშვნა
1	ალი	კერძო აფთიაქი	სოფ.ალი
2	წაღვლი	არ არის	
3	ფლევი	არ არის	
4	ოსიაური	არ არის	
5	გომი	36/6	სოფ.ვაყაში
6	წრომი	არ არის	
7	ხცისი	კერძო აფთიაქი	პროდუქტების მაღაზია „შერეული“
8	ცხრამუხა	არ არის	
9	ქვიშხეთი	კერძო აფთიაქი	ამბულატორიის მიმდებარედ
10	სურამი	კერძო აფთიაქი, 36/6	დაბა სურამი
11	ცოცხნარა	არ არის	
12	ხალები	არ არის	
13	ხაშური	36/6 (ინსულინი), ავერსი, გეფა(ფარმადეპო, ჯი პი სი), PSP, იმპექსფარმი და 4 კერძო აფთიაქი	

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას, იმუნიზაციიას, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობას, დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენასა და აღრიცხვას.



სამსახური, ასევე, ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; ახდენს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებასა და კონტროლს, აწესებს სისტემატურ კონტროლს ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე, საჭიროების შემთხვევაში ახდენს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებასა და კანონით გათვალისწინებული ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენურ მონიტორინგს. მონიტორინგი სისტემატიურად ხორციელდება 18 ბაგა-ბაღში, 28 საჯარო სკოლასა და დევნილთა საერთო დასახლებებში.

ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლება ფოკუსირებულია ერთი მხრივ არსებული ჯანდაცვის სერვისების ხარისხის ამაღლებაზე ხოლო მეორე მხრივ მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. 2024 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის დიდი მხარდაჭერით შპს „ახალი კლინიკაში„ - ხაშურის ჰოსპიტალი-გაიხსნა სამშობიარო განყოფილება, რაც სამედიცინო სერვისების თვალსაზრისით სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა და დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა ინფრასტრუქტურულ განახლებას, მათ შორის სოფლად არსებული სამედიცინო ცენტრების ტექნიკური აღჭურვისა და სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მიმართულებას, ეს ფუნქცია 2020 წლის 27 იანვრიდან გადაცემული აქვს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნება რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (კაცი)[18]

თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ხაშურის მუნიციპალიტეტი	893	807	784	747	613	547	556	595	504	470

ხაშურის მუნიციპალიტეტში 19 ამბულატორიაა, რომელთაგან 6 ერთეული უძრავი ქონება ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა უსასყიდლო უზურფრუქტით, 5 ერთეული ამბულატორია გადაეცემა საკუთრებაში, ხოლო 8 უძრავ ქონებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება შემდგომში ჰოლდინგისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. სოფ. ქვიშხეთში აშენდა ახალი ამბულატორიად, ხოლო ხცისში და ცოცხნარაში მიმდინარეობს ახალი ამბულატორიის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფისა და პროექტირების პროცესი.

მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში სადაც ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით შეზღუდულია მობილური სამედიცინო დანაყოფები უზრუნველყოფენ სამედიცინო შემოწმებებსა და პრევენციული ღონისძიებებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოთხი ბრიგადა, 16 ექიმი, 16 მედდა, 12 მძღოლი, 1 უმცროსი მედპერსონალი და 1 ტექნიკური თანამშრომელი ემსახურება. დღე-ღამის განმავლობაში, ერთ ბრიგადაზე, საშუალოდ, 17 გამოძახება ფიქსირდება. მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული სამსახური გადაუდებელ დახმარებას უწევს მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობას.



[18]წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მენტალური და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისები, პრენატალური ზრუნვის მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ადრეული განვითარების რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამა ამუშავდა, დღეის მდგომარეობით ფართი გამოყოფილია, გარემონტებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. ცენტრში მომსახურებას უწევენ 0 -დან 7 წლამდე ბავშვებს, რომელთაც გამოხატული აქვთ ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების შეზღუდვა, ხდება ფსიქოლოგის მომსახურება, მასაჟისტის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის. მოხდება ბავშვთა მსხვილი და წვრილი მოტორიკული უნარების შენარჩუნება განვითარება

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა რისკი ქვეშ მყოფი ბავშვთა და მშობელთა ცენტრები:

#	ცენტრის დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა	დაფინანსება	მიზანი	მენეჯერი	მისამართი
1	ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი	4 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	ბენეფიციარები იღებენ განათლებას, ჩართული არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შესაბამისი	ლილი სტეფანიანი	ქ.ხაშური, მეტრეველი ქ. #23
				სამედიცინო მომსახურებით		
2	ა(ა)იპ საზოგაოება ბილიკის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი	5 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	იღებენ განათლებას, ჩართულნი არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით	ია ტალახაძე	ქ.ხაშური, პუშკინის ქ. #24
3	ა(ა)იპ საზოგადოებს ბილიკის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი (ჩარიცხვის საფუძველია პარტულისა და თრეფიკინგის მსხვერპლია, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიმართვა	4 2 დედა, 2 შვილი გათვლილია 10 ბენეფიციარზე	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	ბენეფიციარები ცხოვრობენ თავშესაფარში, უზრუნველყოფილნი არიან კვებით, კომუნალური მომსახურებით, ჰიგიენური საშუალებებით, ეტაპობრივად იღებენ სხვადასხვა მომსახურებებს.	ლიკა წიქარიშვილი	ქ.ხაშური, იმერეთის ქ.#20

4	ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი „მოშავლის სახლი“	28	მუნიციპლიტეტი აფინანსებს დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს 18 წელს ზემოთ (არაუმეტეს 8 ბენეფიციარი) 50 ლარი თითოეულზე	ბენეფიციარები ჩართულები არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, ასევე სარგებლობენ საჭიროების მიხედვით გამოკვეთილი მომსახურებით, ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობებში	ნინო აბაიაძე	ქ.ხაშური, გორკის ქ#2
5	სსიპ ხაშურის #2 საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული „შშმ მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრი“	25	მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადის შესაბამისად, ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად. პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ს ს ი პ ხაშურის N2 საჯარო სკოლის სამურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად	შშმ ბავშვები იღებენ სხვადასხვა სახის მომსახურებებს, ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის, აქვთ სხვადასხვა სახის განმავითარებელი აქტივობები.	ეკა გურასპაშვილი	ქ.ხაშური, რუსთაველი ს ქ. 95
6	თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, ხაშურის ფილიალი „ადრეული განვითარების რეაბილიტაცია-აბილიტაცია“	60 (7 წლამდე ბავშვები სხვადასხვა შეზღუდვით)	ჯანდაცვის სამინისტრო ვაუჩერული სისტემით	ფიზიოთერაპია, მასაჟი, წვრილი მოტორიკა, მსხვილი მოტორიკა, მეტყველების თერაპევტი, ლოგოპედი	ლელა გელაშვილი	მაისის ქ. V საბავშვო ბაღი

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

ვაქცინაციის კამპანიებმა უზრუნველყო ვაქცინაციის მაღალი დონის შენარჩუნება მუნიციპალიტეტში და მნიშვნელოვნად შეამცირა პრევენცირებადი გადამდები დაავადებების გავრცელების რისკები. ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სისტემატიურად ატარებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სავალდებულო აცრების ღონისძიებებს.[19]

2020	2021	2022	2023	2024
ჰექსაქსიმი-85,5 % წწყ-87% როტა-74% პნევმო-82% ტეტანუსი-დიფტერის-56%	ჰექსაქსიმი-44..3 % % წწყ-52.6% როტა-44% პნევმო-33,8% ტეტანუსი-დიფტერის-26.4% bcJ—100% ბ ჰეპატიტი-100%	ჰექსაქსიმი-90 % წწყ-93% როტა-69% პნევმო-85,4% ტეტანუსი-დიფტერის-51%	ჰექსაქსიმი-87.4% წწყ-92% როტა-63.8% პნევმო-86.8% ტეტან.დიფტერის-57.9% ბცჟ--100% ბ ჰეპატიტი-100%	ჰექსაქსიმი-88,8 % წწყ-84% როტა-70% პნევმო-78% ტეტან.დიფტერის-61,9% ბცჟ-100% ბ ჰეპატიტი-100%

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები ცხოვრების ჯანსაღ წესისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდის მიზნით. ცხრილში მოცემულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების[20] ჩამონათვალი:

[19]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
[20]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ჩატარების დრო	ჩატარებული ტრენინგის თემატიკა
2020	➢ კორონა ვირუსის ეპიდემიოლოგია და პრევენციული ღონისძიებები; ➢ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხმარება ინფექციების დროს“, „ც“ ჰეპატიტზე ტესტირების აუცილებლობა;
2021	➢ „კოვიდ-19 ვაქცინაცია, აცრების შემდგომი რეაქციები; ➢ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება ინფექციების დროს“, „ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება; ➢ ხელის ჰიგიენა“, „ მართვადი დაავადებები;
2022	➢ კორონა ვირუსის ეპიდემიოლოგია და პრევენციული ღონისძიებები; ➢ მაიმუნის ყვავილი; ➢ ცხელებით მიმდინარე დაავადებები;
2023	➢ ცხელებით მიმდინარე დაავადებები; ➢ „აცერი და დაიცავი“ შეხვედრები სკოლებში; ➢ „იმუნიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება“—(შეხვედრა მშობლებთან #1 და #3 საჯარო სკოლებში);
2024	➢ „ფრინველის გრიპი“; ➢ „იმუნიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება“; ➢ იმუნიზაციის მნიშვნელობა“—(ა(ა)იპ ორგანიზაცია-ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისათვის); ➢ „ წითელას“ ეპიდემიოლოგია; ➢ „დასავლეთ ნილოსის ცხელება“ „ მაიმუნის ყვავილი“; ➢ „იმუნიზაციის საკითხები’ –(სკოლების და ბაღების მედ.მუშაკებთან)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არაერთხელ ჩატარდა უფასო კვლევები გულსისძარღვთა დაავადებებზე და დიაბეტზე. ამ ღონისძიებებმა საერთო ჯამში გააუმჯობესა არაგადამდები დაავადებების მართვა ადგილობრივ თემში.

[21]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ჩატარების დრო	ჩატარებული ღონისძიებების დინამიკა
28.10.2020	➢ „თბილისის გულის ცენტრის“ და „გორმედის ხაშურის ცენტრალური საავადმყოფოს“ ერთობლივი ძალისხმევით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია. აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური პროფილის უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია), ასევე ტრავმატოლოგის და ქირურგის კონსულტაციას, შესაბამისი რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩათვლით.
05.06.2021 23.06.2021	· ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კარდიოლოგიური პროფილის უფასო გამოკვლევები (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, ლაბორატორიული კვლევები) ჩატარდა. ➢ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში, ევექსის ჰოსპიტლების ხაშურის შპს. "ახალი კლინიკის" ბაზაზე უახლესი მაღალტექნოლოგიური აპარატურითა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, ჩატარდა ძუძუს კიბოს სკრინინგის უფასო გამოკვლევები.
12.10.2022 28.10.2022 05.11.2022	· ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შ.პ.ს „მ. ნიკოლაიშვილის“ სურამის სადაბო კლინიკაში, ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ ჩატარდა სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის უფასო კვლევები ავთვისებიანი სიმსივნის პრევენციის მიზნით. · 2022 წლის 28 ოქტომბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა „თბილისის გულის ცენტრის“ და „გორმედის ხაშურის ცენტრალური საავადმყოფოს“ უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია. აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური პროფილის უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია), ასევე ტრავმატოლოგის და ქირურგის კონსულტაციას, შესაბამისი რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩათვლით. · „თბილისის გულის ცენტრის“ და „გორმედის ხაშურის ცენტრალური საავადმყოფოს“ ერთობლივი ძალისხმევით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია. აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური პროფილის უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია), ასევე ტრავმატოლოგის და ქირურგის კონსულტაციას, შესაბამისი რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩათვლით.
10.10.2023	➢ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში, შ.პ.ს მ. ნიკოლაიშვილის სახელობის სურამის სადაბო პოლიკლინიკაში ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია, ძუძუს კიბოს უფასო სკრინინგი 40- დან 70 წლის ქალებისათვის. მაღალი რისკის მქონე პაციენტებში მოხდა პროფილაქტიკური მკურნალობის დაგეგმვაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტი 3 წელია უერთდება ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას („ვარდისფერი ოქტომბერი“ მსოფლიოში 1997 წლიდან აღინიშნება, რომლის მიზანი ცნობიერების ამაღლება, რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კიბოს სკრინინგის აუცილებლობაა) და სხვადასხვა აქტივობებს გეგმავს, მათ შორის ახალგაზრდების ინიციატივით ხდება საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება მოსახლეობაზე, იგეგმება შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელ ქალბატონებთან სადაც ვსაუბრობთ კამპანიის მიზანზე, დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკასა და დროული სკრინინგის მნიშვნელობაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული სისხლის უანგარო დონაციის აქციებში. 2023 წლის 6 ნოემბერს განხორციელდა აქცია „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი,“ შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ ორგანიზატორობით. სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმა ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა. სისხლის კომპონენტები საჭიროა ლეიკემიის, ანემიის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, ავტოკატასტროფაში მოხვედრილი დაზარალებულებისთვის და სხვა.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, თვითმმართველობა გეგმავს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებას სოფლად. სამედიცინო ცენტრების განვითარებით, ასევე, სატრასპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, იმისთვის, რომ უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს სათანადო წვდომა საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ჯანდაცვის სერვისების მიწოდების კუთხით ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან. თანამშრომლობის მიზანი იქნება კრიტიკული რესურსების მობილიზება ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის სერვისების დროული ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამოცანის მიმოხილვა

3.1 და 3.2 2030 წლისთვის, დედების და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება

3.1.1. დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	0	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	0
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

3.2.1. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	0.4	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	0.2
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 და 2024 წლებში 100 000 ბავშვზე დედის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 0-ს შეადგენდა. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენდა 0.4-ს 1000 ცოცხალ დაბადებულ ბავშვზე 2022 წელს და 0-ს - 2024 წელს. ხაშურის მუნიციპალიტეტი გეგმავს 2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შენარჩუნებას ნულოვან ნიშნულზე და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას 0.2-მდე შემცირებას (1000 ცოცხლად დაბადებულზე).

3.3. 2030 წლისთვის შემცირდეს აივ ინფექციის, მალარიის, B და C ჰეპატიტის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება

3.3.1 აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 ადამიანზე. **3.3.2 ტუბერკულოზის ინციდენტობა 100,000 ადამიანზე.** **3.3.4 B ჰეპატიტის ინციდენტობა 100,000 ადამიანზე.** **3.3.4 C ჰეპატიტის ინციდენტობა 100,000 ადამიანზე.**			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	აივ-ინფიცირების ახალი შეთხვევები-0; ტუბერკულოზის ინციდენტობა-21; C ჰეპატიტი-129; B ჰეპატიტი - 13.3;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	აივ-ინფიცირების ახალი შეთხვევები-0; ტუბერკულოზის ინციდენტობა-5; C ჰეპატიტი-142; B ჰეპატიტი - 12.6;
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს არ იყო რეგისტრირებული აივ ინფიცირების შემთხვევა. ხოლო 2024 წელს, დაფიქსირდა აივ ინფიცირების 0.06 შემთხვევა 1,000 მოსახლეზე. 2030 წლისათვის, აივ ინფიცირების შემთხვევების სამიზნე მაჩვენებელი 0-ს შეადგენს 1,000 მოსახლეზე.

2022 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში 100 000 მოსახლეზე დაფიქსირდა 21 ტუბერკულოზის შემთხვევა, ხოლო 2024 წელს, ეს რიცხვი 16-მდე შემცირდა. 2030 წელს, ტუბერკულიოზის შემთხვევათა სამიზნე მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს არაუმეტეს ხუთი შემთხვევისა.



2022 წელს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაფიქსირდა B ჰეპატიტის 13.3 და C ჰეპატიტის 129 შემთხვევა დაფიქსირდა (ყოველ 100 000 მოსახლეზე). 2024 წელს, B და C ჰეპატიტის შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა 23-მდე და 192-მდე, შესაბამისად (ყოველ 100,000 მოსახლეზე).

2030 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი ითვალისწინებს B და C ჰეპატიტის შემთხვევების 5%-ით და 50 ერთეულით შემცირებას, შესაბამისად.

3.6. 2030 წლისთვის უსაფრთხო მუნიციპალური გზების წილის გაზრდა.

3.6.1.1. უსაფრთხო მუნიციპალური გზების %-ული მაჩვენებელი/რაოდენობა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	54%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	100%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, უსაფრთხო გზების წილი 54%-ს შეადგენდა (104,73 კმ). 2024 წელს, უსაფრთხო მუნიციპალური გზების პროცენტული მაჩვენებელი არ შეცვლილა. 2030 წლისთვის, იგეგმება უსაფრთხო მუნიციპალური გზების წილის 100%-მდე (192,27 კმ) გაზრდა.



3.8. 2030 წლისთვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მუნიციპალური ფინანსური დახმარების (მედიკამენტების შესაძენად) და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმუნიზაციის მაჩვენებელის ზრდა.

3.8.1.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა რომლებმაც მიიღეს ფინანსური დახმარება მედიკამენტების შეძენის მიზნით. **3.8.2.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმუნიზაციის მაჩვენებელი სხვადასხვა ვაქცინების მიმართ.** **3.8.1.3. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმუნიზაციის მაჩვენებელი.**			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	იმუნიზაცია – 85%; ფინანსური დახმარების მიმღები ადამიანები 55;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	იმუნიზაცია – 95%; ფინანსური დახმარების მიმღები ადამიანები 72;
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, 55 მაცხოვრებელმა მიიღო ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად. 2030 წლისთვის მიზნობრივი მაჩვენებელი 72-ს შეადგენდა. თუმცა, უკვე 2024 წელს, 302-მა მაცხოვრებელმა მიიღო ფინანსური დახმარება, რაც თითქმის 4-ჯერ აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. მეორეს მხრივ, აღნიშნული მეტყველებს, რომ დიდია მოსახლეობის რაოდენობა ვისაც მედიკამენტების შესაძენად ფინანსური დახმარება სჭირდება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმუნიზაციის მაჩვენებელი 2022 წელს იყო 85%, ხოლო 2024 წელს ოდნავ შემცირდა 82%-მდე. 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტის მიზანია იმუნიზაციის მაჩვენებლის 95%-მდე ზრდა.



3.ა. 2030 წლისთვის, თამბაქოს მოხმარების შემცირება 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში და თამბაქოს მოწევის კონტროლის ზრდა საჯარო დაწესებულებებში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივ ადგილებში.

3.ა.1. 15 წლის და უფროსი ასაკის პირებში თამბაქოს ამჟამინდელი მოხმარების ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი.	
წარმომავლობა	UN ადაპტირებული

3.ბ.1. თამბაქოს მოწევის კონტროლი სახელმწიფო დაწესებულებებში, ტრანსპორტში, სამედიცინო დაწესებულებებში და კაფე-რესტორნებში. თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობის კონტროლი მონიტორინგი.			
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	თამბაქოს მოხმარება - 40%; კონტროლის რაოდენობა - 45	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	თამბაქოს მოხმარება - 20%; კონტროლის რაოდენობა - 70
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, 15 წლის და უფროსი ასაკის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების 40% თამბაქოს მომხმარებელი იყო. აღნიშნული რიცხვი მცირედით შემცირდა 2024 წელს (38%-მდე). მუნიციპალიტეტის მიზანია თამბაქოს მომხმარებელთა წილის (15 წელზე უფროსი ასაკის მომხმარებლების) შემცირება 20%-მდე, 2030 წლისთვის.



2022 წელს, თამბაქოს მოწევის მონიტორინგი სახელმწიფო დაწესებულებებში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივ ადგილებში 45-ჯერ განხორციელდა და აღნიშნული რიცხვი თითქმის გაორმაგდა 2024 წლისთვის (81-მდე გაიზარდა). 2030 წლისთვის, მიზნობრივი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტისთვის 70-ს შეადგენს.

გამოწვევები. მოსახლეობის ჯანმრთელობა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა, ამ მიმართულებით არსებობს მნშვნელოვანი გამოწვევები. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა არათანაბრად არის დაფარული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით. სოფლის მაცხოვრებლებს, ხშირ შემთხვევაში, ფუზიკურად შეზღუდული აქვთ პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომობა. ეს გამოწვეულია ერთის მხრივ, არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურით, მათ შორის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, ხოლო მეორეს მხრივ, სოფლად კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმწირით.

კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით, ვიწრო პროფესიული მიმართულებებით, რაც ართულებს კომპლექსურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას. სოფლად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არ არსებობა ართულებს ადგილზე ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების დროულად მიღებას. მიუხედავად ეროვნულ დონეზე არსებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა, ბევრი ოჯახისთვის რიგი სამედიცინო მომსახურება კვლავ ფინანსურად ხელმიუწვდომელია. ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე განათლების სიმწირე

ამცირებს ინტერვენციების ეფექტურობას, განსაკუთრებით დაავადებათა პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტში გამოწვევას წარმოადგენს არაგადამდები დაავადებები, მათ შორის, გულსისძარღვთა სისტემის დაავადებები, დიაბეტი და ქრონიკული რესპირატორული ავადობები. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მაჩვენებლები უკანასკნელი წლების განმავლობაში უმჯობესდება, თუმცა დამატებითი ძალისხმევაა საჭირო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების უფრო მეტად შემცირებისათვის და პრენატალური ზრუნვის გაუმჯობესებისთვის. გადამდები დაავადებები მეტწილად კონტროლს ექვემდებარება, თუმცა, ყოველთვის არსებობს პერიოდული აფეთქების რისკი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება, განსაკუთრებით მუნიციპალური ცენტრისგან მოშორებით მდებარე დასახლებებში.

ინიციატივები და ქმედებები.
ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლება ფოკუსირებულია ერთი მხრივ არსებული ჯანდაცვის სერვისების ხარისხის ამაღლებაზე ხოლო მეორე მხრივ მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა ინფრასტრუქტურული განახლებისათვის, მათ შორის სოფლად არსებული სამედიცინო ცენტრების ტექნიკური აღჭურვისა და სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მიმართულებით. ვაქცინაციის კამპანიებმა უზრუნველყო ვაქცინაციის მაღალი დონის შენარჩუნება მუნიციპალიტეტში და მნიშვნელოვნად შეამცირა პრევენცირებადი გადამდები დაავადებების გავრცელების რისკები. სკოლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები ცხოვრების ჯანსაღ წესისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მოსახლეოის ინფორმირებულობის დონის გაზრდის მიზნით. ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა უფასო კვლევები გულსისძარღვთა დაავადებებზე და დიაბეტზე. ამ ღონისძიებებმა საერთო ჯამში გააუმჯობესა არაგადამდები დაავადებების მართვა ადგილობრივ თემში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად მუნიციპალიტეტში გამოწვევად რჩება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა, განსაკუთრებით კი ვიწრო პროფესიული მიმართულებებით, რაც ართულებს ადგილობრივ დონეზე კომპლექსურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობა, განსაკუთრებით სოფლად, კვლავ ართულებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების დროულად მიღებას ადგილზე. მიუხედავად ეროვნულ დონეზე არსებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა, ბევრი ოჯახი კვლავ აწყდება სირთულეებს განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებების ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით. ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე განათლების სიმწირე ამცირებს ინტერვენციების ეფექტურობას, განსაკუთრებით დაავადებათა პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის მიმართულებით.

SDG 3-ის მიმართულებით შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად, ხაშურის მუნიციპალიტეტი ჯანდაცვას ერთ-ერთ პრიორიტეტად ტოვებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებას სოფლად. სამედიციო ცნეტრების განვითარებით, ასევე, სატრასპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, უფრო მეტ ადამიანს ექნება სათანადო წვდომა საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ჯანდაცვის სერვისების მიწოდების კუთხით ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან. თანამშრომლობის მიზანი იქნება კრიტიკული რესურსების მობილიზება ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის სერვისების დროული მიწოდებისათვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გაფართოვდება და მხარდაჭერილი იქნება ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ღონისძიებები. ადგილობრივებს, განსაკითრებით კი მაღალი რისკ-ჯგუფის მოსახლეობას, კვლავ ექნებათ შესაძლებლობა ჩაიტარონ უფასო გამოკვლევები არაგადამდები დაავადებების დროულად გამოსავლენად. მედიცინის მუშაკების შესაძლებლობების განვითარების მხარდასაჭერად და მათი მოზიდვის მიზნით ყურადღება გამახვილდება ჯანდაცვის პერსონალის შესაძლებლობების განვითარებაზე. ჩატარდება ტრენინგები ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლებისათვის, იქნება სხვა წახალისებები.

SDG 4
ხარისხიანი განათლება

SDG 4 უზრუნველყოფს ინკლუზიურ და თანასწორ განათლებას, ასევე, უწყვეტი სწავლის შესაძლებლობებს. იგი ყურადღებას ამახვილებს წერა-კითხვის უნარების განვითარებაზე, გენდერულ თანასწორობაზე, პროფესიულ განათლებაზე, ასევე სასწავლო ინფრასტრუქტურისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში განათლება მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია, ის ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და ეკონომიკურ ზრდას. მუნიციპალიტეტში დაწყებითი განათლების მთლიანი ჩართულობის მაჩვენებელი 98%-ია, რაც თითქმის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას ასახავს. საჯარო სკოლებში მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა 12:1-ზეა, რაც ხელს უწყობს ეფექტიან სწავლებას. 15-24 წლის ახალგაზრდების შორის წიგნიერების დონე 99%-ს შეადგენს, რაც განათლების ძლიერი ფუნდამენტის არსებობას ადასტურებს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო და 1 კერძო სკოლა, სადაც 8,031 მოსწავლე სწავლობს; მათგან 5,890 მუნიციპალურ ცენტრში ცხოვრობს, ხოლო, 2,150 - სოფლად. მუნიციპალიტეტში არის 18 საბავშვო ბაღი, რომელიც დაახლოებით 2,000 ბავშვს ემსახურება. პროფესიული განათლების მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი „ქართლი“, რომელიც სთავაზობს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს.

სკოლამდელი განათლების სერვისების მიწოდება, ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ხაშურის მუნიციპალიტეტი, ასევე, პასუხისმგებელია სასკოლო ინფრასტრუქტურის მოვლაზე, ექსტრაკურიკულარულ აქტივობებზე და დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე. ადგილობრივ დონეზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ძალისხმევა მიმართულია სკოლამდელი განათლების გაძლიერებაზე, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და პროფესიული განათლების გაფართოებაზე, რათა მოსახლეობას მიეცეს უწყვეტი განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა.

სკოლამდელი განათლების სერვისების მიწოდება, ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ადგილობრივ დონეზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ძალისხმევა მიმართულია სკოლამდელი განათლების გაძლიერებაზე, პროფესიული განათლების ხელშეწყობაზე, რათა მოსახლეობას მიეცეს უწყვეტი განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა.

სკოლამდელი აღზრდა. ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის 18 დაწესებულებაა, სადაც 2025 წლის მაისის თვის მონაცემებით ირიცხება 1478 ბავშვი (მათ შორის, 763 გოგო, 715 ბიჭი). ამასთან, 3 წლამდე ბავშვებს აქვთ აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა.

წელი		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
საბავშვო ბაღების რაოდენობა		14[22]	16[23]	18[24]	18[25]	18[26]	18	18
პერსონალის რაოდენობა	საბავშვო ბაღებში	309	311	326	328	327	351	353
	გაერთიანების ადმინისტრაცია	12	12	12	14	14	14	14
პერსონალის საერთო რაოდენობიდან	ქალი	279	190	292	298	297	288	290
	კაცი	42	42	44	44	44	49	49
აღსაზრდელების რაოდენობა		1 875	1 990	2 006	2 000	1 860	1571	1470
აღსაზრდელების რაოდენობიდან	გოგო	956	1 015	1 023	1 020	826	766	718
	ბიჭი	919	975	983	980	814	805	752
კვების თანხა 1 აღსაზრდელზე		1,56 ლ	1,72 ლ	1,92 ლ	2,08ლ	2,23ლ	2,6ლ	3,05ლ

ცხრილში ნაჩვენებია 2025 წელს სკოლამდელი განათლების აღსაზრდელების პროცენტული გადანაწილება ქალაქად/სოფლად:[27]

2025 წელს რეგისტრირებული აღსაზღდელი	1 478	მათ შორის	გოგო	51,6%
			ბიჭი	48,4%
კონტიგენტი ქალაქად	1 080	მათ შორის	გოგო	57,7%
			ბიჭი	50.4%
კონტიგენტი სოფლად	398	მათ შორის	გოგო	57,7%
			ბიჭი	50,5%

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 351 თანამშრომელი, მათ შორის 87 კაცი და 264 ქალი.

#	რაოდენობა	პოზიცია
1	64	აღმზრდელი
2	72	აღმზრდელის თანაშემწე
3	5	სპეცმასწავლებელი
4	210	დანარჩენი პერსონალი

[22]8 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (სოფ. ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ბიჯნისი, ტეზერი, წრომი, წაღვლი)
[23]4 ალტერნატიული სააღმზდელო ჯგუფი (სოფ. ფლევში, ბიჯნისში, ტეზერში, წაღვლში)
[24]3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)
[25]3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)
[26]3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)
[27]წყარო: საბავშვო ბაღების გაერთიანება (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

შეზღუდული შესაძლებლობის და/ ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის 2022 წლის 17 მაისს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ფუნქციონირება დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების მქონე **რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრმა**, სადაც მუშაობს ხუთი სპეციალისტი, სხვადასხვა მიმართულებით, ესენია: მუსიკალური თერაპია, ფსიქოლოგი, ფიზიო თერაპია და მასაჟი, სენსო მოტორიკა და მეტყველების თერაპევტი. ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის 18 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს უსასყიდლოდ. აბილიტაციის ცენტრში აღსაზრდელები მოდიან სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევით (ფორმა 100) აღიარებული დიაგნოზით და რეკომენდაციებით, თუ რომელი აღსაზრდელი რომელი თერაპიით უნდა დაკავდეს. ცენტრში თითოეულ ბავშვზე იქმნება პორტფოლიო და მიმდინარეობს მუშაობა. ფუნქციონირების დასაწყისში ირიცხებოდა 8 აღსაზრდელი, 2025 წლის მდგომარეობით, ცენტრი ემსახურება 60 ბავშვს, რაც ქმნის საჭირო ფართის სივიწროვეს და გამოწვევას წარმოადგენს.

2025 წლის მაისის თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტში 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 1 478 ბავშვი სწავლობს (მათ შორის 763 გოგო, 715 ბიჭი), 3 წლამდე ბავშვებს აქვთ აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა.

გასული 5 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 9 საბავშვო ბაღს, დაიწყო 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ექსპლუატაციაში შევა 2025 წლის სექტემბრიდან.

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
აშენდა	#6 ბაღის ახალი შენობა	#8 ბაღი მინისტარ ის დასახლე ბა	-	-	-			სურამის N 19. ცხრამუხის N10
რეაბილიტ. ჩაუტარდა	ქ. ხაშური #2 #7, და #16 (წრომის) საბავშვო ბაღებს სოფ. ტეზრის #17 საბავშო ბაღს	სოფ. გომის #13 სოფ. სატივის #18 საბავშო ბაღებს	-	-	სოფ ვაყის N14 ბაღის შემოღობვა #6 ბაღის სახურავის რეაბილიტ. #9 ბაღის ეზოს კეთილმოწყ.			ხაშურის N3 რეაბილიტაცია. N8 შემოღობვა

2024 წელს დაბა სურამში ჩუმათელეთის დასახლებაში დაიწყო 200 ბავშვზე გათვლილი, 8 ჯგუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა. მშენებლობის დასრულება განსაზღვრულია 2025 წელს. გამოწვევას წარმოადგენს პედაგოგების გადამზადება და არსებულ ბაღებში მატერიალური ბაზის განახლება-გაუმჯობესება.

ჩატარების დრო	ჩატარებული ტრენინგის თემატიკა
2020	➢ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელების ჩართულობა.(სკოლამდელი ინკლუზიური განათლება)
2021	➢ კომუნიკაციის უნარები და რაოდენობრივი კვლევების ორგანიზება ➢ ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათის დასამზადებლად; ➢ სურსათის ეტიკეტირება; ➢ რეკომენდაციები სკოლამდელი აღზრდის განათლების დაწესებულებებისათვის ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციებთან(covid 19) დაკავშირებით.
2022	➢ სურსათის ჰიგიენა ➢ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების(HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა ➢ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების-ტრენინგ მოდული .
2023	➢ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების-ტრენინგ მოდული . ➢ ინკლუზიური განათლება
2024	➢ როგორ დავნერგოთ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში-ადრმინისტრაციისათვის ➢ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში-აღმზრდელ პედაგოგებისათვის ➢ სკოლამდელი გარემოს დაცვითი განათლება ➢ სიცოცხლის გადარჩენის პირველადი სამედიცინ დახმარებისა და ავტომატური გარეგანი ელექტროდეფიბრილაციის გავრცობილი კურსი . ➢ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების(HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა
თუ 2025-იც გაქვთ	➢ სიცოცხლის გადარჩენის პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ავტომატური გარეგანი ელექტროდეფიბრილაციის გავრცობილი კურსი . ➢ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების(HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა ➢ ბავშვთა მიმართ ძალადობა და რეფერირების პროცედურები

ზოგადი განათლება. ხაშურის მუნიციპალიტეტში 32 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულება და 1 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ა(ა)იპ - კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი სასკოლოს ასაკის ნებისმიერი პირის სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობა სრულად არის უზრუნველყოფილი; ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით მიმდინარეობს. მასზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო თავისი ტერიტორიული ორგანოს-საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მეშვეობით.

2018-2025 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენდა 2 სკოლა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 12 სკოლაში. 2023-2026 წლები მნიშვნელოვანი პერიოდი იქნება მუნიციპალიტეტში სკოლების აგება-რეაბილიტაციის კუთხით. წინასწარი მონაცემებით დაგეგმილია 2 საჯარო სკოლისთვის ახალი შენობის მშენებლობა და ყველა საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.[28]

ბოლო 5 წლის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაამთავრა	ოქროს მედალოსანი	554
	ვერცხლის მედალოსანი	89
ბოლო 5 წლის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებიდან	სახელმწიფო გრანტი მოიპოვა	425

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული იურიდიული პირებია, ადგილობრივი თვითმმართველობა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს 17 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, 2019-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მერია, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფდა რიგი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას (სახურავი, კარ-ფანჯარა, სველი წერილების მოწყობა და სხვ).

მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერიის შესაბამისი სამსახურები მუდმივ კოორდინაციაში არიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდასაჭერად მოქმედი კანონმდებლობისა და მათი უფლებამოსილების ფარგლებში(მაგ. ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში ექსკურსიების მოკლე ტურების დაფინანსება, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და სხვ.).

		2019	2020	2021	2022	2023	2024
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა		33	33	33	33	33	33
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის მასწავლებელი)	სკოლებში	1185	1198	1200	1210	1212	1312
	საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა	7	7	7	7	7	7
პერსონალის საერთო რაოდენობიდან (მათ შორის მასწავლებელი)	ქალი	995	1008	1007	1017	1017	1012
	კაცი	190	190	193	193	195	200
მოსწავლეების რაოდენობა		7900	7955	7998	8001	8000	8031

[28]წყარო: ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ადმინისტრაციული გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, ჩორჩანასა და წაღვლში მაცხოვრებელი სასკოლო ასაკის პირები განათლებას ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნისა და წაღვლის საჯარო სკოლებში იღებენ. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მოსწავლეთა რაოდენობის კლებას ადგილი არ ჰქონია, დაწყებით კლასებში რიგ შემთხვევაში ხდება სხვა სკოლებიდან მოსწავლეთა მობილობა (გადმოყვანა), რისი ძირითადი მიზეზი საცხოვრებელი ადგილის შეცვლაა. ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ საბაზო-საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სხვა სკოლებიდან მობილობამ იმატა, განსაკუთრებით მაღალია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა საშუალო საფეხურზე.[30]

ხაშურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფ 37 სოფელს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვს მინიჭებული. მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლაში დასაქმებული პირების, მათ შორის, მასწავლებლების, მაჩვენებელი სტაბილურია. მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში აღრიცხული სოფლებიდან სკოლა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: წაღვლი, ტკოცა და ფლევი. თითქმის არც ერთ მასწავლებელს დაუტოვებია სკოლა ქალაქში ან სხვა დასახლებაში საცხოვრებლის შეცვლის მიზეზით. პირიქით, სკოლაში დასაქმებულები არიან მასწავლებლები, რომლებიც შეთავსებით ქალაქის სკოლებიდან მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სკოლებში მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა უმეტესობა ადგილობრივი კადრია. მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში მდებარე სკოლების მოსწავლეთა გადაადგილების დინამიკასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან ანდა სხვა მიზეზით მოსწავლეები არ ტოვებენ. ამ მხრივ ძირითადად სტაბილური მდგომარეობაა. უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენცი, რომ მცირეკონტიგენტიან სოფლის სკოლებში პირველ კლასში შემოსული მოსწავლეების რაოდენობაში მცირედ, მაგრამ მატება აღინიშნება. რაც სოფლებში მოსახლეობის ადგილებზე დამაგრების მაჩვენებელია.

არაფორმალური და პროფესიული განათლება. ხაშურის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ფუნქციონირება დაიწყო 400 სტუდენტზე გათვლილმა პროფესიულმა კოლეჯმა „ქართლი“, რომლის მიზანია ახალგაზრდების და ზრდასრულთათვის თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯში სახელმწიფოს_დაფინანსებით ისწავლება შემდეგი პროფესიები: ელექტროობა, შედუღება, სანტექნიკური სამუშაოები, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მეფუტკრეობა, სატყეო საქმე, ბუღალტერია, აღმზრდელი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები. სხვა მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებებზე პროგრამები პერმანენტულად შემუშავდება.

პროფესიული კოლეჯი „ქართლი“		2024
		1
პერსონალის საერთო რაოდენობა	ქალი	11
	კაცი	20
მათ შორის მასწავლებელი	ქალი	1
	კაცი	9
სტუდენტების რაოდენობა	ქალი	14
	კაცი	66

[30]წყარო: ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

2022 წლის 14 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალგაზრდები-ხაშურის განვითარებისათვის“. ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს ახალგაზრდების არაფორმალური განათლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ორგანიზაციამ განახორციელა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, გახლავთ: „ხაშურის ახალგაზრდული სივრცის შექმნა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით“, რომლის ფარგლებშიც სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტისა (29 565₾) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით და თანადაფინანსებით, ხაშურში გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე, რომელიც არის ახლად რეაბილიტირებული, თანამედროვე რემონტითა და ტექნიკა-აღჭურვილობით. გარდა ამისა, პროექტის მიმდინარეობისას, ხაშურელი ახალგაზრდებისათვის, ჩატარდა არაერთი ტრენინგი, სემინარი, ვორქშოპი, კულტურულ-შემეცნებითი და გასართობი ტიპის ახალგაზრდული აქტივობები. საბოლოო ჯამში პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები გახლდათ 148 ახალგაზრდა, მათ შორის:

- 14-29 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები, მათ შორის სკოლის მოსწავლეები;
- სტუდენტები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები;
- ახალგაზრდები მაღალმთიან და რთულად მისასვლელ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები;
- ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან;
- ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრი ახალგაზრდები;
- NEET ახალგაზრდები (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულნი დასაქმების, განათლების და ტრენინგების პროცესში).

აღსანიშნავია, პროექტი: „ხაშურის ახალგაზრდული სივრცის განვითარება ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“, რომელიც, ასევე, ახალგაზრდობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა (50 000₾) და მონაწილეობა მიიღო 350-მა პირდაპირმა და 800-მდე არაპირდაპირმა ბენეფიციარმა. პროექტის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ თანადაფინანსებით მხარდაჭერა გამოხატა და ახალგაზრდული სივრცე გათბობა-გაგრილების სისტემით აღჭურვა. პროექტის ფარგლებში, ხაშურელი ახალგაზრდებისათვის, ჩატარდა არაერთი ტრენინგი, სემინარი, ვორქშოპი, პრაქტიკული გასვლითი შეხვედრები, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი და სხვა ახალგაზრდული აქტივობები. დიდია ორგანიზაციის როლი ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით, მერის ბრძანებით, შეიქმნა ზემოაღნიშნული სათათბირო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერების კუთხით.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ხაშურის მუნიციპალიტეტში განათლების პოლიტიკა განისაზღვრება ეროვნულ დონეზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკის დანერგვაზე, საგანმანათლებლო სტანდარტების განსაზღვრაზე და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. საქართველოს ეროვნული განათლების სტრატეგია შესაბამისობაშია გაეროს 2030 წლის დღის წესრიგთან და აქცენტს აკეთებს განათლების ხელმისაწვდომობაზე,

ხარისხზე და თანასწორობაზე. საქართველოს განათლების ეროვნული სტრატეგია (2022-2030) განსაზღვრავს ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების სამოქმედო გეგმას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვაზე.

ამოცანის მიმოხილვა

4.2 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ფარგლებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ჩართულობის ზრდა (სქესის მიხედვით)

4.2.2 ორგანიზებულ სასწავლო პროცესში, მუნიციპალიტეტიის ტერიტორიაზე მცხოვრები, ბავშვების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით (ერთი წლით ადრე სკოლაში სწავლების დაწყების ოფიციალურ ასაკამდე).			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	საშუალო-75%; ქალი-52%; კაცი-48%;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	საშუალო-80%; ქალი-52%; კაცი-48%;
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი 75% შეადგენდა (მამაკაცები 48% და ქალები 52%) და 2024 წელს 62%-მდე შემცირდა (მამაკაცები 51% და ქალები 49%). 2030 წლისთვის დაგეგმილია მონაწილეობის მაჩვენებლის 80%-მდე გაზრდა (მამაკაცები 48% და ქალები 52%).



4.5. 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოფლად და ქალაქად მცხოვრები იმ ბავშვების რაოდენობის ზრდა, რომლებიც სარგებლობენ სკოლამდელი განათლებით.

4.5.1. სოფლად და ქალაქში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსარგებლე ბავშვების პროპორციული მაჩვენებელი			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	ბავშვების რაოდენობა (ქალაქი)-1140; ბავშვების რაოდენობა (სოფელი)-601	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	ბავშვების რაოდენობა (ქალაქი)-1254; ბავშვების რაოდენობა (სოფელი)-661
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, სოფლად და ადმინისტრაციული ცენტრში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობამ 601 და 1140 შეადგინა, შესაბამისად. 2024 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა სოფლად 280-მდე შემცირდა, ხოლო ქალაქებში 1190-მდე გაიზარდა. 2030 წელს, დაგეგმილი იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსარგებლე, სოფლად და ქალაქებში მცხოვრები ბავშვების 661-მდე და 1254-მდე ზრდა, შესაბამისად. თუმცა, მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდების შემცირებამ შესაძლოა გაართულოს აღნიშნული მიზნის შესრულება.



გამოწვევები. ხაშურის მუნიციპალიტეტში თვალსაჩინოა სირთულეები განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით. მიუხედავად თვალსაჩინო პროგრესისა, კვლავ არსებობს უთანასწორობა მუნიციპალურ ცენტრში და სასოფლო დასახლებებში არსებულ სკოლებს შორის, კერძოდ, მოძველებული ინფრასტრუქტურა და შეზღუდული წვდომა ციფრულ სასწავლო რესურსებზე. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაკლებობა, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ცოდნისა და განათლების თანამედროვე რესურსებზე წვდომის მიმართულებით. მასწავლებელთა გადამზადებისა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განახლებისთვის საჭირო დაფინანსება კვლავ შეზღუდულია.

ინიციატივები და ქმედებები. თვითმმართველობა წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ინფრასტრუქტურული განვითარების მხრივ, აქტიურად მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, მათ შორის, ცხრამუხასა და სურამში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რაც ემსახურება სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლების განახლება, რაც უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას ემსახურება. გაფართოვდა პროფესიული განათლება, პროფესიულ კოლეჯში - „ქართლი“ ამჟამად, შესაძლებელია სწავლა ისეთ მოთხოვნად სპეციალობებში, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები, ავტოსამრეწველო რემონტი და მშენებლობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ექსტრაკურიკულარული აქტივობებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ჩართულობას. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებას, რაც ემსახურება ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და ლიდერობის უნარების გაძლიერებას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო და კულტურულ კონკურსებში, მათ შორის სხვადასხვა დონის ფესტივალებზე. ბიბლიოთეკების როლი საგანმანათლებლო პროცესში იზრდება – მიმდინარეობს მათი ინფრასტრუქტურის გაძლიერება და მომსახურების გაფართოება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

მუნიციპალიტეტი მიესალმება ინიციატივებს ციფრული სწავლების გაფართოების მიზნით, რათა მოსწავლეებს ცენტრსა თუ სოფლად თანაბარი წვდომა ჰქონდეთ ონლაინ რესურსებზე. პრიორიტეტად რჩება სკოლების რეაბილიტაციის დაფინანსების გაზრდა, განსაკუთრებით სოფლად, ახალგაზრდებისთვის პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესება შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების გაძლიერება. არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის, პროგრამა „სამოქალაქო განათლება ყველასთვის“, ხელს უწყობენ მასწავლებლების გადამზადებასა და ინკლუზიური განათლების განვითარებას.

SDG 5
გენდერული თანასწორობა

SDG 5 მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას დისკრიმინაციის, ძალადობისა და მავნე პრაქტიკების აღმოფხვრის გზით. ის ხელს უწყობს ქალების გაძლიერებას, ხელმძღვანელობაში თანაბარ მონაწილეობას, ასევე, რესურსებსა და მომსახურებაზე სრულფასოვან ხელმისაწვდომობას.

გენდერული თანასწორობა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. მისი უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისთვის. მდგრადი განვითარების მიზანი 5 ემსახურება ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის მიღწევას. ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა გაძლიერებისა და ყველასათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ გენდერული საკითხები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მმართველობის, ეკონომიკურ განვითარების, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროებში. ადგილობრივი თვითმმართველობა მტკიცედ უჭერს მხარს გენდერულ თანასწორობას მუნიციპალიტეტში და ახორციელებს მიზანმიმართულ ქმედებებს მმართველობის, ეკონომიკური განვითარების, განათლებისა და სოციალური სერვისების მიწოდების სფეროებში. ეს ქმედებები წარმოადგენს SDG 5-ის ლოკალიზების კომპლექსურ მიდგომას და ემსახურება სისტემური ბარიერების დაძლევას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობას ოდნავ აღემატება. 2024 წლის მონაცემებით ქალები შეადგენენ მოსახლეობის დაახლოებით 51,8 %-ს, შესაბამისად მამაკაცები - 48,2%-ს. ბუნებრივია, ასეთი დემოგრაფიული პროფილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას ადგილობრივი თემის მდგრადი განვითარების ინიციატივების წარმატებით განხორციელებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობა აღიარებს და მკაფიოდ გამოხატავს, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. ეს მიდგომა შესაბამისად არის ასახული თვითმმართველობის პრიორიტეტების დოკუმენტში, სამოქმედო გეგმებსა თუ ფისკალურ დოკუმენტებში. საკითხის მნიშვნელობას ასაბუთებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკმაოდ წარმომადგენლობითი გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც 2022 წელის დასაწყისიდან ძალიან აქტიურად არის ჩართული გენდერული საკითხების წინ წამოწევაში.

ერთ-ერთი პირველი ინიციატივა, რომელიც ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭომ ითავა იყო „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდა. საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს და მოუწოდებდნენ სოფელში მცხოვრებ ქალბატონებს მეტი ინიციატივა გამოეჩინათ მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ამ მონდომებამ, შემდგომ წლებში, შედეგი გამოიღო და ბევრი პროექტი სწორედ ქალების ინიციირებით გავიდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უერთდებოდა 16 დღიან კამპანიას ქალთა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს 187 ქვეყანაში 1991 წლიდან

აღინიშნება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ამ ურთიერთობების მიმართ.

საბჭოს ინიციატივით TV „ივერიასთან“ ერთად მომზადდა მოკლე ვიდეოკლიპები საკითხებზე:

- უნდა მუშაობდეს თუ არა ქალი?
- რა უშლის ხელს ქალს პროფესიაშიც და ოჯახშიც სათანადოდ მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება?
- როგორია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები?
- ქალის ადგილი მხოლოდ სამზარეულოშია?
- გინება, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, ტრადიცია, თუ ცუდი ჩვევა?
- რა არის ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზი?

16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ვიდეოკლიპები გადიოდა საკრებულოს FBგვერდზე. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე ჩაშენებულია ფანჯარა სახელწოდებით - ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, სადაც განთავსებულია მოცულობითი ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობა, ოქმები, დებულება, ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრების ჩართულობის შესახებ შეხვედრებსა და ტრენინგებში.[31]



2025 წლის მდგომარეობით, ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე ქალია. 2 კომისიის თავმჯდომარე ქალია, რაც 40%-ს შეადგენს. საკრებულოს 3 ფრაქციის თავმჯდომარიდან 1 ქალია. სხვადასხვა ფრაქციის თავმჯდომარეების 6 მოადგილიდან ერთია ქალი, რაც 17%-ს შეადგენს.

საბჭოს დიდი მხარდაჭერით დაფუძნდა ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირი,“ რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემში მცხოვრებ მეწარმე ქალებს, ისინი ქმნიან და რეალიზებას უკეთებენ საკუთარ პროდუქციას. დღეის მდგომარეობით ორგანიზაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 70-ზე მეტ მეწარმე ქალბატონს აერთიანებს.

[31]წყარო: https://khashuri.org.ge/ge/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D

2022 წლის 5 დეკემბერს საბჭოს ინიციატივით საკრებულოს დარბაზში დაეთმო ხაშურელ მეწარმე ქალებს გამოფენა-გაყიდვისათვის. წარმოდგენილი იყოს „ხემსის“, „დოშკანას“, „ნატუსის“, „მკერვალის“, „მომავლის სახლის“, „ჩოკოლატლის“, „დევდარიანის მარნის”, მადი ბირკაძის ხელნაკეთი თოჯინების, აგრეთვე „პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ გამარჯვებული ხათუნა ჩიტაძის (სოციალური სამკერვალო სახელოსნო), ნანა ლომსაძისა (ქართული დოლის პური) და ქეთევან გიგოლაშვილის (პოლიმერული თიხა) წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქცია. ქალებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებასა და სამომავლო გეგემებზე.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. საქართველო უერთდება საერთაშორისო ძალისხმევასა და ინიციატივებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით, მათ შორის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში. ეროვნულ დონეზე, საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგია ადგენს ადგილობრივი პოლიტიკის ჩარჩოს. ხაშურის მუნიციპალიტეტი საკუთარ პოლიტიკას ამ საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოს გათვალისწინებით აყალიბებს და ახორციელებს.

ამოცანის მიმოხილვა

5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

5.1.1.ბ. ადგილობრივ ხელისუფლებაში (ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია) ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	58 (51%) 2024 წელს	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	55%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

5.5.2. ხელმძღვანელ თანამდებობებზე (ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია) ქალების პროპორციული ოდენობა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	6 (27%) 2024 წელს	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	35%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

გამოწვევები. მიუხედავად უამრავი წინგადადგმული ნაბიჯებისა, სქესთა შორის თანასწორობის მიმართულებით, მუნიციპალიტეტში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ, ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ მმართველობაში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და რესურსებზე წვდომა ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოწვევად რჩება კულტურული ნორმების ცვლილება, გენდერულად დისეგრეგირებულ მონაცემების ხელმისაწვდომობა და გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსების მდგრადობა.

საჭიროა წარმატებული ინიციატივების გაფართოება, მეტი ტრენინგები და ფინანსური მხარდაჭერა ქალი მეწარმეებისათვის. მონაცემთა შეგროვების სისტემის გაუმჯობესება, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ დავინახოთ პროგრესი და შევიმუშაოთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკა. მეტი რესურსებისა და ცოდნის მოსახვეჭად საჭიროა გაღრმავდეს თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საჭიროა ადგილობრივი თემის უფრო მეტად ჩართვა, განსაკუთრებით კი მამაკაცებისა და ბიჭების, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებში.

ინიციატივები და ქმედებები. ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული პერსპექტივების სისტემატურ გათვალისწინებას როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, ასევე, მუნიციპალური პოლიტიკების შემუშავებისას. სწორედ ამ საბჭოს ძალისხმევით შემუშავდა საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოველწლიურად ახლდება. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის სფეროში მუნიციპალიტეტის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. დოკუმენტში გაწერილი მიზანი კი ქალთა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობას ითვალისწინებს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, ქალთა შესაძლებლობების განვითარების და ლიდერობის მიმართულებით, ემსახურება ქალთა გაძლიერებას და მოტივირებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად და საჯარო მმართველობაში უფრო აქტიური როლის შესასრულებლად.

უკანასკნელ პერიოდი ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად უერთდება 16 დღიან გლობალურ კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს 187 ქვეყანაში და მიზნად ისახავს საზოგადოებაში გენდერულ თანასწორობასა და ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლებას. კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს მრავალფეროვან საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორისაა: პრეზენტაციები შშმ ქალებისა და გოგონების შრომითი უფლებების შესახებ, ფილმების ჩვენება და დისკუსიები, მრავალშვილიან მამებთან შეხვედრები ოჯახური ფასეულობების თემაზე, გამოფენა-გაყიდვები შშმ პირთა ხელნაკეთი ნივთებით, წიგნის პრეზენტაციები და დისკუსიები სტერეოტიპებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. ეს ღონისძიებები აძლიერებს თემის ჩართულობას გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, არღვევს მავნე სტერეოტიპებს და ხელს უწყობს თანასწორობაზე დაფუძნებულ კულტურას.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე შექმნილია სპეციალური განყოფილება „გენდერული თანასწორობის საბჭო“, სადაც განთავსებულია საბჭოს საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი ინფორმაცია: წევრთა სია, დებულება, ოქმები და მონაწილეობის შესახებ ცნობები სხვადასხვა შეხვედრებსა და ტრენინგებში. აღნიშნული პლატფორმა ამყარებს გამჭვირვალობასა და მონაწილეობით მმართველობას გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურმა თანამშრომლობამ გააჩინა რესურსები და შესაძლებლობები ქალებისთვის ადგილობრივ დონეზე. ჩატარებულმა სპეციალიზირებულმა ტრენინგებმა მოთხოვნად პროფესიებში, გაზარდა ქალთა დასაქმების შესაძლებლობები და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. თანასწორობის საკითხებზე ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა და ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივ თემში გენდერულ საკითხებზე ინფორმირებულობის დონე. ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დიდი მხარდაჭერით დაფუძნდა ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირი,“ რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემში მცხოვრებ მეწარმე ქალებს, ისინი ქმნიან და რეალიზებას უკეთებენ საკუთარ პროდუქციას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი ქალების საჭიროებებზეა მორგებული. ეს პროგრამები ითვალისწინებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების კონსულტირებას, და მარტოხელა დედების ფინანსურ დახმარებას. ქალთა სოციალური დაცვის მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა სოციალური დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას სოფლად, იმისათვის, რომ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ყველას ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე. ამით ადგილობრივი ხელისუფლება აძლიერებს სოციალური უსაფრთხოების ბადეს, ქმნის გარემოს ქალების მეტი განვითარებისათვის, რომ მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი თემის განვითარებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხედვით, უახლოეს მომავალში გენდერული თანასწორობა უნდა იყოს არა მიზანი, არამედ ყოფითი რეალობა. ჩვენი მისწრაფებაა ისეთი საზოგადოების შექმნა სადაც ქალებსა და კაცებს თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი თემის მდგრად განვითარებაში და ასევე თანაბრად ისარგებლონ იმ სიკეთეებით რასაც ეს განვითარება მოუტანს ადგილობრივ საზოგადოებას. მუნიციპალიტეტის 2030 წლის ხედვა ასევე მოიცავს ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სექტორში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერას. ამ ხედვის ქვაკუთხედია, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების ყველა ასპექტში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება. ადგილობრივი ხელისუფლება მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაფართოებასა და გაძლიერებას. გაგრძელდება გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური განახლება და ადგილობრივი ძალისხმევის სინქრონიზაცია როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ სტრატეგიებთან. პარტნიორობის გაძლიერებით, ინოვაციური მიდგომების დანერგვით და საზოგადოების ფართომასშტაბიანი ჩართულობის წახალისებით ხაშურის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს გახდეს სამაგალითო მუნიციპალური ერთეული მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის განხორციელების მიმართულებით.

SDG 6
სუფთა წყალი და სანიტარია

SDG 6 უზრუნველყოფს წყლის რესურსებისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობასა და მდგრად მართვას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომას, გამოყენებული წყლის გაუვნებელყოფას, წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვასა და სანიტარული სერვისების განვითარებას.

სუფთა წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების საფუძველია. მუნიციპალიტეტში არსებობს შესაძლებლობებიც და გამოწვევებიც. პროგრესი ფიქსირდება წყალმომარაგებისა და სანიტარიული მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით. მიმდინარე ინვესტიციებს წყალმომარაგებაში, წყალარინების მართვასა და წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებებში მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. საჭიროა მუშაობის გაგრძელება სუფთა წყლის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წყალარინების გამწმენდი შესაძლებლობების გასაფართოებლად და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გასაძლიერებლად.

ხაშურსა და დაბა სურამში სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. დანარჩენ დასახლებებში სასმელი წყლით უზრუნველყოფას, წყლის მიწოდების გაუმჯობესებას, სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია-მოწყობას, არტეზიული ჭების მოწყობასა და წყაროების მოპირკეთებას, მოვლა-პატრონობას ანხორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „წყლის და გამწვანების“ კომპანია ანხორციელებს.[32]

[32]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ხაშურის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მომსახურებას იღებს მხოლოდ ქალაქი ხაშური, დაბა სურამი და სოფ. ზემო ოსიაური. ამ კომპანიის მომსახურების გარეშეა ხაშურის მუნიციპალიტეტის 70 სოფელი, სადაც სამელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფას და წყლის სათავე ნაგებობების მოვლა-პატრონობას მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანიის მეშვეობით (იგულისხმება სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ჭაბურღილების მშენებლობა, საქლორატოროები, ელექტროენერგიის ხარჯი, ტუმბოების შეძენა-ამოცვლა, შიდა დაქსელვა და ა.შ.). უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის გამრიცხველიანება და მომსახურების ტარიფის დაწესება. ამ გამოწვევის საპასუხოდ ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით, ასევე საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ახორციელებს. ეს ძალისხმევა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული განვითარების სტრატეგიებთან და მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან.

ხაშურში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება საქართველოს მთავრობის, ევროკავშირის, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით. მათი ერთობლივი ძალისხმევა უზრუნველყოფს როგორც ინფრასტრუქტურული განვითარების გაძლიერებას, ისე მოსახლეობის ჩართულობისა და მდგრადი წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც გვერდისუბნისა და ბაინათხევის უბნებისთვის ეწყობა წყალმომარაგების ქსელები და რეზერვუარი. დამატებით, დაბა სურამისთვის მოეწყობა სატუმბი სადგური. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მლნ ლარი მოხმარდება. პროექტის განხორციელების შედეგად მოგვარდება დაბა სურამში წყალმომარაგების კომპანიის აბონენტებისთვის სტაბილური და ხარისხიანი წყალმომარაგება. აღნიშნული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, და მისი მოგვარება მუნიციპალიტეტის 2030 წლის მიზნების გლობალური შედეგი იქნება. დაბა სურამში იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობი მოეწყო, რომლითაც 2500 ბენეფიციარი ისარგებლებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და საერთაშორისო პარტნიორები, მათ შორის საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD). პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი გარემოსდაცვითი პრობლემის აღმოფხვრა, რომელიც უკავშირდება გაუწმენდავი წყლების ბუნებრივ წყალსატევებში ჩაშვებას. ახალი ნაგებობის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებს დაბინძურებას და გაუმჯობესებს წყლის ხარისხს. პროექტი ითვალისწინებს წყალარინების ქსელის რეაბილიტაციასა და გაფართოებას, ასევე გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, რაც მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებადაა განსაზღვრული. ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანა დაგეგმილია მომდევნო წლებში და ის მოემსახურება ხაშურსა და მის მიმდებარე დასახლებებში მცხოვრებ დაახლოებით 30,000-მდე მოქალაქეს. წყლის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სოფლებშიც აქტიურად მიმდინარეობს ღონისძიებები. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტმა განახორციელა წყალმომარაგების მცირე მასშტაბის პროექტები 12 სოფელში, რაც დაახლოებით 6 500 მცხოვრებს მოემსახურება. ამ პროექტების დაფინანსება განხორციელდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და მოიცავს ახალი ჭაბურღილების გაბურღვას, ქლორირების სისტემების დანერგვასა და თვითდინებითი წყალმომარაგების ქსელების მოწყობას, რაც უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს იმ დასახლებებს, სადაც წყლის მიწოდება პრობლემას წარმოადგენდა. სანიტარიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს ურბანული წყალარინების ქსელის გაფართოებას, რაც მიზნად ისახავს მეტი საცხოვრებელი სახლის ჩართვას მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემაში. განხორციელებული სამუშაოები მოიცავს საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციასა და ახალ ქსელებზე დაერთებას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სანიტარიულ პირობებს. პროექტების ნაწილი ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის და საერთაშორისო დონორების ერთობლივი დაფინანსებით, განსაკუთრებით ევროკავშირის და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) მხარდაჭერით.



ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება/გატანა/განთავსებას ახორციელებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“. მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან ფუნქციონირებს ლიცენზირებული ნაგავსაყრელი (7,5312.44მ2), რომლის ამოქმედების შემდეგ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები.





პრევენციის მიზნით, ააიპ „ხაშურსერვისი“ რეგულარულად ახდენს ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხის მონიტორინგს, დანაგვიანებული კერის აღმოჩენისთანავე ამ ადგილებიდან ხდება ნარჩენების შეგროვება/გატანა და ტერიტორიაზე გაწმენდვითი სამუშაოების განხორციელება. დღეისათვის ნარჩენების გატანა ხდება 65 სოფლიდან, დაბა სურამიდან და ქალაქ ხაშურიდან. ნარჩენების გატანა ხდება ქ. ხაშურში გორგასალის ქუჩაზე არსებულ ნაგავსაყრელზე.[33]

2022 წლის 17 სექტემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ ორგანიზაციების ჩართულობით, ხაშურში, იმერეთის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა. დასუფთავების აქცია, კამპანია, „დავასუფთაოთ მსოფლიოს“ ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციების -„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები-საქართველო“, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ (KGT), საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისის“ მიერ, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა. 2022 წლის მსოფლიო დასუფთავების

[33]წყარო: ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

კამპანიის გზავნილია-ადგილობრივი გარემოსდაცვითი ქმედებების მხარდაჭერა, რათა შეიცვალოს სამყარო. მსგავსი ხასიათის აქციებში, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ჩართულობა, ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საქართველოში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში GEO Outlook სლოვაკეთის გარემოსდაცვითი სააგენტოსა და Slovak Aid-ის მხარდაჭერით, ხაშურის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, დაინერგა სიახლე ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემცირების კუთხით, ნარჩენების სეპარირებული (განცალკევებული) შეგროვებისათვის გადმოგვეცა 1 100 ლიტრის მოცულობის 51 ნაგვის ურნა. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გარემოს დაბინძურება და მისგან მომდინარე გამოწვევები მზარდი პრობლემაა, ნარჩენების მართვა კრიტიკულ საკითხად იქცა. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემცირებისა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა, ნარჩენების სეპარირებული (განცალკევებული) შეგროვება და მისი გადამუშავებაა. ნარჩენების პლასტიკად, ქაღალდად, ორგანულ მასალად თუ სხვა ფრაქციებად დახარისხება აუცილებელია მათი ეფექტიანი გადამუშავებისთვის, რის შედეგადაც, ნაცვლად იმისა, რომ ეს ნარჩენები ნაგავსაყრელზე მოხვდეს ან გარემო დააზიანოს, ხდება მათი წარმოებაში დაბრუნება. გამოყენებული პლასტიკის ბოთლები უნდა შეგროვდეს ცალკე, სუფთა მდგომარეობაში და მოთავსდეს მხოლოდ ამ ტიპის ნარჩენისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ქუჩებში, კერძოდ კი დაბა სურამში უკვე განთავსდა 15 კონტეინერი. შეგროვებულ პლასტიკს მუნიციპალიტეტი გადასცემს გადამამუშავებელ საწარმოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. საწარმოში მოხვედრილი პლასტიკი გადამაუშვდება და იქცევა პოლიმერულ ფანტელად. ამ ნედლეულს კი სხვადასხვა წარმოებაში გამოიყენებენ კომპანიები. შესაბამისად, ნაგავსაყრელზე მოხვედრის, დაშლის 450 წლიანი პროცესის და გარემოსთვისა

და ადამიანებისთვის ზიანის მიყენების ნაცვლად, პლასტიკი ახალ სიცოცხლეს შეიძენს სხვადასხვა ინდუსტრიაში.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ადგილობრივი პოლიტიკის SDG 6-ის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანით და ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის გაძლიერებით, ხაშურის მუნიციპალიტეტი გეგმავს მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარიული განვითარების პროცესის დაჩქარებას. ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით, ასევე საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ახორციელებს. ეს ძალისხმევა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული განვითარების სტრატეგიებთან და მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან.

მუნიციპალური ხელისუფლება მომავალშიც შეუწყობს ხელს კოორდინირებულ ძალისხმევას მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის, და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი წყალმომარაგების სტრატეგიების დანერგვას.

ამოცანის მიმოხილვა

6.1 და 6.2 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტში წყლის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა, სოფლის დასახლებებში წყალმომარაგების საკითხების რეგულარულად განხილვა და საჯარო სივრცეების დეზინფექცია.

6.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ წყალმოსარგებლე აბონენტთა რაოდენობის ზრდა (აბონენტების რაოდენობა). **6.2.1 საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ასევე საერთო მოხმარების სივრცეების დეზინფექცია.** **6.ბ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ტარდება სოფლის კრებები, რომლებზეც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს პირდაპირ მონაწილეობას მათ შორის წყალმომარაგების გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით**			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	წყალმომარაგების აბონენტები-18,000; დეზინფექცია (კვ.მ.)-9,315; კრება წყალმომარაგების საკითხებზე (%)-18%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	წყალმომარაგების აბონენტები-20,000; დეზინფექცია (კვ.მ.)-15,000; კრება წყალმომარაგების საკითხებზე (%)-27%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა 18,000 შეადგენდა. აღნიშნული, 2024 წელს 20,500-მდე გაიზარდა. 2030 წლისთვის, მიზნობრივი მაჩვენებელი 20,000 შეადგენდა. 2022 და 2024 წლებში 9,315 კვ.მ. ფართობის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს ჩაუტარდა დეზინფექცია.



2030 წლისათვის, დაგეგმილია 15,000 კვ.მ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დეზინფექცია. 2022 და 2024 წლებში, სოფლის კრება ჩატარდა 79 სასოფლო დასახლებაში. თუმცა, წყალმომარაგების საკითხები განიხილებოდა 14 დასახლებაში (18%) 2022 წელს და 5 დასახლებაში (6%) 2024 წელს. 2030 წლისთვის დაგეგმილია წყალმომარაგების საკითხების განხილვა მინიმუმ 21 სასოფლო დასახლებაში (+50%, 2022 წელთან შედარებით).

გამოწვევები. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების წყალობით, ადგილობრივი მოსახლეობას, სოფლის მეურნეობას და მრეწველობას აქვს შესაძლებლობა წყალი არაერთი, არამედ სხვადასხვა წყაროდან მიიღოს. მიუხედავად ამისა, წყალმომარაგების მხრივ შემდეგი გამოწვევები არსებობს: წყლის მიწოდების უწყვეტობა, ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა და ა.შ.

ინიციატივები და ქმედებები. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტია წყალმომარაგებისა და წყალარინების აღდგენის პროექტი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა ევროკავშირის და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 63 მილიონი ევრო, რომელიც მოიცავს საფრანგეთის განვითარების სააგენტოს 58 მილიონ ევროს დაფინანსებას, ევროკავშირის გრანტს 7,150,000 ევროს ოდენობით და სახელმწიფო დაფინანსებას დაახლოებით 11 მილიონი ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით. ამ ინიციატივის მიზანია ხაშურის სასმელი წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაც დაახლოებით

30,000-მდე მცხოვრებს უზრუნველყოფს საიმედო წყალმომარაგებით. პროექტის ფარგლებში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს 170 კილომეტრი ახალი წყალმომარაგების მილსადენის გაყვანას, ასევე 40 კილომეტრი წყალარინების ქსელის რეაბილიტაციასა და მშენებლობას დასახლებების სანიტარიული პირობების გაუმჯობესების მიზნით. პროექტი ასევე მოიცავს ახალი სატუმბი სადგურებისა და წყალსაცავების მშენებლობას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შესანახი წყლის მოცულობას და უზრუნველყოფს უწყვეტ წყალმომარაგებას.

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, მუნიციპალიტეტი ატარებს მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებებს წყლის რესურსების მართვისა და დაზოგვის მნიშვნელობაზე. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, თვითმმართველობასთან ერთად, ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებსა და საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც მოიცავს ბუკლეტების გავრცელებას, დისკუსიების ორგანიზებას და თემატურ შეხვედრებს. მსგავსი ინიციატივები ემსახურება მოსახლეობაში წყლის რესურსების დაცვის ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით მომავალი თაობის წრეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტს აქვს ინფრასტრუქტურული, ეკოლოგიური და ფინანსური სირთულეები SDG 6-ის განხორციელების გზაზე, მეტი დაფინანსების მიღების შესაძლებლობები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა ქმნის მყარ საფუძველს ამ გამოწვევების დასაძლევად. არსებული პრობლემების მოგვარება მოითხოვს გრძელვადიან ინვესტიციებს, კოორდინირებულ ძალისხმევას მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის, და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი წყალმომარაგების სტრატეგიების დანერგვას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და სანიტარიული სერვისების სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება, მდგრადი წყლის მართვის მექანიზმების დანერგვა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაფართოება და მოდერნიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. აუცილებელია დამატებითი წყალსაცავების, სატუმბი სადგურებისა და სადისტრიბუციო ქსელის მშენებლობა მუნიციპალიტეტის სრულად დაფარვისთვის. ამ პროცესში ადგილობრივმა და ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა განაგრძონ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა საერთაშორისო დონორებისა და კერძო სექტორის ჩართულობით.

წყალარინების გაფართოება და გამწმენდი ნაგებობების ამოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მდინარე მტკვრის დაბინძურების შესამცირებლად. გრძელვადიანი პოლიტიკის ფარგლებში აუცილებელია წყალარინების ქსელის გაფართოება ქალაქსა და სოფლის დასახლებებში და მცირე გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა პერიფერიულ ზონებში, სადაც ცენტრალური ინფრასტრუქტურის გაყვანა რთულია.

საზოგადოების ცნობიერებისა და ჩართულობის გაზრდა გადამწყვეტია წყლის მდგრადი მოხმარებისა და ჰიგიენის დაცვის კულტურის განსამტკიცებლად. ადგილობრივ სკოლებში, სათემო ცენტრებში და სამოქალაქო ორგანიზაციებში წყლის დაზოგვის, სანიტარიისა და ეკოსისტემების დაცვის თემებზე ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაეხმარება მოსახლეობას მათი რესურსების სწორად მართვაში. ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობა, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მოსახლეობის ჩართულობა უზრუნველყოფს SDG 6-ის წარმატებით განხორციელებას ხაშურის მუნიციპალიტეტში და ხელს შეუწყობს უსაფრთხო და მდგრადი წყალმომარაგების სისტემის შექმნას. დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება წყალმომარაგებისა და სანიტარიული მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით. მიმდინარე ინვესტიციები წყალმომარაგებაში, წყალარინების მართვასა და წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებებში ადგილობრივ თემს დიდ სარგებელს მოუტანს. თუმცა, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა სუფთა წყლის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წყალარინების გამწმენდი შესაძლებლობების გასაფართოებლად და კლიმატის მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად. ადგილობრივი პოლიტიკის SDG 6-ის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანით და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებით, ხაშურის მუნიციპალიტეტი შეძლებს მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარიული განვითარების პროცესის დაჩქარებას.



SDG 8
ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

SDG 8 ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, სრულფასოვან და პროდუქტიულ დასაქმებას, ასევე, ღირსეულ სამუშაოს ყველასთვის. მიზანი ემსახურება ინოვაციების ხელშეწყობას, მეწარმეობის მხარდაჭერას, შრომის უფლებებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ვაჭრობა, მომსახურება, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ადგილობრივი ხელისუფლება, ეროვნული ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, ახორციელებს მწყობრ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებასა და შრომის ბაზრის განვითარებას. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე და პროფესიული განათლების გაძლიერებაზე . მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული დასაქმების ხელშეწყობის ინიციატივებში, რაც მოიცავს დასაქმების ფორუმებსა და პროფესიულ გადამზადების პროგრამების განხორციელებაში დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდა განპირობებულია ინვესტიციებით ინფრასტრუქტურაში, ტურიზმის განვითარებით და მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერით. კვლავ დომინირებს ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა ეკონომიკაში, თუმცა ბოლო წლებში მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებიც აქტიურად ვითარდება. ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორი ძირითადად სამშენებლო, სამრეწველო და ფერმერული ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი. 2023 წლის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 10 413 ბიზნეს-სუბიექტია დარეგისტირებული.

რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[34]

საკუთრების ფორმა	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	**8 257**	**8 620**	**9 002**	**9 441**	**9 874**	**10 413**
კერძო ადგილობრივი საკუთრება	8 003	8 352	8 726	9 154	9 580	10 110
კერძო უცხოური საკუთრება	130	142	147	157	162	169
სახელმწიფო საკუთრება	56	56	57	58	58	58
მუნიციპალური საკუთრება	25	24	24	24	25	25
შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით	10	11	12	12	12	13
შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით	9	10	10	10	11	11
სხვა	21	22	23	23	23	24
გაურკვევლი	3	3	3	3	3	3

[34]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და წლების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[35]

N	ეკონომიკური საქმიანობის დასახელება	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	105	113	122	128	130	137
2	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	15	14	14	14	14	20
3	დამამუშავებელი მრეწველობა	526	554	581	614	644	685
4	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული აირის მიწოდება	3	3	3	3	3	3
5	წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინურებისაგან გასუფთავების სამუშაოები	5	5	5	5	5	6
6	მშენებლობა	242	288	336	384	437	531
7	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 244	2 369	2 501	2 615	2 728	2 811
8	ტრანსპორტი და დასაწყობება	396	418	449	485	555	651
9	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	231	250	260	275	299	322
10	ინფორმაცია და კომუნიკაცია	19	19	23	31	40	46
11	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	29	29	30	30	32	35
12	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	76	81	84	88	89	93
13	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	69	72	78	89	97	106
14	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	51	63	66	78	90	111
15	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვა	11	11	12	12	12	13
16	განათლება	70	70	72	78	81	85
17	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	68	68	70	76	77	81
18	ხელოვნება, გართობა. დასვენება	31	33	33	35	38	40
19	სხვა სახის მომსახურება	174	183	193	200	215	234
20	საქმიანობა უცნობია	3 892	3 977	4 070	4 201	4 287	4 403
21	სულ	8 257	8 620	9 002	9 441	9 874	10 413

[35]წყარო: https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka

2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორის დამატებულმა ღირებულებამ 120.0 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს-სექტორის ბრუნვამ - 453,4 მლნ ლარი. 2023 წელს ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ ხაშურის მუნიციპალიტეტში 4.0 ათასი კაცი შეადგინა.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ.ლარი)[37]

	2018	2019	2020	2021	2022	2023
გამოშვებული პროდუქცია	79.3	111.6	107.9	128.4	160.1	230.1

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[38]

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
დასაქმებულთა რაოდენობა სულ	3 157	3 462	3 325	3 762	3 799	3 997
მათ შორის ქალი	860	1 482	1 466	1 402	1 516	1 790
მათ შორის კაცი	2 297	1 980	1 860	2 360	2 282	2 207

ბიზნეს-სექტორში დაქირავებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[39]

წელი		2018	2019	2020	2021	2022	2023
დაქირავებულთა რაოდენობა სულ		2 097	2 622	2 465	2 587	2 984	3 469
მათ შორის ქალი		751	1 289	1 165	1 105	1 237	1 612
მათ შორის კაცი		1 346	1 332	1 300	1 482	1 746	1 857

2023 წელს ბიზნეს-სექტორის მიერ შექმნილი პროდუქციის მაჩვენებელმა 230,1 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემთან შედარებით (2020 წელი) დაახლოებით 70 მილიონი ლარით მეტია.[40]

ღირსეული სამუშაოს შექმნა პროგრესის საფუძველია და ამგვარად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულმიმართულებას წარმოადგენს.

[36]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka
[37]წყარო: იგივე
[38]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka
[39]წყარო: https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka
[40]წყარო: იგივე

ბიზნეს სექტორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ხაშურის მუნიციპალიტეტში (ლარი)[41]

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება	562,6	551,0	520,1	656,3	730,2	981,7
მათ შორის ქალი	355,6	386,8	393,9	437,3	427,3	587,1
მათ შორის კაცი	678,1	710,0	633,3	819,6	944,8	1,324,2

ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარება ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ. ლარი)

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
შუალედური მოხმარება	40.3	58.1	56.1	63.7	80.3	110.1

ბიზნეს სექტორის საქონლისა და მომსახურების ყიდვები ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ. ლარი)[42]

	2018	2019	2020	2021	2022	2023
საქონლისა და მომსახურების ყიდვები სულ	241.6	331.6	363.8	418.5	345.8	343.2

ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ ლარი)[43]

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში სულ	3,1	8,4	6,7	7,2	8.7	6.7

ბაზრების და ბაზრობების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (დეკლარირებული მონაცემები, ერთეული)[44]

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	1	1	1	1	1	1
აგრარული ბაზარი შპს „ნობათი 2007“	1	1	1	1	1	1

ბაზრების და ბაზრობების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (დეკლარირებული მონაცემები, ერთეული)[45]

წელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	1	1	1	1	1	1
სახელმწიფო	-	-	-	-	-	-
კერძო	1	1	1	1	1	1

[41]წყარო: იგივე
[42]წყარო: იგივე
[43]წყარო: იგივე
[44]წყარო: იგივე
[45]წყარო: https://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka

ტურიზმი ხდება ხაშურის ეკონომიკის მზარდი ნაწილი, რასაც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.



სურამსა და ქვიშხეთში მდებარე კულტურული ძეგლების აღდგენა ხელს უწყობს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდასა და სტუმარ-მასპინძლობის სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რათა უკეთ წარმოჩინდეს რეგიონული ტურისტული პოტენციალი. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ხაშურის



მუნიციპალიტეტში შესაძლოა განვითარდეს ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა სპორტული ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, სოფლად ტურიზმი, ჰაიქინგი და ტრექინგი (შორ მანძილზე ფეხით სიარული), საბანაკოდ გასვლა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 14 ოქტომბრიდან შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი ტურისტულმა საინფორმაციო ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირებას. მოწესრიგდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიმდებარე ინფრასტრუქტურაც.

სასტუმროები და ღამის გასათევი ადგილები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 15-ზე მეტი სასტუმრო ფუნქციონირებს. საოჯახო სასტუმროების უმეტესობა დაბა სურამშია განთავსებული. ქალაქ ხაშურში მდებარეობს სასტუმრო „ივერია“, სოფელ ქვიშხეთში - სასტუმრო „მწერლები“. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში არის საოჯახო სასტუმროების სიმცირე, პარალელურად კი მზარდი მოთხოვნა, რაც ქმნის დასასვენებელი სივრცეების დეფიციტს და ზრდის არსებულის ფასს. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების ნაკლებობა შეიძლება ჩაითვალოს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი სასტუმროები

N	დასახელება	მისამართი	საკონტაქტო ინფორმაცია
1	სასტუმრო ივერია ხაშური • Iveria Hotel Khashuri	ქ. ხაშური, აღმაშენებლის ქუჩა #2	Facebook – სასტუმრო ივერია ხაშური Iveria Hotel Khashuri E-mail: iveriahotel@gmail.com სასტუმროს აქვს ასევე რესტორანი
2	Mtserlebi Resort • სასტუმრო მწერლები	ქ. ხაშური, სოფ. ქვიშხეთი	Facebook – Mtserlebi Resort • კურორტი მწერლები info@mtserlebiresort.ge http://www.mtserlebiresort.ge
3	Hotel Surami • სასტუმრო სურამი	ქ. ხაშური, დაბა სურამი გურამიშვილის ქუჩა #101	Facebook – Hotel Surami • სასტუმრო სურამი abesadzeg@gmail.ru
4	Hotel Legiandro Surami • სასტუმრო ლეჯიანდრო სურამი	ქ. ხაშური, დაბა სურამი – გურამიშვილის ქუჩა#37	Facebook – Hotel Legiandro Surami • სასტუმრო ლეჯიანდრო სურამი madona.khachidze@gmail.com
5	Hotel Surami Forest	ქ. ხაშური, დაბა სურამი გურამიშვილის ქუჩა #98	fecebook – Hotel Surami Forest seegeorgia.ge@gmail.com
6	სასტუმრო "თეთრი სახლი"	ქ. ხაშური, დაბა სურამი, 26 მაისის ქუჩა #97	Michelle23@gmail.com
7	KMG HOTEL	ქ. ხაშური, დაბა სურამი რუსთაველის ქუჩა #206 (რკინის წყლის მიმდებარედ)	Facebook – KMG HOTEL სასტუმრო სურამში Hotelkmg@gmail.com
8	სასტუმრო „დუდა"	ქ. ხაშური, დაბა სურამი, რუსთაველის ქუჩა.#116	facebook – Hotel "Duda" Surami / სასტუმრო "დუდა"
9	სასტუმრო "ბათუმი"	ქ. ხაშური, დაბა სურამი, რუსთაველის ქუჩა.#186	Zazten@yandex.ru
10	საოჯახო სასტუმრო "მჭედლის სახლი"	სურამი, გოჩა დევაძის ქ. 5	facebook – მჭედლის სახლი / mchedlis sakhli ltd.blacksmith@gmail.com
11	საოჯახო ტიპის სასტუმრო –"ხის სახლი სურამი"	ქ. ხაშური, დაბა სურამი, მშვიდობის ქუჩა 68	facebook – საოჯახო ტიპის სასტუმრო–სურამი g.gabauri@sspace.ge
12	საოჯახო ტიპის სასტუმრო –"კიდობანი"	ქ. ხაშური, დაბა სურამი 26 მაისის ქუჩა #49	facebook – სურამი, სასტუმრო "კიდობანი" Hotel "Kidobani" in Surami darejan.1952@mail.ru
13	საოჯახო ტიპის სასტუმრო „იმპერიალი'	ქ. ხაშური, დაბა სურამი, გრიგოლ სურამელის ქუჩა #100	bekakhachidze11@gmail.com facebook – საოჯახო სასტუმრო იმპერიალი
14	საოჯახო სასტუმრო "Red Twins"	ქ. ხაშური, დაბა სურამი გურამიშვილის ქუჩა #19	facebook – დასვენება სურამში/წითელი ტყუპები
15	Villa Rbona • (აგრო სასტუმრო სახლი,კემპინგი)	ქ. ხაშური სოფ. დამჩხეულა.	Facebook – Villa Rbona jaba.kachakhidze@gmail.com villarbona1@gmail.com

წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტი.
https://khashuri.gov.ge/turizmi-municipalitetshi/96-turizmi.html



	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	0	0	9	17	17	19	32	31	23	27	16	40	99	106
ქალი	0	0	5	12	12	12	19	19	14	17	12	24	71	69
კაცი	0	0	4	5	5	7	13	12	9	10	4	16	28	37

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები ხაშურის მუნიციპალიტეტს კვეთს ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. მონასტრის, სოფ. ბულბულისციხის და ნაწილობრივ სოფ. ტაშისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე.[46] ეროვნული პარკის საცხენოსნო მარშრუტებზე გასასვლელად, საჭიროა რეგისტრაციის გავლა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა ცენტრებში: ბორჯომში ან ხარაგაულში. ეროვნული პარკის ტურისტული მარშრუტების ქსელი ერთი და მრავალდღიანი ლაშქრობების საშუალებას იძლევა ტურისტული მარშრუტების ქსელი ზღვის დონიდან 400 მ-დან 2,642 მ-ს აღწევს. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, თოვლის ფეხსაცმელების კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.[47]

რესტორნები და კვების ობიექტები. ხაშურის მუნიციპალიტეტში 20-მდე კვების ობიექტი და ხუთი მარანია განთავსებული. კვების ობიექტების სიმცირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აუცილებელია კვების ობიექტების მმართველი რგოლისა და სექტორში მომსახურე პერსონალის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით.

[46] https://maps.gov.ge/map/portal#state/point=43.465157863928965,41.965480363784415&projection=EPSG:43
[47] დაცული ტერიტორიების სააგენტო.
https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/bordjom-xaragaulis-erovnuli-parkis-administracia

კვების ობიექტები ხაშურის მუნიციპალიტეტში

N	დასახელება	ადგილმდებარეობა	ინტერნეტით უზრუნველყოფა	აქვს თუ არა ტერასა	მისაღები სტუმრების რაოდენობა
1	რესტორანი „დიაოხი“	ბორჯომის გზის ცენტრალური მაგისტრალი	wifi	კი	300
2	სასტუმრო-რესტორანი „მწერლები“	სოფ.ქვიშხეთი	Wifi	კი	58
3	კაფე-რესტორანი-„ქართველი“	ბორჯომის გზის ცენტრალური მაგისტრალი	Wifi	კი	100
4	რესტორანი „კორკოტა“	ბორჯომის გზის ცენტრალური მაგისტრალი	Wifi	არა	100
5	რესტორანი „პაპას დუქანი“	რუსთაველის ქ #2	Wifi	კი	100
6	კაფე „კულინარი 2012“	რუსთაველის ქ #22	Wifi	არა	20
7	კაფე-საკონდიტრო „მაგნიფიკო“	კოსტავას ქ #10	Wifi	კი	100
8	კაფე-ბარი „მელბროსი“	ტაბიძის ქ #11	Wifi	კი	50
9	რესტორანი „ტირიფი“	ბორჯომის ქ #20	Wifi	კი	100
10	რესტორანი „მირზაანი“	ლესელიძის ქ #3	Wifi	არა	70
11	კაფე „ბორა-ბორა“	ბორჯომის ქ #170	Wifi	არა	25
12	რესტორანი „რაჭველები“	ბორჯომის ქ #188	Wifi		35
13	რესტორანი „სურამი“	დაბა სურამი, გრ.სურამელის ქუჩა	არა	კი	150
14	wila rboma (აგრო სახლი)	ცხრამუხა, სოფ.დამჩხეულა	Wifi	კი	15
15	რესტორანი „კევრი“	სოფ. ტაშისკარი, ბორჯომის გზის ცენტრალური მაგისტრალი	Wifi	კი	100
16	რესტორანი „ცხრამუხა“	ბორჯომის გზის ცენტრალური მაგისტრალი	Wifi	კი	150

წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტი.
https://khashuri.gov.ge/turizmi-municipalitetshi/96-turizmi.html

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი მარნები

N	დასახელება	ლოკაცია	ინტერნეტით უზრუნველყოფა
1	მარანი	სოფ. ქვიშხეთი	Wifi
2	მარანი	სოფ. ბეკამი	Wifi
3	მარანი	დაბა სურამი, 9 აპრილის ქ II ჩიხი #13	Wifi
4	მარანი	დაბა სურამი, შარტავას ქ #14	Wifi
5	wila rboma (აგრო სახლი)	ცხრამუხა, სოფ.დამჩხეულა	Wifi

წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტი.
https://khashuri.gov.ge/turizmi-municipalitetshi/96-turizmi.html

გასართობი და დასასვენებელი სივრცეები. ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის ტერიტორიაზე გასართობი და დასასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი მოიცავს ტერიტორიაზე ატრაქციონების, საზაფხულო ამფითეატრის, სკეიტ-პარკისა და სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობას. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სარბენი და ველო-ბილიკების მოწყობის სამუშაოები; მოეწყო გარე განათების სისტემა. ტერიტორია საშუალებას იძლევა მოეწყოს საბავშვო ქალაქის ტიპის გასართობი და ქართული ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის სივრცეები.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს დასაქმების ფორუმებსა და პროფესიული უნარების განვითარების პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ბაზრის მოთხოვნებთან მის შესაბამისობას. სსიპ. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ცნობადობის ამაღლების მიზნით მობილური ჯგუფის საშუალებით ახორციელებს საინფორმაციო სახის შეხვედრებს ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტების და მისი რაიონების დონეზე. ჯგუფი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას არსებული მომსახურებების შესახებ და შესაბამისი სამიზნე აუდიტორიის, როგორც დამსაქმებლების, ასევე ქვეყნის შიგნით სამუშაოს მაძიებლების: საშუამავლო მომსახურების, სტაჟირების და სუბსიდირების პროგრამების, საზოგადოებრივი სამუშაოების ქვეპროგრამის, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების ფარგლებში. დაინტერესებულ პირებს ადგილზევე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები, დარეგისტრირდნენ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში Worknet.moh.gov.ge-ზე და ჩაერთონ მათთვის სასურველ პროგრამაში. ხაშურის მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მსგავსი ტიპის შეხვედრები, რომლის ორგანიზებაც მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ჩართულობით იმართება. სოციალური შემწეობის მიმღებ შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დაწყებული დასაქმების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ხაშურსერვისმა და ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანიამ“ დაასაქმა 82 მოქალაქე.[48]

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, დასაქმების ეროვნული სააგენტო მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს დასაქმების ფორუმებსა და პროფესიული უნარების განვითარების პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ბაზრის მოთხოვნებთან მის შესაბამისობას. ხაშურის მუნიციპალიტეტი კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მასშტაბური პროექტების განხორციელებას ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

[48]წყარო: ა(ა)იპ ხაშურსერვისიბ და ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანია

ამოცანის მიმოხილვა

8.5. 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევა.

8.5.1. დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების საშუალო შემოსავალი.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	სტატისტიკის ეროვნული სამსახური		
საბაზისო მაჩვენებლები	დასაქმებულთა რაოდენობა-3,799; ქალი დასაქმებულების წილი-40%;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2014-2023 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობა და ქალების წილი ხაშურის მუნიციპალიტეტში. ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 3,997-მდე გაიზარდა 2023 წელს. აღნიშნული, 67%-ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ასევე, ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალების წილი 45%-მდე გაიზარდა, ანალოგიურ პერიოდში. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ გაიზარდა და 982 ლარი შეადგინა 2023 წელს. თუმცა, მამაკაცების საშუალო ანაზღაურება 125%-ით აჭარბებდა ქალების საშუალო ანაზღაურებას 2023 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს აღნიშნული სხვაობა 83%-ს შეადგენდა.





მუნიციპალური მონაცემების მიხედვით, დასაქმების ძირითადი შესაძლებლობები საჯარო სექტორში, მცირე ბიზნესებსა და სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდა განპირობებულია ინფრასტრუქტურული ინვესტიციებით, ტურიზმის განვითარებით და მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერით. 2023 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია



2,604 ბიზნესი, რაც წინა წლებთან შედარებით, ზრდის ტენდენციას აჩვენებს . ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა კვლავ დომინირებს ეკონომიკაში, თუმცა ბოლო წლებში მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებიც აქტიურად ვითარდება. ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 1,000 ადამიანზე თითქმის გაორმაგდა ბოლო 10 წლის განმავლობაში და 204 ბიზნეს სუბიექტი შეადგინა 2024 წელს.

გამოწვევები. ხაშურის ადგილობრივი ეკონომიკა დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად სექტორზე და ნაკლებად დივერსიფიცირებულია. განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული სხვაობა შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში.

ინიციატივები და ქმედებები. მუნიციპალური და ეროვნული უწყებების თანამშრომლობით, ხორციელდება ახალგაზრდებში უმუშევრობის დაძლევის რიგი ღონისძიებები. ბოლო წლებში, რამდენიმე პროფესიული გადამზადებისა და კარიერული განვითარების პროგრამა დაინერგა, რაც სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. 2021-2024 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებული ტრენინგ-პროგრამები მოიცავდა მშენებლობას, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს.

მუნიციპალიტეტი აქტიურად უჭერს მხარს მცირე და საშუალო ბიზნესს. 2023 წელს, დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებში 500-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ქალ მეწარმეებს ჩაუტარდათ ტრენინგები, ხოლო "აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში, 2022 წლიდან, 50-ზე მეტმა ადგილობრივმა ბიზნესმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა გრანტებისა და სუბსიდირებული სესხების სახით, რაც დაეხმარა მათ საქმიანობის გაფართოებაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ სექტორებზე, როგორიცაა სასტუმრო ბიზნესი, კვების მრეწველობა და მსუბუქი წარმოება.

ტურიზმი ხდება ხაშურის ეკონომიკის მზარდი ნაწილი, რასაც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სურამსა და ქვიშხეთში მდებარე კულტურული ძეგლების აღდგენა ხელს უწყობს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდასა და სტუმარ-მასპინძლობის სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მუნიციპალიტეტი ასევე თანამშრომლობს ეროვნულ ტურიზმის ადმინისტრაციასთან, რათა უკეთ წარმოჩინდეს რეგიონული ტურისტული პოტენციალი.

განათლებისა და სამუშაო ძალის განვითარების მიმართულებით, ხაშურის პროფესიულმა კოლეჯმა - „ქართლი" - გააფართოვა თავისი სასწავლო პროგრამები და სტუდენტებს შესთავაზა კურსები ინფორმაციული ტექნოლოგიების, მექანიკური ინჟინერიისა და ბიზნესის მართვის მიმართულებებით. ეს პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის იმ ცოდნისა და უნარების გადაცემას, რომლებიც შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ეკონომიკურ გარემოსთან.

მუნიციპალიტეტი გეგმავს ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას, პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერებას და ადგილობრივი სკოლებისა და საწარმოების თანამშრომლობის გაფართოებას. სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის მოდელი იქნება პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და დასაქმების სტრუქტურის გაძლიერებას. მუნიციპალიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რათა მხარი დაუჭიროს სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერების ინიციატივებს.

SDG 9
მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

SDG 9 ფოკუსირებულია გამძლე ინფრასტრუქტურის შექმნაზე, ინკლუზიური ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობასა და ინოვაციების განვითარებაზე. ის მხარს უჭერს მდგრად ტექნოლოგიებს, მცირე საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი, როგორც საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელი, აქტიურად მუშაობს კავშირების გაძლიერებაზე, მუნიციპალური სერვისების გაფართოებაზე და ტექნოლოგიური წინსვლის ხელშეწყობაზე. ადგილობრივი თვითთმმართველობა ინფრასტრუქტურული განვითარების, ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერას განიხილავს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მთავარ კომპონენტებად.

განხორციელებული ინვესტიციები საგზაო, წყალმომარაგებისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას. ამასთანავე, ადგილობრივი ეკონომიკა ეფუძნება სოფლის მეურნეობას, სამშენებლო მასალების წარმოებას და სხვადასხვა სახის მცირე მეწარმეობას. აღნიშნული სექტორები ადგილობრივი ეკონომიკისთვის კრიტიკულ როლს ასრულებს, შესაბამისად, დივერსიფიკაციას და ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის გაძლიერება აუცილებელია ინოვაციებისა და სამუშაო ძალის განვითარებისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს შექმნას. ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად ემყარება სამშენებლო მასალების წარმოებას, სოფლის მეურნეობასა და მცირე მეწარმეობას. ეს სექტორები მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ, აუცილებელია მათი დივერსიფიკაცია და ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რათა გაიზარდოს მრეწველობის მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა.

რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა საკუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)

საკუთრების ფორმა	2018	2019					2020				
		სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია
სულ	**2 222**	**2 255**	**1**	**18**	**1 776**	**460**	**2 248**	**1**	**13**	**1 629**	**605**
კერძო ადგილობრივი საკუთრება	2 145	2 186	0	5	1 725	456	2 183	0	4	1 579	600
კერძო უცხოური საკუთრება	25	21	0	0	17	4	16	0	0	13	3
სახელმწიფო საკუთრება	36	36	0	9	27	0	36	0	5	31	0
მუნიციპალური საკუთრება	12	10	1	4	5	0	10	1	4	5	0
შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით	2	1	0	0	1	0	2	0	0	1	1
შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით	1	1	0	0	1	0	1	0	0	0	1
სხვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

წყარო: ეკონომიკური განვითარების სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა საკუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში
(ერთეული)

საკუთრების ფორმა	2021					2022				
	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია
სულ	**2 307**	**1**	**19**	**2 030**	**257**	**2 691**	**1**	**15**	**2 448**	**227**
კერძო ადგილობრივი საკუთრება	2 240	0	10	1 979	251	2 618	0	7	2 386	225
კერძო უცხოური საკუთრება	15	0	0	10	5	19	0	0	18	1
სახელმწიფო საკუთრება	37	0	5	31	1	38	0	4	34	0
მუნიციპალური საკუთრება	10	1	4	5	0	11	1	4	5	1
შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით	3	0	0	3	0	3	0	0	3	0
შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით	1	0	0	1	0	1	0	0	1	0
სხვა	1	0	0	1	0	1	0	0	1	0

წყარო: უნიციპალური სტატისტიკა. საქსტატი.[49]

[49] http://regions.geostat.ge/regions/shida-qartli/xashuri.php?lang=ka

ხაშურის მუნიციპალიტეტი ყალიბდება, როგორც მძლავრი რეგიონალური სატრანსპორტო „ჰაბი“, ყველასთვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი საჯარო სერვისებით და ინფრასტრუქტურით, მზარდი ადგილობრივი წარმოებით დ მაღალი ტურისტული პოტენციალით, კერძო სექტორთან გამჭვირვალე, ინკლუზიური და მეგობრული გარემოთი, ინოვაციური ეკონომიკური აქტივობების ხელშეწყობით, საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესებით, დასაქმების ხელშეწყობით, დამატებით ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის და დონორი ორგნიზაციების შემოთავაზებული შესაძლებლობების ზრდით, რაც თავის მხრივ გაზრდის ეკონომიკურ დოვლათს და გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. ხაშურის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული განვითარება ფოკუსირებულია საგზაო ქსელის განახლებაზე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სერვისების გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი შენობების მოდერნიზაციაზე.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების საიმედოობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.



ტრანსპორტის სექტორში, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ხაშურში განხორციელდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია. ურბანული და სოფლის გზების მოდერნიზაციამ გააუმჯობესა კავშირები და ხელი შეუწყო ბიზნესისა და მოსახლეობის გადაადგილების ეფექტიანობას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით განახორციელა ხიდების რეაბილიტაციის პროექტები, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს რეგიონულ მობილობას. საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ფარგლებში განახლდა სკოლები, საბავშვო ბაღები, ჯანდაცვის ცენტრები და მუნიციპალური შენობები. ინვესტიციები ძირითადად ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტი როგორც ქვეყნის, ასევე, რეგიონის მასშტაბით, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშნელობის სამი საავტომობილო მაგისტრალი გადის: 1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის 33 კმ მონაკვეთი 2) ხაშური-ახალციხე-ვალეს მაგისტრალის 20 მკ მონაკვეთი და 3) გომი-საჩხერე-ჭიათურის მაგისტრალი 14 კმ. ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მოცულობა 35 კმ-ია, ხოლო მუნიციპალური გზების მოცულობა - 249 კმ-ს შეადგენს.



საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ხაშურის მუნიციპალიტეტში (კმ)[50]

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ხაშურის მუნიციპალიტეტში (კმ)	2018	2019	2020	2021	2022
საერთაშორისო	38,1	38,1	38,1	31,7	-
შიდა სახელმწიფოებრივი	66,6	66,6	66,6	63,2	-

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს იმერეთის რეგიონთან დამაკავშირებელი რიკოთის გვირაბი. საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირება ხდება რკინიგზის მეშვეობით. ხაშურში მთავარ სატრანსპორტო ღერძს (თბილისი-ბათუმი) უერთდება ხაშური-ახალციხის რკინიგზა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს შემოვლითი მაგისტრალის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რის შედეგადაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები გადაიხედება. ყოველწლიურად იზრდება შიდა

[50]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოხმარების გზების რეაბილიტაცია და მათ ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების მთლიანი მოცულობა.[51]

ხაშურის მუნიციპალიტეტში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი საწყის ეტაპზეა და ძირითადად მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. მუნიციპალიტეტმა დანერგა ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას და მომსახურების გამჭვირვალობის გაზრდას. ეს მოიცავს ციფრულ პლატფორმებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში გააგზავნონ განაცხადები მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებით, რაც ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ხორციელდება ადგილზე ვიზიტით, სატელეფონო კავშირით (ცხელი ხაზი) ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხოლო 12 ადმინისტრაციულ ერთეულში, მათ შორის, მაღალმთიან სოფლებში, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს - ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ცენტრში ჩაუსვლელად, ადგილიდან, მერის წარმომადგენლის მეშვეობით გააგზავნონ განცხადებები და მიიღონ შესაბამისი მომსახურეობა. ასევე, სისტემაში მოქმედებს მოქალაქის პორტალი my.gov.ge, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოქალაქეს შეუძლია, კონტაქტი დაამყაროს მერიის შესაბამის სამსახურებთან და მიიღოს საჭირო მომსახურეობა.

2015 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გადასულია ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. 2018 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები მთლიანად გადასულია დეს-დოკუმენტ-ბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე, რომლის პროვაიდერია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2019 წლის იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები, პრეტენდენტები, მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

კვალიფიციურ ხელმოწერის განხორციელებას, კოორდინირებას და ხელშეწყობას აქტიურად უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი სამსახური. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მისი სამსახურებით, ადმინისტრაციული ერთეულებით და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული პირებით მთლიანად გადასულია ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. 2021 წლის ივნისიდან ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტში დაიწყო მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმის დანერგვა. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენდა თვითმმართველობის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების საშუალებით, რომელიც გულისხმობს ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნას პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი გახდა ტრენინგების ჩატარება

[51]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

მერის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული მოხელეებისთვის. პირველ ეტაპზე ელექტრონულ პალატფორმაზე გადავიდა მერიის ყველა მოხელე, სამი ადმინისტრაციული ერთეული (ხაშურის, სურამის და ცხრამუხის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, (საბავშვო ბაღების გაერთიანება და ხაშურსერვისი). პროექტის ფარგლებში ჩატარდა 70 მდე ტრენინგი, აღიჭურვენ კომპიუტერული ტექნიკით და 2021 წლის ბოლოს მერია, სამი ადმინისტრაციული ერთეული და ორი ა(ა)იპ უკვე გამართულად მუშაობს საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ამ პერიოდისათვის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს დეს პროგრამაზე ხელშეკრულების ფარგლებში, არქივზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით კვლავ გვაქვს რამდენიმე იუზერზე წვდომა. პროგრამის ფარგლებში დაიწყო მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების და მათ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირების დატრენინგება ელექტრონულ საქმის წარმოებაში ჩართვის მიზნით. გადამზადდა 10 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი და 18 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი; ჩატარდა 53 ტრენინგი.

ადმინისტრაციული ერთეულები აღიჭურვენ კომპიუტერული ტექნიკით. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ერთეულების ადმინისტრაციული შენობები საჭიროებენ სარემონტო სამუშაოებს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე ეტაპობრივად დაიწყო ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს ჩაერთო კანცელარიის მოდულზე წვდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს საშუალება მიეცა ადგილზე (ადმინისტრაციულ ერთეულებში) შეიტანონ განცხადება, რომელიც რეგისტრაციის და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ აღმოჩნდება მერიის კანცელარიაში. ხაშურის მუნიციპალიტეტის 82 სოფლის მცხოვრებს საშუალება მიეცა ამ სერვისით სარგებლობის. ამან საშუალება მისცა სოფლის მოსახლეობას დაზოგოს დრო და ტრანსპორტის ხარჯი. პროგრამის ფარგლებში მოქალაქის პორტალით my.gov.ge მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს დარეგისტრიროს ნებისმიერი შინაარსის განცხადება და პასუხიც მიიღოს იგივე პორტალის მეშვეობით.

2022 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს შორის, გაფორმდა მემორანდუმი, შედეგად, „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების შესახებ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) წვდომა-ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა აქვს მუნიციპალიტეტის მერიას. მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით განახორციელოს აღნიშნული მონაცემების გამოყენება.

MSDA პროგრამის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მუნიციპალური ქონების მართვის, ინფრასტრუქტურული პროექტების, კანცელარიის, დოკუმენტბრუნვის, „შეკითხვა მერს“ და ადამიანური რესურსების მართვის მოდულები. ამ მოდულების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების, ქონების მართვის და ნარჩენების მართვის კუთხით ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული საკითხების შესახებ ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

2022 წლის ბოლოდან მერიაში დაიწყო პროცედურები მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ჩატარდა 78 ტრენინგი ა(ა)იპ-ების თანამშრომლებთან და 2022 წლის დეკემბრის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სტრუქტურული ერთეული, ყველა ადმინისტრაციული ერთეული და მათთან დასაქმებული პირები და მერიის მიერ დაფუძნებული ყველა ა(ა)იპ-ი გადასულია ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან პლატფორმაზე. ამან შესაძლებლობა მოგვცა დაზოგილიყო თანხები დოკუმენტების „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით გაგზავნასთან დაკავშირებით. გაზრდილიყო მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა მერიაში არსებულ სერვისებზე. მოქალაქეს მიეღო ელექტრონულად პასუხი ნებისმიერ საკითხზე (წერილობითი ფორმით პროგრამულად) სოფლიდან გაუსვლელად. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ესარგებლა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეს საშუალება აქვს სოციალური სერვისები მიიღოს ადგილზე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსების თაობაზე (უარის წერილების ადგილზე მიღებით), ასევე ქულების ამონაწერების მიღების შესაძლებლობით.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ხაშურის ადგილობრივი განვითარების პოლიტიკა შეესაბამება საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ეროვნულ სტრატეგიას (2021-2027 წწ.), რომელიც რეგიონული მრეწველობის განვითარებას, ციფრულ ტრანსფორმაციასა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ითვალისწინებს. შიდა ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ გაფართოებასთან, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან და ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებთან. ზემოხსენებული ჩარჩო პოლიტიკის დოკუმენტები მუნიციპალიტეტს ეხმარება მდგრადი მრეწველობისა და ინოვაციების განვითარებაში.

ამოცანის მიმოხილვა

9.1. 2030 წლისთვის, ინფრასტრუქტურაზე გაწეული დანახარჯების ზრდა.

9.1.1. სოფლის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი, რომლებიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან მაქსიმუმ 2 კმ-ში.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	მოსახლეობის %-ული წილი, რომლებიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან 2 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე-20%;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	მოსახლეობის %-ული წილი, რომლებიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან 2 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე-20%;
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 და 2024 წლებში სოფლის მოსახლეობის წილი, რომელიც ცხოვრობდა ყველა სეზონზე განკუთვნილი გზიდან 2 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე 20%-ს შეადგენდა. 2030 წლისთვის, მიზნობრივი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტისთვის 20%-ს შეადგენს.



ხაშურის მუნიციპალიტეტში მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა სტაბილურად 80-დან 120-მდე მერყეობს ბოლო 10 წლის განმავლობაში. თუმცა, ბოლო წლებში გაზრდილია ფართობი. მაგ. 2024 წელს, 28,346 კვ.მ. მშენებლობაზე არის 107 ნებართვა გაცემული.



გამოწვევები. მწირია ადგილობრივი ეკონომიკის ჭრილში მონაცემებზე წვდომა, რაც ართულებს ბიზნესის განვითარების, ინვესტიციების დინამიკისა და დასაქმების გავლენის ზუსტ შეფასებას, შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვას. ფინანსებზე არასაკმარისი წვდომა დაბრკოლებას ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, რაც ზღუდავს ინოვაციებში ინვესტირების და ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს. ინდუსტრიებს შორის კავშირებისა და პროფესიული განათლების გაძლიერება საჭიროებს დამატებით ძალისხმევას, რათა არსებობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსი.

ხაშურის მუნიციპალიტეტი SDG 9-ის მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით მუშაობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და მრეწველობის ზრდის ხელშეწყობისთვის ინვესტიციების მოზიდვაზე. ამისათვის მუნიციპალიტეტი აძლიერებს თანამშრომლობას სოფლის განვითარების სააგენტოსთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან და ა.შ. რათა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული და ბიზნეს-განვითარების პროექტებისთვის დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ეკონომიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკის ფორმულირებას. ამასთან, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის გაძლიერება აუცილებელია ინოვაციებისა და სამუშაო ძალის განვითარების ხელშეწყობისთვის.

ინიციატივები და ქმედებები. ტრანსპორტის სექტორში, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ხაშურში განხორციელდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია. ურბანული და სოფლის გზების მოდერნიზაციამ გააუმჯობესა კავშირები და ხელი შეუწყო ბიზნესისა და მოსახლეობის გადაადგილების ეფექტიანობას. საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ფარგლებში განახლდა სკოლები,

საბავშვო ბაღები, ჯანდაცვის ცენტრები და მუნიციპალური შენობები. ინვესტიციები ძირითადად ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე იყო ორიენტირებული.

ხაშურის ეკონომიკა ეყრდნობა სამშენებლო მასალების წარმოებას, კვების მრეწველობასა და მცირე მეწარმეობას. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ადგილობრივ ბიზნესს ინფრასტრუქტურის განვითარებით, ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებითა და სახელმწიფო პროგრამებზე წვდომის გამარტივებით. ეროვნული პროგრამების, მათ შორის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ხაშურის ბიზნეს სუბიექტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სესხებით, გრანტებითა და ტექნიკური დახმარებით.

ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტი ცდილობს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და საწარმოთა ლოგისტიკური სერვისების განვითარების ხელშეწყობის გზით. მუნიციპალიტეტი აჩვენებს დაინტერესებას ინვესტორების მოზიდვისა და მეტი ეკონომიკური განვითარებისთვის, საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარების სერვისების შეთავაზებასა და მეწარმეობის მხარდაჭერას შიდა ქართლის რეგიონში.

ხაშურში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი საწყის ეტაპზეა და ძირითადად მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. მუნიციპალიტეტი მუშაობს ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების დანერგვაზე, რომლებიც ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას და მომსახურების გამჭვირვალობის გაზრდას. ეს ინიციატივები პირველ რიგში იტვალისწინებს ციფრული პლატფორმების განვითარებას, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ონლაინ რეჟიმში გააგზავნონ განაცხადები მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებით, რაც შეამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს.

მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს განხილვები ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და ციფრული გადაწყვეტილებების ინტეგრაციის შესახებ ურბანული დაგეგმარების პროცესში. პოტენციურ პროექტებს შორის განიხილება საზოგადოებრივი წვდომის გაზრდა ციფრულ სერვისებზე, რისთვისაც მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ეროვნულ სააგენტოებთან და შესაბამის უწყებებთან, რათა შეისწავლოს ციფრული ტრანსფორმაციის განვითარების შესაძლებლობები.

ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ხაშურის მუნიციპალიტეტს SDG 9-ის განხორციელებაში კვლავ რამდენიმე გამოწვევა აქვს. სამრეწველო საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია რამდენიმე ტრადიციულ სექტორში, რაც ზღუდავს დივერსიფიკაციისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობას. მწირია მუნიციპალურ ჭრილში, ეკონომიკური სფეროში, მონაცემებზე წვდომა, რაც ართულებს ბიზნესის განვითარების, ინვესტიციების დინამიკისა და დასაქმების გავლენის ზუსტ შეფასებას.

დაფინანსების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის, რაც ზღუდავს ბიზნესის გაფართოებისა და ინოვაციებში ინვესტირების შესაძლებლობებს. ასევე, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და მეწარმეებს შორის კავშირების გაძლიერება, რათა მუნიციპალიტეტში არსებობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური მუშახელი, რომელიც დააკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს შრომის ბაზარზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი SDG 9-ის მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით მუშაობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და მრეწველობის ზრდის ხელშეწყობისთვის ინვესტიციების მოზიდვაზე. ამისათვის მუნიციპალიტეტი გააძლიერებს თანამშრომლობას განვითარების სააგენტოებთან, რათა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული და ბიზნეს-განვითარების პროექტებისთვის დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ეკონომიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკის ფორმულირებას. ამასთან, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის გაძლიერება აუცილებელია ინოვაციებისა და სამუშაო ძალის განვითარების ხელშეწყობისთვის.

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის გაძლიერებას, რაც მოიცავს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების ინტეგრირებას და ციფრული განათლების პროგრამების გაფართოებას, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის მეტი ჩართულობა და საჯარო სერვისების ეფექტიანობა.

SDG 11
მდგრადი ქალაქები და დასახლებები

SDG 11 მიზნად ისახავს დასახლებების ინკლუზიურ, უსაფრთხო, გამძლე და მდგრად სივრცეებად ჩამოყალიბებას. იგი ემსახურება მოსახლეობის ხელმისაწვდომი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მწვანე სივრცეების განვითარებას. მე-11 მიზანი ორიენტირებულია კატასტროფებისადმი გამძლეობის გაძლიერებასა და მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებულ ურბანულ დაგეგმარებაზე.

მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს ინიციატივებს, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარებისა და SDG 11-ის პრინციპებს. ამ ინიციატივების მიზანია უსაფრთხო, ინკლუზიური და მდგრადი დასახლებების განვითარება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება გარემოს დაცვის, კლიმატური მდგრადობის, ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და სივრცით განვითარებაში საზოგადოების ჩართულობის გასაძლიერებლად. მუნიციპალიტეტის მიზანია შექმნას ინკლუზიური, მდგრადი და გამძლე გარემო, რომელიც მოერგება ადგილობრივ საჭიროებებს და შესაბამისობაში იქნება მდგრადი განვითარების მიზნებთან.

ურბანული განვითარების პოლიტიკა ეროვნული სტრატეგიების შესაბამისად ხორციელდება. ადგილობრივი პოლიტიკის ჩარჩო დიდწილად განისაზღვრება საქართველოს სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების პოლიტიკისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016-2030) ფარგლებში. ადგილობრივ დონეზე, ხაშურის ურბანული განვითარების გეგმა (2025-2030) განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ეკოლოგიური მდგრადობისა და სოციალური ინკლუზიის პრიორიტეტებს. ამ პოლიტიკების განხორციელებას ხელმძღვანელობს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

		2020 წელი		2021 წელი		2022 წელი		2023 წელი		2024 წელი	
დასახ.	ქალი კაცი	რაოდ ენ.	დაფინ.	რაო დენ.	დაფინ.	რაოდ ენ.	დაფინ.	რაოდ ენ.	დაფინ.	რაო დენ	დაფინ.
ბინის ქირა	სულ ჯამი	21	42840	26	53040	28	57120	29	79848	33	44390
	ქალი	19		22		22		21		27	
	კაცი	2		4		6		8		6	

ურბანული მოსახლეობის ზრდის კვალდაკვალ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამ მხრივ აღსანიშნავია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც მიმართულია შენობების უსაფრთხოების და ენერგოეფექტურობის ამაღლებისკენ. ასევე, ხორციელდება ინიციატივები, რომლებიც ეხება არაფორმალურ დასახლებებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მოწყვლადი ჯგუფებისთვის მუნიციპალური საცხოვრისის შეთავაზებას.[52]

პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალური ტრანსპორტის ქსელის ოპტიმიზაციასა და გზების რეაბილიტაციაზე, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას, შეამცირებს საცობებს და გაუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა დაბა სურამის გენერალური გეგმა[53], რომელიც განსაზღვრავს მიწათსარგებლობის პოლიტიკას, ითვალისწინებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას. ურბანული განვითარების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობა აქცენტს დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე აკეთებს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი თემის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად ატარებს საჯარო კონსულტაციებს და იყენებს მონაწილეობით ბიუჯეტირებას, როგორც ინსტრუმენტს საზოგადოებრივი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისათვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს საზოგადოებრივი პარკებისა და რეკრეაციული ზონების რეაბილიტაციას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განახლდა რამდენიმე პარკი, რაც ზრდის მოსახლეობის წვდომას მწვანე სივრცეებზე და აუმჯობესებს საცხოვრებელ გარემოს.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიცავს ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციას, ახალ საჯარო სივრცეებისა და საფეხმავლო ზონების შექმნას. ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს მოსახლეობის სასმელი წყლის უსაფრთხოებისა და სანიტარიის მაღალ სტანდარტებს. მონაწილეობის ბიუჯეტირების მოდელის დანერგვამ გააძლიერა მუნიციპალური გადაწყვეტილებების მიმართ მოსახლეობის ნდობა.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემაა მსოფლიოში, ზრდის რა სხვადასხვა დაავადებათა განვითარების რისკს, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი გამოწვევაა.[54] ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება თან ახლავს ადამიანის საქმიანობას, შეიძლება გამოწვეულ იყოს ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით. ბუნებრივი ფაქტორები ჩვენს ირგვლივაა, ეს შეიძლება იყოს

[52]წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
[53]წყარო: საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
https://moi.gov.ge/pdf/607d539b77626.pdf/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90-bolo%20shesworeba.pdf
[54]წყარო: ატმოსფერული ჰაერის ხარისხი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. გვ.4
https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_ambient-air-quality-2021_geo.pdf

მტვერი, ტყის ხანძარი, ჭაობისათვის დამახასიათებელი გაზი და სხვ. ხშირად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მიზეზი თავად ვართ, როდესაც სახლის დასასუფთავებლად ვიყენებთ ქიმიკატებს, ოთახის არომატიზატორებს, მწერების საწინააღმდეგო საშუალებებს და ა.შ. რაც შეეხება ანთროპოგენურ ფაქტორებს ის მჭიდროს უკავშირდება ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ტექნოლოგიებს, როგორიცაა სატრანსპორტო მიმოსვლა, საყოფაცხოვრებო სექტორში გამოსაყენებლად, შინამეურნეობებში, სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში საჭირო სითბო და ელექტროენერგია, მუნიციპალიტეტში არსებული ნარჩენების განთავსების არეალები და ა.შ. ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამბინძურებლებია O3(მიწისპირა ოზონი), SO2(გოგირდის დიოქსიდი), NO2(აზოტის დიოქსიდი), CO (ნახშირბადის მონოქსიდი), PM10 და PM2,5 (მტვრის მყარი ნაწილაკები). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას, განსაკუთრებით მოწყვლადი კი არიან ბავშვები, ქალები და ქუჩაში მომუშავე ადამიანები.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნების მდგრადი განვითარებისათვის, ცვლის სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, კვების უსაფრთხოება, მამაკაცის და ქალის თანასწორობა, კლიმატის სტაბილურობა, სიღარიბე და ა.შ.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება:

აზოტის დიოქსიდი NO2 – 48,16 მკ/მ3 (ხაშურის ცენტრალური მაგისტრალი[56]); დამაკმაყოფილებელი;

03.11.2024-17.11.2024
19,47 მკ/მ3 (ხაშური, გალაკტიონის ბაღი[57]) ძალიან კარგი;

03.11.2024-17.11.2024
ჰაერის ხარისხის ინდექსით 0-40 მკ/მ3 ძალიან კარგი
ჰაერის ხარისხის ინდექსით 40-100 მკ/მ3 კარგი
ხაშური (XSH04)
განედი: 41.9881
გრძედი: 43.6014

[52]**აზოტის დიოქსიდი** - ყავისფერი, მაღალი რეაქციის უნარის მქონე აირია, რომელიც საწვავის წვის შედეგად წარმოიშობა. მისი წარმოშობის უმთავრესი წყაროა ავტომობილების გამონაბოლქვი, ასევე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სექტორი.
[53]სადგური, რომელზეც მიმდინარეობს ჰაერის დამბინძურებლებზე საათობრივი დაკვირვება
[53]იგივე



წყარო: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი https://air.gov.ge/



წყარო: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი https://air.gov.ge/

მიწისპირა ოზონი O3 – 25,59 მკ/მ3 (ხაშური, გალაკტიონის ბაღი[59]); ძალიან კარგი;

03.11.2024-17.11.2024
19,47 მკ/მ3 (ხაშური, გალაკტიონის ბაღი[57]) ძალიან კარგი;

03.11.2024-17.11.2024
ჰაერის ხარისხის ინდექსით 0-80 მკ/მ3 ძალიან კარგი
ჰაერის ხარისხის ინდექსით 80-120 მკ/მ3 კარგი
ხაშური (XSH04)
განედი: 41.9951
გრძედი: 43.5953

მიწისპირა ოზონის ჯანმრთელობაზე ზეგავლენა: თვალის და ყელის გაღიზიანება, ხველა, სასუნთქი გზების პრობლემები, ასთმა, ფილტვის დაზიანება. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა კომპლექსური საკითხია და საზოგადოების ყველა რგოლის აქტიურ ჩართულობას საჭიროებს, მათ შორისაა მთავრობა, მუნიციპალიტეტები, სკოლები, ოჯახები, სხვადასხვა ინსტიტუტები.

ცენტრალურ მთავრობასთან ერთად უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები და მდგრადი ინიციატივები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლის გზაზე. ერთ-ერთ ასეთ მდგრად ინიციატივად უფრო მწვანე კომპაქტური ქალაქებისა და ენერგოეფექტური შენობების განვითარებაა.

უფრო მწვანე კომპაქტური ქალაქების ინიციატივას, განისაზღვრა „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პირობები“, დამუშავდა საინფორმაციო ბუკლეტი, მოხდა თითოეული სახეობის აღწერა-დასურათება.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ხაშურის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების პოლიტიკა ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში ხორციელდება. ადგილობრივი პოლიტიკის ჩარჩო მეტწილად განისაზღვრება საქართველოს სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების პოლიტიკისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016-2030) ფარგლებში. ადგილობრივ დონეზე, ხაშურის ურბანული განვითარების გეგმა (2025-2030) განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ეკოლოგიური მდგრადობისა და სოციალური ინკლუზიის პრიორიტეტებს. ამ პოლიტიკების განხორციელებას ხელმძღვანელობს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური.

[53]**მიწისპირა ოზონი** - მეორადი დამბინძურებელია, რომელიც ჰაერში პირდაპირ არ იფრქვევა და წარმოიქმნება სხვა დამბინძურებლებზე მზის ფოტოქიმიური რეაქციით. წარმოშობის წყაროა სატრანსპორტო საშუალებების, სამრეწველო პროცესების, სოფლის მეურნეობის და სხვა საქმიანობა.
[54]სადგური, რომელზეც მიმდინარეობს ჰაერის დამბინძურებლებზე საათობრივი დაკვირვება

ამოცანის მიმოხილვა

11.1. 2030 წლისათვის, იძულებით გადაადგილებული ოჯახების და ბინას ქირავნობით მოსარგებლე პირების მხარდაჭერის გაზრდა.

11.1.ა) იძულებით გადაადგილებული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი რომელთა საცხოვრებელი უზრუნველყოფილია დერეფნების განათებით. 11.1.ბ) ბინის ქირავნობისათვის ბენეფიტების მიმღები პირები.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	ოჯახები დერეფნის განათებით-342; ბინის ქირავნობისათვის სარგებლის მიმღები პირები-26;	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	ოჯახები დერეფნის განათებით-342; ბინის ქირავნობისათვის სარგებლის მიმღები პირები-35.
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 და 2024 წლებში, იძულებით გადაადგილებული ოჯახების რაოდენობამ, რომელთა საცხოვრებელი სახლები უზრუნველყოფილია დერეფნის განათებით შეადგინა 324. ანალოგიურს შეადგენს 2030 წლისათვის დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი. 2022 და 2024 წლებში, ბინის ქირის მიმღები ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 26. 2030 წლისთვის, სამიზნე მაჩვენებელი ბინის ქირის ბენეფიციართა რაოდენობა განსაზღვრულია 35-ით.



11.4 2030 წლისთვის, კულტურულ მემკვიდრეობაზე გაწეული დანახარჯების გაზრდა

11.4.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენარჩუნებისა და კონსერვაციისათვის დახარჯული თანხის სრული რაოდენობა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	94,000 ლარი	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	200,000 ლარი
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, შენახვასა და კონსერვაციაზე 94,000 ლარი დაიხარჯა. 2030 წლისთვის, დაგეგმილი მიზნობრივი დანახარჯები 200,000 ლარს შეადგენდა. თუმცა, უკვე 2024 წელს, კულტურის სამინისტროს დახმარებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენარჩუნებისა და კონსერვაციის ხარჯებმა 1.9 მლნ ლარი შეადგინა.



11.6. 2030 წლისთვის, შეგროვებული და შესაბამისად დახარისხებული/განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების პროცენტული წილის ზრდა.

11.6.1 რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან, შეგროვებული და განაწილებული ქალაქების და სოფლების მიხედვით.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	ქალაქი-65.147 კუბ.მ; სოფელი-27,930 კუბ.მ.	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	ქალაქი-100%; სოფელი-100% კუბ.მ.
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, ქალაქში 65,147 კუბ. მ. და სოფლებში 27,930 კუბ. მ. ნარჩენი შეგროვდა. 2024 წელს, ქალაქში 64,300 კუბ. მ. და სოფლებში 20,749 კუბ. მ. ნარჩენი შეგროვდა. შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა მცირდება. თუმცა, მცირდება მოსახლეობის რაოდენობაც.

2030 წლისთვის იგეგმება ნარჩენების 100%-ით შეგროვება. თუმცა, ამ დროისათვის, არ არსებობს მონაცემები თუ რა რაოდენობის ნარჩენი წარმოიქმნება. შეგროვებული ნარჩენების წილის გამოსათვლელად.

11.7. 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო გამოყენების სივრცეების გაზრდა.

11.7.1. მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სივრცის სიდიდე რომელიც ღიაა საზოგადოებრივი გამოყენებისათვის.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	52,000 კვ.მ.	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	80,000 კვ.მ.
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2024 წელს მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო სარგებლობისათვის გამოყოფილი სივრცეების მოცულობა 5874 კვ.მ. -ით გაიზარდა და 57,874 კვ.მ. შეადგინა. 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი ითვალისწინებს საჯარო სარგებლობის სივრცეების 80,000 კვ.მ. -მდე ზრდას.



გამოწვევები. მიუხედავად მიღწევებისა, მოძველებული ინფრასტრუქტურა და წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გამოწვევად რჩება. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა გეგმავს ეკოლოგიურად სუფთა, მდგრადი ინფრასტრუქტურის გასავითარებლად მუშაობის გაძლიერებას, ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ურბანული განვითარების ინიციატივების განხორციელებას ინკლუზიური, მდგრადი და გამძლე ურბანული გარემოს შექნას, რომელიც მოერგება მოსახლეობის საჭიროებებს.

ინიციატივები და ქმედებები. ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ასახულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო პროგრამებში. აღნიშნული პროგრამები ძირითადად მოიცავს სახურავების, ფასადების და საერთო სივრცეების მოწესრიგებას და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას.

პრიორიტეტული მიმართულებაა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და გაუმჯობესება. მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალური გზების კომპლექსური განახლებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს და უსაფრთხოს გახდის როგორც ფეხით მოსიარულეთა, ასევე ტრანსპორტის გადაადგილებას, შეამცირებს საცობებს და გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მუნიციპალიტეტში მიღებულია ურბანული განვითარების კონკრეტული დოკუმენტი – „დაბა სურამის გენერალური გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონირებას და ითვალისწინებს მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებს. ურბანული გარემოს გაუმჯობესების პროცესში ხაზი ესმება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მნიშვნელობას. 2022 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მონაწილეობის ბიუჯეტირების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი თემები უშუალოდ მონაწილეობენ პროექტების შერჩევასა და ბიუჯეტის დაგეგმვაში. ეს ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებას და თემის ინკლუზიურობას.

მუნიციპალიტეტში 2025 წლის აპრილში წარმატებით დასრულდა ნარჩენების სეპარაციის ორწლიანი საპილოტე პროგრამა, რომელიც სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს (Slovak Aid) მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო ნარჩენების მართვის გეგმის განახლება და პლასტმასის ნარჩენების ცალკე შეგროვების სისტემის დანერგვა სურამის დასახლებაში. პროგრამის ფარგლებში განთავსდა სპეციალური კონტეინერები პლასტმასის ნარჩენების

შესაგროვებლად, ჩატარდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და გაძლიერდა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები მდგრადი ნარჩენების მართვის პრაქტიკების დანერგვისთვის.

პროექტის წარმატებით განხორციელებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ხაშურის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი ნარჩენების მართვის სისტემის შექმნისკენ.



ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს საზოგადოებრივი პარკებისა და რეკრეაციული ზონების რეაბილიტაციას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განახლდა რამდენიმე პარკი, რაც ზრდის მოსახლეობის წვდომას მწვანე სივრცეებზე და აუმჯობესებს საცხოვრებელ გარემოს.



მნიშვნელოვანი წარმატებება ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის, ახალ საჯარო სივრცეებისა და საფეხმავლო ზონების შექმნის მიმართულებით. ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს მოსახლეობის სასმელი წყლის უსაფრთხოებისა და სანიტარიის მაღალ სტანდარტებს. მონაწილეობის ბიუჯეტირების მოდელის დანერგვამ ადგილობრივ თემში გააძლიერა მუნიციპალური გადაწყვეტილებების მიმართ მოსახლეობის ნდობა. მიუხედავად მიღწევებისა, მუნიციპალიტეტს კვლავ უწევს ისეთი გამოწვევების გადალახვა, როგორიცაა მოძველებული ინფრასტრუქტურა და შეზღუდული წვდომა ტრანსპორტზე. ასევე, საჭიროა ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა. ამ გამოწვევების საპასუხოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა გეგმავს კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა ეკოლოგიურად მდგრადი ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით ურბანული განვითარების ინიციატივების განსახორციელებლად.

ხაშურის მუნიციპალიტეტი აგრძელებს ნარჩენების მართვის სფეროში დაწყებულ ინიციატივებს, მათ შორის დაგეგმილია სეპარაციის პრაქტიკის გაფართოება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტი ასევე მუშაობს შიდა გზებისა და სატრანსპორტო კვანძების მოწესრიგებაზე. კლიმატური ცვლილებების წინაშე მედეგობის მიმართულებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს მდინარეთა კალაპოტების გაწმენდას და ნაპირსამაგრი სამუშაოებს, რაც წყალდიდობებისა და სტიქიური მოვლენების პრევენციისკენ არის მიმართული.

საშუალოვადიან პერიოდში (2025–2027წწ.) ხაშურის მუნიციპალიტეტი ამზადებს და ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებს, მათ შორის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციასა და მუნიციპალური სივრცეების განვითარებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს SDG 11-ის მიმართულებით, თუმცა აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება კლიმატის წინაშე მედეგობის, ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და ურბანული განვითარებაში საზოგადოების ჩართულობის გასაძლიერებლად. მუნიციპალიტეტის მიზანია შექმნას ინკლუზიური, მდგრადი და გამძლე ურბანული გარემო, რომელიც მოერგება მოსახლეობის საჭიროებებს და შესაბამისობაში იქნება მდგრადი განვითარების მიზნებს.

SDG 12
პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება

SDG 12 ხელს უწყობს მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მოდელების დანერგვას. იგი ყურადღებას ამახვილებს რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ნარჩენების შემცირებაზე, მდგრად ბიზნესპრაქტიკებზე და გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე.

პასუხისმგებლიანი/გონივრული მოხმარება და წარმოება გულისხმობს მეტის და უკეთ გაკეთებას ნაკლებით; უნდა განცალკევდეს ეკონომიკური ზრდა გარემოს დეგრადაციისაგან, გაიზარდოს რესურსეფექტიანობა და ხელი შეეწყოს მდგრადი ცხოვრების წესს. ეკონომიკური აქტივობა და ზრდა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, რომლის გამოყენების ეფექტიანობა გლობალურად უცვლელია. დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ არ მოხდეს ახლანდელი, მოკლევადიანი საჭიროებებისათვის რესურსების ჭარბმოხმარება და ბუნების შემდგომი დეგრადაცია. უნდა შემუშავდეს რესურსეფექტურობის გაუმჯობესების, ნარჩენების შემცირებისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკები ეკონომიკის ყველა სექტორში.

გონივრული მოხმარება და წარმოება - მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა. მიზანი ეხება პლანეტაზე ადამიანური ზემოქმედების/ზეგავლენის შემცირებას, მხოლოდ იმის წარმოებითა და მოხმარებით, რაც ადამიანებს სჭირდებათ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მმართველობას, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზე არსებულ ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს ააიპ „ხაშურსერვისი“.

მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება როგორც კონტეინერული, ისე ე.წ.“ზარის“ სისტემით. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის 67 დასახლებულ პუნქტს (ერთი ქალაქი, ერთი დაბა, 65 სოფელი-სულ 52 495 სული) არსებული 84–იდან (17 სოფლის 108 მაცხოვრებელი). ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კომერციული ობიექტების 100%–ს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქ. ხაშურში, დაბა სურამში, სოფლებში: ცხრამუხა, ქვიშხეთი, ოსიაური, გომი, ბიჯნისი, დადგმულია 829 ერთეული 1.1 მ3 და 28 ერთეული 0.8 მ3 მოცულობის კონტეინერი, ხოლო მათი ნარჩენებისგან დაცლა ხორციელდება ყოველდღიურად, ხოლო ზაფხულის პერიოდში დღეში ორჯერ მაინც.მუნიციპალიტეტის შემავალ სოფლებში ნარჩენების შეგროვება მიმდინარეობს ე.წ.

„ზარის“ სისტემით კვირაში ერთხელ. ააიპ „ხაშურსერვისი“ ახდენს პარკების დასუფთავებას, რომლებიც სკოლებთან, კულტურის სახლებთან და ადმინისტრაციულ შენობებთან ახლოს მდებარეობს.

ააიპ „ხაშურსერვისის“ ავტოპარკი აღჭურვილია 6 სპეც ავტომანქანით, რომელიც გამოიყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმა, რომელიც მოიცავს რეგიონში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების აღწერას და დოკუმენტის მომზადებისა და ჩამოყალიბების პროცესს. მასში ასევე მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის შესახებ. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია შემდეგი: „მუნიციპალიტეტში არ ხდება ნარჩენების ცენტრალური შეგროვება და გატანა შემდგომი აღდგენის ვალდებულებით, და არ არსებობს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტები. შემდგომი აღდგენის მიზნით ნარჩენების შეგროვება ხდება ინდივიდუალური პირების მიერ, სათანადო კონტროლის გარეშე. მუნიციპალიტეტში არ გამოიყენება კომპოსტირების პრაქტიკა“. გეგმის თანახმად უნდა მოხდეს ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სერვისების უზრუნველყოფა (საცხოვრებელი და კომერციული ობიექტებისა და საწარმოების ჩათვლით, კონტეინერების სათანადო რაოდენობითა და ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით) მოსახლეობისთვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისთვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სურსათის ერთი მესამედი, რაც შეადგენს 1,3 მილიარდ ტონას და 1 ტრილიონი $-ის ღირებულებისაა, ნაგავსაყრელზე ხვდება ან ფუჭდება მოსავლის აღების, ან ტრანსპორტირების დროს. ამ კონტექსტში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO-ს) წარმომადგენლებთან, რომ FAO-მ სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების მიმართულებით ხაშურის მუნიციპალიტეტში აამუშაოს ე.წ. **სურსათის ბანკის** სისტემა, სადაც მოგროვდება ორგანიზებულად შეწირული საკვები პროდუქტი. კანონპროექტის მიხედვით, რომლის განხილვაც საქართველოს პარლამენტში მიდის, მას მიენიჭება სურსათის ბიზნესოპერატორის სტატუსი, რომელიც ორგანიზებას უწევს სურსათის შეწირულობას და მის გადანაწილებას იმ მოსახლეობაზე, ვისაც სურსათის მიღების სურვილი ექნება. ეს ორგანიზებული სისტემაა, რომელიც გულისხმობს შეწირული სურსათის ორგანიზებას და დახლზე განთავსებას. მისივე პასუხისმგებლობაა ამ სურსათის უვნებლობაც. საკვები განკუთვნილი იქნება მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისაც ეს სჭირდება, თუმცა დაწესებული შეზღუდვა არ იარსებებს - ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ეცოდინება, სად მდებარეობს სურსათის ბანკი, შეეძლება შეწირული სურსათის მიღება. პროცესში ერთვება კერძო სექტორი, ხოლო მათ წასახალისებლად ახალ კანონში ფისკალური შეღავათები იგეგმება. პროექტს ეყოლება სამი მხარე: რესტორნები, სუპერმარკეტები და სასტუმროები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტთან მისადაგებული საბაზისო მაჩვენებელი წელი: 2021
მაჩვენებელი: მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად

მუნიციპალიტეტთან მისადაგებული საბაზისო მაჩვენებელი წელი: 2024
მაჩვენებელი: მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან.

პასუხებიგებლიანი მოხმარება და წარმოება ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში. ადგილობრივი პოლიტიკის ჩარჩო მეტწილად განისაზღვრება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016-2030) ფარგლებში. ადგილობრივ დონეზე, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრება შეთავაზებული ღონისძიებების განხორციელებაზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემის შექმნა. ამ პოლიტიკების განხორციელებას ხელმძღვანელობს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ მხარდაჭერა გამოუხატა[60] ხაშურის მზის ელექტროსადგურის პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას. პროექტის მიხედვით, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრეა 13 მგვტ., რაც გულისხმობს წელიწადში დაახლოებით 18,5 მლნ. კვტ. სთ ელ. ენერგიის დამატებით წარმოებას. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებითი სახსრების მობილიზებას სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული პროექტის მეშვეობით დაგეგმილია დაახლოებით 5,56 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება განახლებადი ენერგიის სექტორში. ამის გარდა, გასათვალისწინებელია არაპირდაპირი პოზიტიური გავლენა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და გარემოზე დადებითი გავლენის სახით.

პროექტის მოქმედების პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში ქონების გადასახადის სახით ყოველწლიურად შევა დაახლოებით-55 600 აშშ დოლარი. პროექტი ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზნის მიღწევას, მათ შორის: სიღარიბის დაძლევა, ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია, ეკონომიკური ზრდა და ღირსეული სამუშაო ადგილები, მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, პასუხისმგებლიანი (გონივრული) მოხმარება და წარმოება, კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევა, პარტნიორობა მიზნების მისაღწევად. პროექტზე, როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების სტადიაზე დასაქმებული იქნებიან ძირითადად საქართველოს მოქალაქეები, რაც ხელს შეუწყობს ლოკალური ეკონომიკისა და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხაშურის მზის ელექტროსადგურის პროექტის კონცეფციის ბარათის შეფასების შედეგად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დაიწყოს ხაშურის მზის ელექტროსადგურის, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის, მომზადება სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ ასევე მხარდაჭერა გამოხატა ხაშურის ქარის ელექტროსადგურის პროექტის მიმართ, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას. პროექტის მიხედვით, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრეა 9,9 მგვტ., რაც გულისხმობს წელიწადში დაახლოებით 42 მლნ. კვტ. სთ. ელ.ენერგიის დამატებით წარმოებას. ზოგადად, ქვეყანაში არსებული განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ათვისება, რომლის პოტენციალიც საქართველოში საკმაოდ დიდია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწრაფ მოზიდვას,

[54]წყარო: https://ppp.gov.ge/saagento/angarishi/
გაწეული საქმიანობის ანგარიში-2024 წელი

ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებითი სახსრების მობილიზებას სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული პროექტის მეშვეობით დაგეგმილია დაახლოებით 13,675 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება განახლებადი ენერგიის სექტორში. კომპანიის ინფორმაციით, პროექტის მშენებლობის ეტაპზე და ოპერირების პერიოდში მოხდება სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა. ამის გარდა, გასათვალისწინებელია არაპირდაპირი პოზიტიური გავლენა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და გარემოზე დადებითი გავლენის სახით. პროექტის ოპერირების პერიოდში, ქონების გადასახადის სახით, ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად შევა დაახლოებით 136 750 აშშ დოლარი. პროექტი ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზნის მიღწევას, მათ შორის: სიღარიბის დაძლევა, სუფთა ენერგია, ღირსეული სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა, მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, პასუხისმგებლიანი (გონივრული) მოხმარება და წარმოება, კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევა, პარტნიორობა მიზნების მისაღწევად. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხაშურის ქარის ელექტროსადგურის პროექტის კონცეფციის ბარათის შეფასების შედეგად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დაიწყოს ხაშურის ქარის ელექტროსადგურის, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის, მომზადება სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.[61]

ამოცანის მიმოხილვა

12.7 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკითა და სამოქმედო გეგმით.

12.7.1. მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	შესყიდვები მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკითა და სამოქმედო გეგმით.	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	შესყიდვები მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკითა და სამოქმედო გეგმით.
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, მუნიციპალიტეტის შესყიდვები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა და აღნიშნული შენარჩუნდა 2024 წელს. 2030 წლისთვის გათვალისწინებულია აღნიშნული სამოქმედო გეგმის შენარჩუნება.

[54]წყარო: https://ppp.gov.ge/saagento/angarishi/
გაწეული საქმიანობის ანგარიში-2024 წელი

გამოწვევები. ნარჩევების შემცირების თვალსაზრისით ხაშურის მუნიციპალიტეტში იგეგმება ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენის წარმოქმნის ადგილზე სეპარირების სისტემის დანერგვა, ქაღალდის-პლასტმასის რეციკლირების მინიმალური სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების ეფექტიანი მართვის განხორციელების თვალსაზრისით, მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებზე ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ეფექტური საქმისწარმოება, სანქციების სისტემის აქტიური განვითარება, ხაშურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისაგან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის გაუმჯობესება 2023-2027 წლებისთვის, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათი მომზადება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის განსახორციელებლად.

ინიციატივები და ქმედებები. პასუხისმგებლიანი წარმოებისა და მოხმარების, რესურსეფექტიანობისა და მდგრადი ცხოვრების წესის დანერგვის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტი აქტიურად უწყობს ხელს მცირე მეწარმეების ჩართულობას სახელმწიფო პროგრამებში. 2015 წელს ეთერი შახპარუნოვი-ლოლაძემ სოფელ ალში გააფართოვა ჩირის მცირე საწარმო. მან მონაწილეობა მიიღო „აწარმოე საქართველოში“ მცირე გრანტების პროგრამაში და მიღებული გრანტით შეიძინა მზის ფოტოელექტრული პანელები 200 ვოლტზე და წყლის გამაცხელებელი ჰელიოსისტემა 400 ლიტრ წყალზე. აღნიშნული სისტემების შეძენა ნაკარნახევი იყო იმით რომ მეწარმეს სურდა ჩირის წარმოება გაეგრძელებინა აღდგენადი რესურსების გამოყენებით, ეკოლოგიური მეთოდებით, დამატებითი ხარჯების გარეშე. კერძოდ მზის ენერგიით გაცხელებული წყალი გამოიყენება, როგორც ხილის გარეცხვისთვის ასევე მისი გაშრობის წინა დამუშავებისათვის, ხოლო მზის ფოტოელექტრული პანელებით მიღებული ელექტროენერგია გამოიყენება საშრობ დანადგარებში დამონტაჟებული ჰაერის გამაგრილებლების კვებისათვის, რომლებიც გამოიყენება ცხელი ჰაერის ნაკადის გასაშრობი ხილისაკენ მისამართავად. მზის ჩირის მარტივი საშრობები ეწყობა საცხოვრებელი სახლის აივანზე და მიმართულია სამხრეთისაკენ.

დაგეგმილია ღონისძიებები, რომლებიც რეგიონში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული:

- რუკების შექმნა, რომლებზედაც აღნიშნული იქნება ნარჩენების შეგროვების მარშრუტები და კონტეინერების განთავსების ადგილები და, მათ საფუძველზე, ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია, რათა ეს პროცესი მაქსიმალურად ხარჯთეფექტური გახდეს;
- კონტეინერების დამატება და ნარჩენების კონტეინერებში შეგროვების სისტემის უზრუნველყოფა ყველა სოფელში;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი დანერგვა, მნიშვნელოვანია მისი დაწყება მჭიდროდ დასახლებული ადმინისტრაციული დასახლებების ცენტრებში;
- ნარჩენების შეგროვების პროცესში გამოყენებული მოწყობილობების განახლება/შეძენა;
- ნარჩენების სეპარირების პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის ხელშეწყობა (ქაღალდის, პლასტმასის და ორგანული ნარჩენების);
- სეპარირებული ნარჩენების განთავსებით დაინტერესებულ კომპანიებთან მოლაპარაკებების წარმოება. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს შეგროვებული ნარჩენებისთვის შენახვის ტერიტორია, სადაც კომპანია განათავსებს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობას;
- სეპარირებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების გადატანა სპეციალური მარკირებული ავტოტრანსპორტით, იმგვარად, რომ მოსახლეობამ დაინახოს, რომ ნარჩენების გადატანა ხდება განცალკევებულ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;
- მუნიციპალიტეტში კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

SDG 16
მშვიდობა, მართლმსაჯულება და ძლიერი ინსტიტუტები

SDG 16 ემსახურება მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობას. ის მიზნად ისახავს ძალადობის შემცირებას, სასამართლოს ხელმისაწვდომობას, ანგარიშვალდებული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობას.

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების ჩამოყალიბება ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. გაზრდილი ინსტიტუციური გამჭვირვალობით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის წახალისებით და იურიდიული დახმარების გაუმჯობესებით, ხაშურის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს SDG 16-ის პრინციპების სრულად რეალიზებას პრაქტიკაში, რაც ხელსუწყობს სამართლიანი, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული ადგილობრივი მმართველობის შემდგომ განვითარებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა: საკრებულო (წარმომადგენლობითი ორგანო) და მერია (აღმასრულებელი ხელისუფლება), უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებას, მის განკარგვას, პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ლოკალურ დონეზე სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციას. 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელიც 34,001,700 ლარს შეადგენს, მნიშვნელოვან ფინანსური რესურსებია გათვალისწინებული ეფექტიანი საჯარო მმართველობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღონისძიებების გასაძლიერებლად. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება საქართველოს 2030 წლის მდგრადი განვითარების სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მმართველობის რეფორმებსა და ინსტიტუციური გამჭვირვალობის გაძლიერებას.

მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს მმართველობითი პროცესების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებაზე. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად, საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. დოკუმენტი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მუნიციპალური ორგანოების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა პროექტის, პროგრამისა და ინიციატივის შესახებ. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება განახლებული ინფორმაცია ტენდერების, ბიუჯეტის განაწილებისა და პოლიტიკის ცვლილებების თაობაზე.

მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დამსახურებით. ეს მექანიზმი ადგილობრივებს აძლევს საშუალებას, უშუალოდ, ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებებზე და მუნიციპალური ხარჯების გადანაწილებაზე, კენჭი უყარონ მათთვის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას. მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის პროცესებში. 2022 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების საპილოტე პროექტი დაიწყო, საწყის

ეტაპზე, პროექტი სურამში, ქვიშხეთსა და ცხრამუხაში განხორციელდა. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარი იყო გამოყოფილი, საიდანაც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, სურამში 152 921 ლარი, ცხრამუხაში - 73 739 ლარი, ხოლო ქვიშხეთში 73 340 ლარი დაიხარჯა. საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან. საპროექტო იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, გადადის კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება. გამარჯვებული პროექტის ავტორი ჩაერთობა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. საპროექტო იდეების წარმოდგენა შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში, ასევე ქვიშხეთში, სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში, ან მერიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@khashuri.gov.ge სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში, ასევე ქვიშხეთში, სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე: khashuri.gov.ge.

2022 წელს განსახილველად შემოსული იყო 153 საპროექტო იდეა. აქედან 44 იდეა სოფ. ქვიშხეთიდან, 32 იდეა - დაბა სურამიდან, ხოლო ყველაზე მეტი - 77 საპროექტო იდეა სოფ. ცხრამუხიდან. საპროექტო იდეები ძირითადად საგზაო, კულტურულ-დასასვენებელი და სპორტული ინფრასტრუქტურის, ასევე წყლის სისტემის მოწესრიგებას ეხებოდა. საბჭოში წარმოდგენილ ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკის და საფინანსო სამსახურებს დაევალათ დეტალურად ემუშავათ წარმოდგენილი საპროექტო იდეების წინასწარ გაცხადებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხებზე და მოემზადებინათ არგუმენტირებული დასკვნები. სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტი გრძელდება დღემდე. 2024 წელს ამ მექანიზმის საშუალებით 300,000 ლარი, 2025 წელს 400 000 ლარი გადანაწილდა ადგილობრივი განვითარების პროექტებზე, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოფლების მოსახლეობა, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას პროექტების შერჩევასა და დამტკიცებაში.

2023 წლის 6 დეკემბერს დასრულდა მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის დოკუმენტების დამუშავება, საუბარია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების გეგმასა და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაზე. მოეწყო პოლიტიკის დოკუმენტების საჯარო განხილვა. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალური ა(ა)იპების ხელმძღვანელებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრეს დოკუმენტის იურიდიულ ასპექტებზე, ასევე განიხილეს ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, საფინანსო-საბიუჯეტო, განათლებისა და კულტურის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, საჯარო სერვისების მიწოდების მიმართულებები. დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ლოკალიზაციის სამოქმედო გეგმასთან.

ინსტიტუციური გამჭვირვალობის გასაძლიერებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტმა 2023 წელს განახორციელა შიდა აუდიტი, რომელიც მოიცავდა მუნიციპალური შესყიდვებისა და ბიუჯეტის ხარჯვის პროცედურების გადახედვას. ამ პროცესის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, რაც ზრდის კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

მშვიდობა, მართლმსაჯულება და ძლიერი ინსტიტუტები მაშინაა მიღწევადი, როდესაც ამ პროცესებში მუნიციპალურ სამსახურების მხარდამხარ სამართალდამცავი ინსტიტუტები

ერთვება. 2022 წლის 10 ნოემბერს ხაშურის მერიის, საკრებულოს, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის თანამშრომლებისა და მოსახლეობისათვის, რაიონულმა პროკურორმა ფემიციდის საწინააღმდეგო საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელიც ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის „არა ფემიციდს“ ფარგლებში მოეწყო. საინფორმაციო კამპანიის მიზანს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

2023 წლის 26 დეკემბერს ხაშურის რაიონულმა პროკურორმა სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მისაკუთრების ფაქტებზე ამნისტიის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ხაშურის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვედრა გამართა. მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მოქალაქეებს განემარტათ ამნისტიის შესახებ კანონის ინიციირების მიზანი, რომლითაც ათასობით მოქალაქე, რომელმაც სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დანაშაულებრივი გზით მიისაკუთრა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება. პროკურორის განმარტებით, ამნისტია არ შეეხება საჯარო მოხელეებს, რომლებმაც დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინეს. ამნისტია ასევე არ გავრცელდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად იყო ჩართული გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში „მუნიციპალური ბიუჯეტის გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და მონაწილეობითი დაგეგმვა და განხორციელება“, რომელიც პროექტ „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე“ ფარგლებში გაიმართა. შეხვედრის დღის წესრიგი მოიცავდა მუნიციპალური ბიუჯეტირება და PEFA შეფასების პროცესს, მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და გენდერული ბიუჯეტირების კარგი მაგალითების მიმოხილვას, ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა და გარე კონტროლისა და სხვა საკითხებს.

პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და შერჩეულ რვა მუნიციპალიტეტთან (ახალციხე, დუშეთი, თელავი, ოზურგეთი, რუსთავი, ქედა, ხაშური, ხარაგაული) მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობის შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს 2023 წლის 17 მარტის #545 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 420 000 ლარი, რომელიც მიმართულია ხაშურში ზემოსერის ტყე-პარკის რეაბილიტაციისთვის.

- ხაშურის მუნიციპალიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობს ახალგაზრდებთან ურთიერთობას, მათ ჩართულობას მშვიდობის და სამართლიანი, ძლიერი ინსტიტუტების მშენებლობაში.
- 2022 წლის 28 ოქტომბერს პროექტის „მოხალისეობის მოძრავი ბანაკი“ ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს სკოლის მოსწავლეების ესტუმრენ და საკრებულოს წევრებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სიმულაციურ თამაშში მიიღეს მონაწილეობა. პროექტის აქტივობის განსახორციელებლად

მუნიციპალიტეტის მერმა მათ საკუთარი კაბინეტი დაუთმო. პროექტი მოხალისეობის და სამოქალაქო ჩართულობის იდეის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და ემსახურება ხაშურის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ლოკაციებზე მრავალფეროვანი აქტივობების (დებატი, დისკუსია, სიმულაციური თამაში, პროექტის წერისა და მართვის ტრენინგი, შეხვედრა საინტერესო სტუმარებთან, გასვლითი ვიზიტი) განხორციელებას, რათა მეტმა ახალგაზრდამ აიმაღლოს ცნობიერება მოხალისეობის და მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ.

- 2022 წლის 20 დეკემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო სკოლების თვითმმართველობათა წარმომადგენლები სტუმრობდნენ, რომლებიც გაეცნენ საკრებულოს და მერიის მუშაობის სფეციფიკას, მიიღეს ინფორმაცია იმ პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება. გაიმართა გულწრფელი დისკუსია იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც მოსწავლეებს აწუხებთ.
- 2022 წლის 29 დეკემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები შეხვდნენ ა(ა)იპ საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სკოლა-პანსიონის მეათე კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც წარმოადგინეს პედაგოგის ფასილიტაციით შექმნილი 2 პროექტის პრეზენტაცია ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების მიმართულებით გარემოს დაცვის საკითხებზე. ახალგაზრდებმა მიიღეს რჩევები პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. გამოითქვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოსთან და ახალგაზრდულ ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის მომავლისათვის“ პარტნიორობის სურვილი.
- ახალგაზრდობა არის ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მათი იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და გაძლიერება ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას. 2023 წლის 28 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ახალგაზრდული სივრცე გაიხსნა. ამ სივრცეში არაერთი ახალგაზრდა ახდენს საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენას, იძენს ახალ მეგობრებს, თანამოაზრეებს, ახდენს შემოქმედებითად რეალიზებას. ერთობა და ისვენებს.
- 2023 წლის 2 ოქტომბერს „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში ორგანიზაცია-„ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ (Youth for the Development of Khashuri) ინიციატივით, ხაშურის ქუჩებში მოეწყო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების აქცია. ახალგაზრდებმა საინფორმაციო ფურცლები დაურიგეს ქალებს და განემარტეს კამპანიის მნიშვნელობა. „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანია მიზნად ისახავს ძუძუს კიბოს სიმპტომების ნაადრევი აღმოჩენის, რეგულარული თვითშემოწმებისა და სკრინინგული კვლევების საჭიროების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.
- 2023 წლის 11 დეკემბერს ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების შესარჩევად ღია კონკურსი გამოცხადდა. საბჭოს წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს. საბჭო არის სრულიად მოხალისეობრივი და წარმომადგენლობითი. შეირჩევა საბჭოს 16 წევრი, სადაც სასურველია წარმოდგენილნი იყვნენ ახალგაზრდები ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან, მათ შორის დროებითი ოკუპირებულ ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე ადმინისტრაციული ერთეულიდან.

კავშირი ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვასთან და ეროვნულ დონესთან. ხაშურის მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა: საკრებულო (წარმომადგენლობითი ორგანო) და მერია (აღმასრულებელი ორგანო), უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებას, მის განკარგვას; კომპეტენციის ფარგლებში, პოლიტიკის ფორმირებას და განხორციელებას. 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელიც 50 982,8 ლარს შეადგენს, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია გათვალისწინებული ეფექტიანი საჯარო მმართველობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გასაძლიერებლად. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება საქართველოს 2030 წლის მდგრადი განვითარების სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მმართველობის რეფორმებსა და ინსტიტუციური გამჭვირვალობის გაძლიერებას.

ამოცანის მიმოხილვა

16.6. 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტის იმ მოსახლეობის წილის ზრდა, რომელიც კმაყოფილია ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული საჯარო მომსახურებით.

16.6.2. ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული საჯარო მომსახურებებით კმაყოფილი მოსახლეობის პროცენტული ოდენობა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	70%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	90%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 და 2024 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 70% იყო კმაყოფილი ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული საჯარო მომსახურებით. 2030 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი ითვალისწინებს კმაყოფილი მომხმარებლების 90%-მდე ზრდას.

16.10. 2030 წლისთვის, მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა.

16.10.1. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის შესახებ მედიაში და მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული საინფორმაციო მასალა.			
წარმომავლობა	UN ადაპტირებული		
წყარო	მუნიციპალიტეტი		
საბაზისო მაჩვენებლები	70%	**სამიზნე მაჩვენებელი 2030**	100%
ანალიზის პერსპექტივა	მუნიციპალური		

2022 წელს, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საქმიანობის 70% მედიის საშუალებით გავრცელდა. 2024 წელს, აქტივობების 100% გავრცელდა მედიის საშუალებით და 2030 წელს გათვალისწინებულია აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნება.

გამოწვევები. ხანგრძლივი ადმინისტრაციული პროცედურები და იურიდიული დახმარების სერვისებზე შეზღუდული წვდომა ხელს უშლის მოქალაქეების სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში.

ინიციატივები და ქმედებები. ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს მმართველობითი პროცესების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებაზე. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად, საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. დოკუმენტი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მუნიციპალური ორგანოების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა პროექტის და ინიციატივის შესახებ. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება განახლებული ინფორმაცია ტენდერების, ბიუჯეტის განაწილებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თაობაზე.

მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დანერგვით. აღნიშნული მექანიზმი ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს საშუალებას გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებებზე და მუნიციპალური ხარჯების განაწილებაზე, მათთვის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებით.
2024 წელს, აღნიშნულია მექანიზმის საშუალებით, 300,000 ლარი გადანაწილდა ადგილობრივი განვითარების პროექტებზე, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში განსაკუთრებით აქტიურობენ სოფლად მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას პროექტების შერჩევასა და დამტკიცებაში.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს უფასო იურიდიულ-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც სამართლებრივი მხარდაჭერით უზრუნველყოფს შშმ პირებს, ხანდაზმულებს და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვების პროცესს უწყვეტ რეჟიმში ზედამხედველობს. მერიის შესაბამისი სამსახურები მუნიციპალიტეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას. ინსტიტუციური გამჭვირვალობისათვის სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია. მუნიციპალური შესყიდვებისა და ბიუჯეტის ხარჯვის პროცედურების სრულოფის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური პერმანენტულად უზრუნვლჰყოფს მათ გადახედვასა და აუდიტის შედეგების შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავებას. ქმედებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები და საბოლოო შენიშვნები ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვისთვის (VLR)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR-ის) მომზადების პროცესმა ნათლად წარმოაჩინა როგორც მიღწევები, ასევე, გამოწვევები მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების გზაზე. UN-Habitat-ის ქმედებაზე ორიენტირებული VLR-ის მომზადების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ასევე, ხაშურის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტების, პროგრამული ბიუჯეტისა და შესაბამისი ანგარიშების შესწავლის საფუძველზე, - დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მათგან მიღებული უკუკავშირების ანალიზის საფუძველზე, ამ თავში წარმოდგენილია რეკომენდაციები დღის წესრიგი 2030-ის ადგილობრივ დონეზე განხორციელების აქსელერაციისათვის.

სიღარიბის შემცირებისა და სოციალური დაცვის გაძლიერება (SDG 1)

ხაშურის მუნიციპალიტეტში სიღარიბის შემცირების და სოციალური დაცვის გაძლიერებისათვის აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი სოციალური დახმარების პროგრამების ეფექტიანობა და მოცვა. მნიშვნელოვანია მუნიციპალური სოციალური მომსახურების სერვისების მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეულების პერსონალის შესაძლებლობების განვითარება. სოციალური დახმარების პროგრამების ცალკეული მარგინალური ჯგუფების საჭიროებებზე უკეთ მორგება. ასევე, სოციალირი დახმარების პროგრამებზე დამოკიდებულების შესამცირებლად აუცილებელია პროფესიულ განათლებასა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისებზე წვდომის გაზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის. მუნიციპალიტეტმა აქტიურად უნდა გააგრძელოს თანამშრომლობა ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურებთან, არასამთავრობო სექტორთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სოციალური უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობა და მდგრადობა.

საკვების უსაფრთხოება და კვების გაუმჯობესება (SDG 2)

საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხაშურის მუნიციპალიტეტში მოითხოვს სტრატეგიული ქმედებების განხორციელებას ორი მიმართულებით, ადგილობრივი აგრარული წარმოების ზრდას და მოწყვლადი მოსახლეობისთვის ჯანსაღ საკვებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში პრიორიტეტულად უნდა განიხილებოდეს მცირე მეურნეობების მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ ფერმერების, ვინც მჭიდროდ არის ჩართული მაღალმოსავლიანი კულტურების, ხილისა და ვაზის პროდუქტების, მოყვანაში. ამისათვის საჭიროა თანამედროვე ტექნიკაზე, ხარისხიან თესლზე და სარწყავ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, - მდგრადი მიწათმოქმედების წახალისება და ტექნიკური გადამზადების პროგრამების განვითარება. საჭიროა, სოფლის მეურნეობაში კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზიანის შემცირებისაკენ მიმართული პრაქტიკების განვითარების მხარდაჭერა. ამავე დროს, საჭიროა სამოქალაქო სექტორთან და ბიზნეს სექტორთან პარტნიორობა მოწყვლადი ჯგუფების საკვები პროდუქტებით დახმარების ღონისძიებების განსახორციელებლად.

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება (SDG 3)

ჯანმრთელობის დაცვა ხაშურის მუნიციპალიტეტში უნდა დაეფუძნოს პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას. მუნიციპალიტეტში უნდა გაგრძელდეს სოფლის ამბულატორიებისა და სამედიცინო დაწესებულებების მოდერნიზებაში ინვესტირება. უნდა გაფართოვდეს პრევენციული ღონისძიებები, განსაკუთრებით მობილური სერვისების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელების გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში მოსახლეობისათვის საბაზისო სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოფლების, საკმარისი რაოდენობის, კვალიფიციური მედპერსონალით უზრუნველყოფა.

ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა (SDG 4)

ხაშურის მუნიციპალიტეტში განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი ნაბიჯები ბოლო წლებში შესამჩნევად გაძლიერდა, თუმცა ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია უნდა გაგრძელდეს, შშმ ბავშვებისთვის ფიზიკურ გარემოზე ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე განსაკუთრებული აქცენტით. მნიშვნელოვანია პროფესიული სწავლების შემდგომი მხარდაჭერა და განვითარება, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია დისტანციური და ციფრული სწავლების განვითარება და სკოლების შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლად. უნდა გაიზარდოს ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის სტიპენდიებით და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება (SDG 5)

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში უნდა გაგრძელდეს გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმარების პრაქტიკები. მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და მომსახურებები უნდა ეფუძნებოდეს გენდერული ზეგავლენის შეფასებასა და სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემების ანალიზს. აუცილებელია გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს მიზნობრივი ღონისძიებები ქალთა გაძლიერების ხელშესაწყობად, მცირე გრანტები ქალი მეწარმეებისთვის, ბავშვთა მოვლის სერვისები და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობები. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს.

მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ღირსეული დასაქმების უზრუნველყოფა (SDG 8)

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა. ეს შესაძლებელია განცხორციელდეს ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებით, გრანტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და ბიზნეს ინკუბატორების მხარდაჭერით. ადგილობრივი შრომის ბაზრის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ კოლეჯებთან და რეგიონულ დამსაქმებლებთან პარტნიორობას, რაც შესაბამისობაში მოიყვანს სწავლისა და გადამზადების პროგრამებს ახალი დასაქმების შესაძლებლობებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების დასაქმებას. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და გარემოსდაცვითი სერვისების მიმართულებით საჯარო სამუშაოებში ინვესტიციები, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს ამ მიმართულებებით განვითარების საჭიროებებს ხოლო, მეორე მხრივ, შექმნის დროებით სამუშაო ადგილებს. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა შრომის პირობების გაუმჯობესებას და სოციალური დიალოგის კულტურის გაძლიერებას.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ინოვაციების ხელშეწყობა და ინკლუზიური ინდუსტრიალიზაციის მხარდაჭერა (SDG 9)

ხაშურის მუნიციპალიტეტში უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიმართულებით, წახალისდეს ინვესტიციების მოზიდვა, განვითარდს ციფრული ინფრასტრუქტურა და შეიქმნას ხელსაყრელი გარემო ინოვაციებისათვის. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება, რაც დაეხმარება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად,
- გააფართოვოს თანამშრომლობა კერძო სექტორთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინოვაციების და პერსონალის განვითარების ხელშესაწყობად.

მდგრადი ქალაქებისა და თემების ხელშეწყობა (SDG 11)

მდგრადი განვითარების მე-11 მიზნის განხორციელებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, ასევე, საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და

მათი ადაპტაცია შშმ პირებისათვის. უნდა გაგრძელდეს გზების რეაბილიტაცია და მოწყობა, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, მათ შორის, გამწვანებული ტერიტორიებისა და რეკრეაციულ ზონების გაფართოება. ეს ხელს შეუწყობს როგორც სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებას, ისე გარემოს დაცვას. საჭიროა ნარჩენების მართვის სისტემის შემდგომი განვითარება და მოდერნიზება, - ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. აუცილებელია გაგრძელდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და ეკო-ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა, განსაკუთრებით სურამსა და ქვიშხეთში, სადაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს.

ადგილობრივი მმართველობა და ძლიერი ინსტიტუტები (SDG 16)

ხაშურის მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობის მიმართულებით, მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და საჯარო კონსულტაციების მექანიზმების დანერგვით. ამ ინსტრუმენტების გამოყენება მომდევნო წლებში უნდა გაფართოვდეს ისე, რომ მოიცვას ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების ყველა ასპექტი და მიმართულება. მოქალაქეებისთვის საჯარო სერვისებზე წვდომისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ციფრული პლატფორმების დანერგვის დაჩქარება. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უნდა გაძლიერდეს იურიდიული დახმარების მომსახურებებზე წვდომა, განსაკუთრებით სოფლად. მუნიციპალური საჯარო მოხელეების შესაძლებლობები ინკლუზიური პოლიტიკის დაგეგმვისა და SDG-ების ინტეგრაციის მიმართულებით საჭიროებს მუდმივ გაძლიერებას. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანაბრად უნდა აისახოს მოწყვლადი ჯგუფების ხმა და ინტერესები, ხოლო ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალეობა უნდა იქცეს მოსახლეობის ნდობის განმტკიცების საფუძვლად.

2030 წლის დღის წესრიგის წარმატებული განხორციელება ხაშურის მუნიციპალიტეტში ეფუძნება პოლიტიკურ ნებას, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ინკლუზიური ქმედებების ერთობლიობას. VLR-ის პროცესმა არა მხოლოდ შეაფასა არსებული პროგრესი, არამედ საფუძველი ჩაუყარა გრძელვადიან ტრანსფორმაციასა და სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას. მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვისა და ინკლუზიური მმართველობის გზით, ხაშურის მუნიციპალიტეტი მზად არის იმუშოს მშვიდობიანი, სამართლიანი, მდგრადი თანახოვრებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებისთვის.

დანართი 1: დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო ფორუმი

ხაშურის მუნიციპალიტეტში ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR) მომზადებაში დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 16 მაისს, ქ. ხაშურის ახალგაზრდული ორგანიზაციის დარბაზში. ღონისძიება ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ერთობლივი პროექტის „მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება UNDP-ის, FAO-სა და UNICEF-ის მონაწილეობით და კოორდინირებულია UNRCO-ს მიერ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ხაშურის ქმედებაზე ორიენტირებული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის წინასწარი მიგნებების განხილვას და რეკომენდაციების შეთავაზებას. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება მონაცემთა ანალიზი, გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და სფეროები, რომელთა მიმართულებითაც ძალისხმევის გაძლიერება იყო საჭირო.

შეხვედრაზე, VLR-ის მომზადებაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა წარმოადგინა პრეზენტაციები, ამის შემდეგ გაიმართა ინტერაქტიული უკუკავშირის სესია და დისკუსია კონკრეტულ მდგრადი განვითარების მიზნებთან, სამიზნეებთან და ინდიკატორებთან მიმართებით. შეხვედრის დასასრულს მონაწილეები დაიყვნენ სამუშო ჯგუფებად და იმსჯელეს წინასწარ დარიგებულ SDG სადისკუსიო ფურცლებზე. ჯგუფური სამუშოს შემდეგ, შეხვედრის ფასილიტატორების დახმარებით, შეხვედრის მონაწილეებმა შეაჯამეს მიგნებები SDG სადისკუსიო ფურცლებში ასახულ მასალასთან დაკავშირებით და წარმოადგილეს რეკომენდაციები. შეხვედრას დაესწრო ეროვნული და ადგილობრივი მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, ახალგაზრდობისა და კერძო სექტორის, ასევე, გაეროს სააგენტოების წარმომადგენლები, 40-მდე მონაწილე.

დაინტერესებული მხარეების მიერ SDG სადისკუსიო ფურცლების განხილვის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ხაშურის მუნიციპალიტეტის VLR-თვის

SDG 1 (სიღარიბის აღმოფხვრა):

- მარგინალური ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი სოციალური დახმარებიების პროგრამების შემუშავება.
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და დასამქების ხელშეწყობა სოციალური დახმარების პროგრამებზე დამოკიდებულების შესამცირებლად.
- დასაქმების ხელშეწყობის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა ახალგაზრდებში და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობაში, უმუშევრობის დონის შესამცირებლად.

SDG 2 (შიმშილის აღმოფხვრა):

- მცირე გრანტების მეშვეობით ახალგაზრდა ფერემერების, საკვები პროდუქტის მწარმოებელი start-up კოოპერატივების წახალისება.
- სოფლის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ჯანსაღი კვების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და პოპულარიზაცია ახალგაზრდების ჩართულობით.
- სასურსათო უსაფრთხოების ადგილობრივი მონიტორინგის მექანიზმების შექმნა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების ადექვატურად დაკმაყოფილებისათვის.
- ორგანული სოფლის მეურნეობისა და კლიმატგამძლე აგროკულტურების განვითარება ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობით.

SDG 3 (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა):

- ახალგაზრდული ინიციატივების მეშვეობით პრევენციული ღნისძიებების და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
- სოფლებში მობილური სამედიცინო ჯგუფების ვიზიტების ორგანიზება/ ხელშეწყობა.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით ახალგაზრდებზე მორგებული საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- სპორტული აქტივობების ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ახალგაზრდული ჯგუფების ჩართულობა ჯანმრთელობის საგანმანათლებლო კამპანიებში.

SDG 4 (ხარისხიანი განათლება):

- მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერა განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.
- სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისთვის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ფინანსური დახმარების პროგრამების გაფართოება.
- დისტანციური და ციფრული სწავლების ტექნოლოგიებზე წვდომის ხელშეწყობა და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სკოლებში.
- ახალგაზრდების მიერ მართული განათლების ხელშეწყობის ინიციატივების მხარდაჭერა (მენტორობა,ონლაინ სწავლება).
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების განვითარება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

SDG 5 (გენდერული თანასწორობა):

- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება ახალგაზრდების ჩართულობით, სკოლებსა და ახალგაზრდულ სივრცეებში.
- ახალგაზრდა ქალებში ლიდერობის უნარების განვითარების ღონისძიებების მხარდაჭერა.
- ადგილობრივ დონეზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა: — მცირე გრანტები, პროფესიული გადამზადება და დასაქმების მხარდაჭერა.
- მამაკაცებისა და ბიჭების აქტიური ჩართვა გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის პროცესში.

SDG 6 (სუფთა წყალი და სანიტარია):

- მაღალმთიანი სოფლებისა და უწყვეტი წყალმომარაგების არმქონე დასახლებების საჭიროებების შეფასება და მცირე მასშტაბის საინჟინრო პროექტების განხორციელება მათ დასაკმაყოფილებლად.
- სოფლად წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი და მოვლა-პატრონობა.
- სანიაღვრე და წყლის გამწმენდი სისტემების განვითარება ურბანულ და პერი-ურბანულ ზონებში, გარემოზე მავნე ზეგავლენის შესამცირებლად და სანიტარიული პირობების გასაუმჯობესებლად.
- მუნიციპალური ბიუჯეტისა და საგრანტო რესურსების გამოყენებით მიკრო-საინჟინრო პროექტების განხორციელება, წყლის სტაბილური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად იმ სოფლებში, რომლებსაც არ ფარავს ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელი.
- მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და ჰიგიენის პრაქტიკების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ახალგაზრდობისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობით.

SDG 8 (ღირსეული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა):

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებისა და მიზნობრივი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვით.
- ადგილობრივი შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან პარტნიორობით.
- ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის (განსაკუთრებით სურამსა და ქვიშხეთში) ეკონომიკური აქტივობებად გარდაქმნის ხელშეწყობა, მათ შორის ტურიზმთან დაკავშირებული მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა.
- ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადგილობრივი სამუშაო ძალის ჩართულობის წახალისება.

SDG 9 (მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა):

- შიდა მუნიციპალური და სოფლის გზების ეტაპობრივი რეაბილიტაციის გაგრძელება იმ ტერიტორიებზე, სადაც წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განახლება უკვე დასრულდა იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სოფლებისა და ურბანული ზონების კავშირი.
- ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება, განსაკუთრებით სოფლის ტერიტორიებზე, რაც დაეხმარება როგორც განათლების, ასევე ბიზნესისა და მომსახურების სფეროს განვითარებას.
- ინოვაციების ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, ადგილობრივ დონეზე ინოვაციური პროექტების წახალისების მიზნით.

SDG 11 (მდგრადი ქალაქები და დასახლებები):

- მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის პრაქტიკული განხორციელება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის შშმ პირებისთვის ადაპტირებული გადაწყვეტილებების ინტეგრირება.
- საზოგადოებრივი სივრცეების, მათ შორის სკვერებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობა და გაუმჯობესება ყველა დასახლებაში, იმისათვის, რომ გაძლიერდეს სოციალური ინტეგრაცია და ცხოვრების ხარისხი.
- ნარჩენების მართვის სისტემის მოდერნიზება, ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების სისტემების დანერგვა, განსაკუთრებით ურბანულ ზონებში.
- ეკო-ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა.
- მუნიციპალური განვითარების დაგეგმარების პროცესებში გარემოსდაცვითი და კლიმატგამძლე მიდგომების ინტეგრირება.

SDG 12 (მდგრადი მოხმარება და წარმოება):

- რუკების შექმნა, რომლებზედაც აღნიშნული იქნება ნარჩენების შეგროვების მარშრუტები და კონტეინერების განთავსების ადგილები და, მათ საფუძველზე, ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია, რათა ეს პროცესი მაქსიმალურად ხარჯთეფექტური გახდეს;
- კონტეინერების დამატება და ნარჩენების კონტეინერებში შეგროვების სისტემის უზრუნველყოფა ყველა სოფელში;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი დანერგვა, მნიშვნელოვანია მისი დაწყება მჭიდროდ დასახლებული ადმინისტრაციული დასახლებების ცენტრებში;
- ნარჩენების შეგროვების პროცესში გამოყენებული მოწყობილობების განახლება/შეძენა;
- ნარჩენების სეპარირების პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის ხელშეწყობა (ქაღალდის, პლასტმასის და ორგანული ნარჩენების);
- სეპარირებული ნარჩენების განთავსებით დაინტერესებულ კომპანიებთან მოლაპარაკებების წარმოება. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს შეგროვებული ნარჩენებისთვის შენახვის ტერიტორია, სადაც კომპანია განათავსებს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობას;
- სეპარირებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების გადატანა სპეციალური მარკირებული ავტოტრანსპორტით, იმგვარად, რომ მოსახლეობამ დაინახოს, რომ ნარჩენების გადატანა ხდება განცალკევებულ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;
- მუნიციპალიტეტში კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

SDG 16 (მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები):

- მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და საჯარო კონსულტაციების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია და გაფართოება ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- მუნიციპალიტეტში ციფრული მმართველობის პლატფორმების დანერგვა მოქალაქეებისთვის, - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, უკუკავშირის მიღებისა და ზოგადად სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად.
- იურიდიული დახმარების სერვისებზე წვდომის გაძლიერება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობით.
- საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ინკლუზიური პოლიტიკის დაგეგმვის, ანგარიშვალდებულებისა და SDG-ების ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის მიმართულებით.
- ანგარიშვალდებული მმართველობის პრაქტიკის მეტად განვითარება საჯარო ინფორმაციაზე წვდომისა და გამჭვირვალობის პოლიტიკის გაძლიერების გზით.

ეს რეკომენდაციები შეთანხმდა და ინტეგრირებული იქნება ხაშურის მუნიციპალიტეტის VLR დოკუმენტში. მონაწილეთა აქტიური ჩართულობით გამართულმა პროცესმა ნათლად აჩვენა დაინტერესებული მხარეების მზაობა და ერთგულება 2030 დღის წესრიგის ლოკალიზების მხარდაჭერისადმი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომებით.